საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა

სამართლებრივი მიმოხილვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა

სამართლებრივი მიმოხილვა

თბილისი
2012

მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში” - ფარგლებში, “ღია საზოგადოების ინსტიტუტის” (OSI) - ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი: **სულხან სალაძე**

კვლევის ასისტენტი: **ლელა გვიშიანი**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ ჩუგოშვილი**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge
ტირაჟი: 300 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შინაარსი

1. **შესავალი** 5

1.1. **მიზნები და მიზეზები** 5

1.2. **მეთოდოლოგია** 6

1.3. **დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას** 6

1.4. **კვლევის ძირითადი მიგნებები** 7

2. **ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი** 9

2.1. **ფონდის დაფუძნება** 9

2.2. **წესდების ახალი რედაქცია და ათი მილიონი ერთი დადგენილებით** 12

2.3. **ახალი თავმჯდომარე, ცვალებადი გამგეობის შემადგენლობა და ფონდის ლიკვიდაცია** 15

3. **ააიპ თბილისის განვითარების ფონდი** 18

3.1. **ფონდის დაფუძნება** 18

3.2. **აიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, როგორც აიპ თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებელი** 24

4. **ფონდები და ფინანსები** 25

4.1. **თბილისის მერიის ორმაგი სტანდარტი, საიას და სტუდია მონიტორის საქმეები** 25

4.1.1. *ნაწილი პირველი – სტუდია მონიტორის საქმე* 25

4.1.2. *ნაწილი მეორე – საიას საქმე* 28

4.2. **თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტები და ფონდებში გადარიცხული თანხები** 29

4.2.1. *2005 წელი* 29

4.2.2. *2006-2007 წელი* 30

4.2.3. *2008 წელი* 31

4.2.4. *2009 წელი* 33

4.2.5. *2010 წელი* 34

4.2.6. *2011 წელი* 36

4.3. **ტრანსფერები, სარეზერვო ფონდები და პრეზიდენტის საიდუმლო განკარგულებები** 37

4.3.1. *2005-2007 წლები* 37

4.3.2. *2008 წელი* 38

4.3.3. *2009 წელი* 40

4.3.4. *2010 წელი* 43

4.3.5. *2011 წელი* 46

5. ფონდები და სახელმწიფო შესყიდვები 48

6. ფონდები და ქონება 51

6.1. ზოგადი მიმოხილვა 51

6.2. დადგენილება №09.22.352 53

6.3. დადგენილება №11.41.461 და გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორია 56

6.4. შპს „Wetzel Plaza“ და აღმაშენებლის №103 58

6.4.1. *ნაწილი პირველი – ააიპ თბილისის განვითარების ფონდი* 58

6.4.2. *ნაწილი მეორე – შპს “Wetzel Plaza”* 59

6.5. სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“ და აღმაშენებლის №150 60

6.5.1. *ნაწილი პირველი – ააიპ თბილისის განვითარების ფონდი* 60

6.5.2. *ნაწილი მეორე – სს „რეალ ინვესტი“* 61

6.6. დასკვნის მაგიერ 62

7. რიყის ტერიტორია 63

7.1. თბილისის მთავრობა, როგორც რიყის ტერიტორიის გამსხვისებელი 63

7.2. შპს „ახალი რიყე“ – რიყის ტერიტორიის შემძენი 64

7.3. ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, როგორც რიყის ტერიტორიის შემძენი 65

7.4. ვის ეკუთვნის შპს „ახალი რიყე“? 67

7.5. ააიპ თბილისის განვითარების ფონდი – რიყის ტერიტორიის მესაკუთრე 68

8. ააიპ ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი 69

8.1. ფონდის დაფუძნება 69

8.2. ქონება და ფინანსები 71

9. ააიპ ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდი 74

9.1. ფონდის დაფუძნება 74

9.2. დააფუძნა, მაგრამ არ დაუფუძნებია 77

9.3. ქონება და ფინანსები 78

10. დასკვნა 80

11. დანართები 82

1. შესავალი

1.1. მიზნები და მიზეზები

ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მასშტაბური მოცულობის ფინანსური სახსრები იქნა გამოყოფილი. ამ მხრივ, უდავოდ თვალშისაცემია ქ. თბილისში, ასევე, ბათუმსა და ქუთაისში ძველი ქალაქის ისტორიული ნაწილების რეაბილიტაციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები.

წარმოდგენილ კვლევაში საია მკითხველს იმის შესახებ მოუთხრობს, თუ როგორ ხორციელდებოდა 2005-2011 წლებში ზემოთ აღნიშნულ სამ ქალაქში სხვადასხვა ისტორიული უბნის, ქუჩისა და დასახლების რეაბილიტაცია-აღდგენა და როგორ და რა ფორმით მონაწილეობდნენ ამ პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

ამასთან, კვლევის მიზანს არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტურად და ხარისხიანად შესრულდა თითოეულ ქალაქში სარეაბილიტაციო სამუშაოები ან რამდენად სრულად იქნა დაცული ქალაქების ისტორიული ნაწილის პირველადი იერსახე რესტავრაცია-რეაბილიტაციის დროს.

ფონდები დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ და რა პრინციპით შეერჩიათ ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად კონკრეტული კომპანია.

საიას მიერ მომზადებული კვლევა მკითხველს მოუთხრობს ზემოაღნიშნულ პროცესში ოთხი კონკრეტული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ქ. თბილისის მაგალითზე, ესენია: ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“ და ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“. ბათუმის შემთხვევაში – ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ „ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი“, ხოლო ქუთაისის შემთხვევაში – ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“.

შესაბამისად, კვლევის მიზანს, ამ ოთხ ფონდთან დაკავშირებით, ხუთი ძირითადი მიმართულება წარმოადგენდა:

1. რა უფლებამოსილებებს ანიჭებდნენ დამფუძნებლები მათ მიერვე დაფუძნებულ ფონდებს;
2. მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, რა ფინანსურ და ქონებრივ შენატანებს გადასცემდნენ;
3. რამდენად გამჭვირვალედ ხდებოდა სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებიდან მიღებული ფინანსების ხარჯვა და არსებობდა თუ არა ფონდების მიერ გახარჯული ფინანსების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი ფორმით;
4. როგორ იყენებდნენ დამფუძნებლის მიერ გადაცემულ უძრავ ქონებას ფონდები და ხომ არ ხდებოდა ამ უძრავი ქონების გასხვისება. ხოლო, გასხვისების შემთხვევაში, როგორ და რა ფორმით ხორციელდებოდა აღნიშნული პროცესი;
5. რამდენად მაღალი იყო ფონდების ანგარიშვალდებულების ხარისხი დამფუძნებლების წინაშე და როგორ ასრულებდნენ ამ ვალდებულებას.

ფონდების საქმიანობით დაინტერესება იმანაც განაპირობა, რომ ერთი მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში განმარტებული „სახელმწიფო შესყიდვის“ ცნებაში წლების განმავლობაში შესული არაერთი ცვლილება და დღეის მდგომარეობით არსებული ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერი, ხოლო მეორე მხრივ, ის პრაქტიკა, რომელიც ქ. თბილისის მერიის მიერ წლების განმავლობაში ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის თანხების გადასარიცხად გამოიყენებოდა, ფონდს უტოვებდა შესაძლებლობას, ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსებით შეძენილი სამუშაოები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის გვერდის ავლით შეესრულებინა.

1.2. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კვლევა შემდეგნაირად მომზადდა:

- პირველ ეტაპზე განხორციელდა არსებული სამართლებრივი ბაზის ანალიზი;
- შემდგომში მოხდა კვლევის სუბიექტების შიდა დოკუმენტაციის მოძიება და შესწავლა (დამფუძნებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ფონდის წესდებები, სამეწარმეო და საჯარო რეესტრებში დაცული ინფორმაციის მოძიება-შესწავლა);
- ბოლო ეტაპზე საიამ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან გამოითხოვა შესაბამისი საჯარო ინფორმაცია და განახორციელა მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საია საჯარო ინფორმაციას შემდეგი დაწესებულებებიდან ითხოვდა:
  - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
  - საქართველოს მთავრობის კანცელარია
  - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
  - საქართველოს კონტროლის პალატა
  - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
  - ქ. თბილისის მერია
  - ქ. თბილისის საკრებულო
  - ქ. ბათუმის მერია
  - ქ. ქუთაისის მერია
  - ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

საჯარო ინფორმაციის მოპოვება განსაკუთრებით რთული იყო ქ. თბილისის მერიიდან, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან.

კვლევაზე მუშაობის დროს საია ასევე აქტიურად იყენებდა ვებ-რესურსებს. შედეგად, კვლევისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი სწორედ ინტერნეტ სივრციდან იქნა აღებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი: www.reestri.gov.ge

1.3. დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას

კვლევაზე მუშაობის ძირითად დაბრკოლებას სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან სასურველი ინფორმაციის მიღების სირთულე წარმოადგენდა. შესაბამისად, საიას, ხშირ შემთხვევაში, უხდებოდა ადრესატებისთვის დამატებითი განცხადებების გაგზავნა დაზუსტების მიზნით. თუმცა, არცთუ იშვიათად, სასურველი ინფორმაციის მიღება მაინც ვერ ხერხდებოდა. ამ მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის მოპოვება განსაკუთრებით რთული იყო ქ. თბილისის მერიიდან, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, სასურველი ინფორმაციის სრულყოფილად მიღება ვერც საქართველოს კონტროლის პალატიდან მოხერხდა.

კვლევის პროცესში არსებული დაბრკოლებებიდან გამომდინარე, საია აქტიურად იყენებდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობას. ხოლო, რიგ შემთხვევაში, სასარჩელო განცხადებით მიმართავდა სასამართლოს.

კვლევის დროს იყო ფაქტები, როდესაც საჯარო დაწესებულებები, ერთსა და იმავე შინაარსის განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემისგან თავის არიდების მიზნით, ორმაგ სტანდარტს იყენებდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისის მერიის მხრიდან, საიასა და „სტუდია მონიტორის“ მიერ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილ იდენტური შინაარსის ოთხ განცხადებაზე ურთიერთგამომრიცხავი პასუხების გაცემა. კერძოდ, მოთხოვნილ ინფორმა-

ციასთან დაკავშირებით, ერთ შემთხვევაში ქ. თბილისის მერია აცხადებდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დამუშავებული სახით არ არსებობდა, ხოლო მეორე შემთხვევაში, სასურველი ინფორმაციის მისაღებად ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მიგვითითებდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ასევე შემთხვევა, როდესაც, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემისგან თავის არიდების მიზნით, ქ. ქუთაისის მერიამ პირველ ეტაპზე საერთოდ უარყო ააიპ ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის დაფუძნების ფაქტი.

ყველა ზემოთ ნახსენები სირთულე და შემთხვევა დეტალურად არის აღწერილი და განხილული წინამდებარე კვლევის შესაბამის თავებში.

1.4. კვლევის ძირითადი მიგნებები

შეუძლებელია იმ თანხების ზუსტი ოდენობის დადგენა, რომელიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და თბილისის განვითარების ფონდს წლების მანძილზე სხვადასხვა საბიუჯეტო სახსრებიდან გადაეცემოდა.

საიას მიერ მომზადებულმა კვლევამ არაერთი ხარვეზი და სახიფათო ტენდენცია გამოავლინა, რაც, რიგ შემთხვევებში, არსებული საკანონმდებლო ბაზით არის გამოწვეული, ხოლო რიგ შემთხვევებში, საჯარო დაწესებულებების და კვლევის უშუალო ობიექტების – ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის, თბილისის განვითარების ფონდის, ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისა და ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის – საქმიანობით არის განპირობებული.

კვლევის ძირითადი მიგნებების სისტემიზაცია შემდეგი სახით შეგვიძლია მოვახდინოთ:

- დამფუძნებლების მიერ ოთხივე ფონდისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები რეალურად ძალიან ჰგავს და, ფაქტობრივად, იმეორებს ერთმანეთს.
- ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებულ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და თბილისის განვითარების ფონდს, იდენტური საწესდებო მიზნების გარდა, გამგეობის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილიც ერთი და იგივე ჰყავთ/ჰყავდათ და, ძირითადად, ქ. თბილისის რაიონების გამგებლების და სხვადასხვა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელების თანამდებობები უკავიათ. ამასთან საინტერესოა, რომ, ქ. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, თავის დროზე, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებელი გახდა;
- შეუძლებელია იმ თანხების ზუსტი ოდენობის დადგენა, რომელიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და თბილისის განვითარების ფონდს წლების მანძილზე სხვადასხვა საბიუჯეტო სახსრებიდან გადაეცემოდა. მარტო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის 2005-2011 წლებში საბიუჯეტო სახსრებიდან გადაცემული თანხების ოდენობა მინიმუმ 288,434,800 ლარს შეადგენს;
- არ არსებობს ღია და ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და კონკრეტულად რაში იხარჯებოდა სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული თანხები;
- ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისა და ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ არ ხდებოდა დამფუძნებლის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რომლის მიხედვითაც, გაწეულის საქმიანობის და ფონდის მდგომარეობის შესახებ, ყოველწლიურად, შესაბამისი ანგარიშების წარდგენა უნდა ხდებოდეს დამფუძნებლისთვის. ხოლო, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდის შემთხვევაში, საერთოდ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ასრულებდნენ თუ არა ფონდები ამ მხრივ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს;

- რიგ შემთხვევაში, მიზანმიმართულად ხდებოდა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანა, რომლის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ საქართველოს კანონში 2011 წელში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობას, თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების, მის მიერვე დაფუძნებული ააიპ-ებისთვის საკუთრებაში გადაცემის სრული უფლება მიენიჭა. ქონების გადაცემიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ კი, გადაცემული უძრავი ქონების ნაწილის გასხვისება ხდებოდა. თვითმმართველი ერთეულის მიერ თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემული უძრავი ქონების გასხვისების მაგალითად ქ. თბილისში აღმაშენებლის გამზირის №103 და №150 არსებული უძრავი ქონების გასხვისების ფაქტებია წარმოდგენილი;
- უამრავ კითხვას ტოვებს 2011 წელს თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან დამფუძნებლის მიერ შენატანის სახით საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ გასხვისების შემთხვევები. საკუთრებაში მიღებული უძრავი ქონების გასხვისების დროს ფონდები სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოდიოდნენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. შესაბამისად, იმ უძრავი ქონების გასხვისება, რომელიც თვითმმართველი ერთეულის მიერ დამფუძნებლის სახელით გადაეცემოდათ საკუთრებაში, გაუმჭვირვალედ და საკუთარი შეხედულებისამებრ ხდებოდა;
- კითხვებს ტოვებს ასევე ქ. თბილისის მთავრობის ქმედება, როცა თბილისის განვითარების ფონდს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან უძრავი ქონების ოფიციალურად გადმოცემამდე, წინსწრებით, შენატანის სახით, საკუთრებაში გადაეცემოდა ჯერ კიდევ სამინისტროსგან გადმოუცემელი ქონება. ასევე შემთხვევები, როდესაც ქ. თბილისის მთავრობა უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საფუძვლად იყენებდა იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად ძალაში შესული. სწორედ ამ ფორმით გადაეცა საკუთრებაში თბილისის განვითარების ფონდს უძრავი ქონების ნაწილი, მათ შორის, რიყის ტერიტორია, ასევე, აღმაშენებლის გამზირზე, პუშკინის, ლესელიძისა და ლომოურის ქუჩებზე არსებული უძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი;
- რიყის ტერიტორიის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ 2006 წელს ქ. თბილისის მთავრობის მიერ შპს ახალი რიყისთვის 7 მილიონ აშშ დოლარად მიყიდული 43,350 კვ.მ. მიწის ფართობი 2008 წლის ბოლოს, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საშუალებით, 17,000,000 აშშ დოლარად უკან გამოისყიდა. მთლიანობაში, რიყის ტერიტორიის ჯერ გაყიდვასა და შემდეგ უკან გამოსყიდვას შორის სხვაობამ 15,764,500 ლარი შეადგინა, რაც თბილისის ბიუჯეტის სასარგებლოდ ნამდვილად არ მომხდარა. ამასთან, საინტერესოა, რომ რიყის ტერიტორიის გასხვისებისა და გამოსყიდვის პროცესში არაერთხელ შეიცვალა შპს „ახალი რიყის“ წილის მფლობელების ვინაობა.

იმ უძრავი ქონების გასხვისება, რომელიც ფონდებს დამფუძნებლის სახელით საკუთრებაში გადაეცემოდათ, გაუმჭვირვალედ და საკუთარი შეხედულებისამებრ ხდებოდა.

საიას მიერ კვლევის პროცესში გამოვლენილი ყველა ზემოთ აღნიშნული ხარვეზი და ტენდენცია, ასევე, ძირითადი პრობლემები და სირთულეები ქვემოთ დეტალურად არის განხილული და დოკუმენტურად გამყარებული.

2. ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

2.1. ფონდის დაფუძნება

პირველი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც წარმოდგენილ კვლევაში მიმოვიხილავთ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდია. შესაბამისად, კვლევის წინამდებარე თავიც ამ ფონდს ეხება და, ძირითადად, საუბარია ფონდის დაფუძნების, მინიჭებული უფლებამოსილებების, წესდებაში შეტანილი ცვლილებების, გამგეობის შემადგენლობასა და თავმჯდომარესთან დაკავშირებულ თემებზე. ხოლო საკითხები, რომლებიც ეხება ფონდის მიერ უძრავი ქონების შეძენა-გასხვისებას, სხვადასხვა საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებულ ფინანსებს და ამ ფინანსების ხარჯვას, ცალკე თავებად არის წარმოდგენილი.

2005 წლის 17 მარტს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც, დაფუძნდა ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი.[1] ფონდი რეგისტრაციაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ოფიციალურად 2005 წლის 31 მარტს გაატარა. [2]

2005 წლის 17 მარტს ქ. თბილისის მთავრობის მიერ ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი დაფუძნდა.

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ფონდის მიზნებად და საქმიანობის საგნად არაერთი სფერო განისაზღვრა. კერძოდ:

- ძველი თბილისის ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა ან შესრულების კონტროლი;
- წყალსადენ-კანალიზაციისა და სადრენაჟო სისტემის, ძეგლის ინფრასტრუქტურისა და გარემოს (გზები, ტრანსპორტი, ბაღები-პარკები, განათება, ელექტრომომარაგება, დასუფთავება და ა.შ.) რეაბილიტაციის მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი;
- ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ბინის მესაკუთრეთა ასოციაციებისა და კონდომინიუმების შექმნის ხელშეწყობა;
- ქონების მართვის დარგის წახალისება;
- განსახლების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა ან/და განხორციელების კონტროლი;
- ისტორიული უბნების ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა. ამ პოტენციალის გამოყენების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და ძველი თბილისის პროგრამაში ინტეგრირება;
- ისტორიულ ქალაქში უხეში ჩარევების თავიდან აცილების მიზნით, ახალ მშენებლობებზე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;
- ძველი ქალაქის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციას შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით;
- ისტორიული ნაწილის მართვის ძლიერი უფლებამოსილი ორგანოს მოდელის შემუშავება, რომელიც ძეგლის რეაბილიტაციასა და მართვაზე მთავარი პასუხისმგებელი სააგენტო იქნება; ზემოხსენებული ორგანოს ჩამოყალიბებისა და შექმნის ხელშეწყობა ან/და დანერგვის პროცედურების კონტროლი;

[1] ქალაქ თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის #04.03.58 დადგენილება.
[2] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ქ. თბილისის სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახურის 2005 წლის 31 მარტის #36 გადაწყვეტილება.

- ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება; არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი; საგადასახადო სისტემის ცვლილებების შესაძლებლობების შესწავლა და, არსებული შესაძლებლობების გამოყენებით, ცვლილებების შესახებ პროექტების მომზადება კერძო ინვესტიციების მართვის ხელშეწყობის მიზნით;
- ძველი თბილისის კონსერვაციის გლობალური პროგრამის, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის, რესტავრაციის, ადაპტაციის, ფიზიკური რესტავრაციის, „შევსების დიზაინის“ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ა.შ. შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა;
- პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსერვაციისა და მენეჯმენტის ტრენინგების სისტემის შექმნა;
- რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული ბანკის სრულყოფა/შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- თბილისის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის/კვლევის შესაბამისი ინსტიტუციის (ცენტრი, ლაბორატორია/ინსტიტუტი/სახელოსნო) მოდელის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა ან/და კონტროლი, რათა კოორდინირებულად წარიმართოს მიმდინარე კვლევითი სამუშაოები;
- ყველა საცდელი პროექტის შესრულების კოორდინაცია ცალკეული ინიციატივებისა და ძალისხმევის ეფექტიანობისა და მიზანმიმართულობის უზრუნველსაყოფად;
- რეაბილიტაციის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში არასამთავრობო სექტორთან, კერძო სააგენტოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ორგანიზება, რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესში აქტიური ჩართვის მიზნით;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის და ფართო საზოგადოების რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესში ჩართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება;
- თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის, განვითარებისა და მართვის რეგულარული და პრევენციული მონიტორინგი;
- პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება ან/და განხორციელების კონტროლი საცდელი პროექტების სახით;
- რამდენიმე პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტის შემუშავება ან/და შესრულების ხელშეწყობა ან/და შესრულების პროცესების კონტროლი.[3]

ამავე დროს, ქ. თბილისის მთავრობამ, როგორც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის დამფუძნებელმა, ფონდს მიანიჭა უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირ ან არაპირდაპირ განეხორციელებინა მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა, რათა უზრუნველეყო ფონდის მიზნების შესრულება. ამასთან, წესდების თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ფონდის მთელი მოგება რეინვესტირებული უნდა ყოფილიყო ფონდის მიზნების, მისი განვითარებისა და სხვა აუცილებელი საქმიანობების განსახორციელებლად.[4]

წესდების მიხედვით, განისაზღვრა ასევე ფონდის უფლება-მოვალეობები, რაც მოიცავდა შემდეგს:

[3] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „2.1“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით) .
[4] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „2.2“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).

- ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების ზედამხედველობა;
- ფონდის საქმიანობის მონიტორინგისათვის აუცილებელი საინფორმაციო სისტემის შექმნა და ადმინისტრირება;
- ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოყოფილი თანხების საბუღალტრო და ფინანსური მართვა;
- გარიგების საფუძველზე ფონდის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების ხარჯვის შეფასება და კონტროლი გარიგებაში მონაწილე პირების მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე;
- ანგარიშზე ჩარიცხული თანხების გამოყენება პროექტის მიზნების მისაღწევად, დადგენილი წესით, და გამოყენების მიზნობრიობაზე ანგარიშვალდებულება დამფუძნებლის კონკრეტული დამფინანსებლის წინაშე;
- პროექტით დადგენილი სამუშაოების სწორად წარმართვის მიზნით, ქ. თბილისის მერიასთან თანამშრომლობა;
- ფონდის საქმიანობის რეკლამირებისა და პროპაგანდის მიზნით, მედიასთან აქტიური თანამშრომლობა და სხვადასხვა საინფორმაციო და სარეკლამო საშუალების გამოყენება;
- ფონდის ქონების მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა დამფუძნებლის წინაშე. [5]

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის დამფუძნებელმა – ქ. თბილისის მთავრობამ – განსაზღვრა ფონდში განხორციელებული შენატანების გამოყენების ზოგადი წესი, რომლის მიხედვით, შენატანები გამოყენებული უნდა იქნეს ფონდის საქმიანობის განსახორციელებლად, ხოლო უშუალოდ შენატანების გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება ფონდის გამგეობის პრეროგატივა გახდა.[6]

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ასევე ირკვევა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ, რომელიც ქ. თბილისის მერიას წარმოადგენდა, წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის, რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში, 150,000 ლარის გადაცემის ვალდებულება აიღო.[7] ამასთან, შენატანის უკან დაბრუნების მოთხოვნის შესაძლებლობა წესდებითვე დაუშვებლად იქნა ცნობილი. [8]

ქ. თბილისის მთავრობამ, წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის, რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში, 150,000 ლარის გადაცემის ვალდებულება აიღო.

წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესასრულებლად, ფონდს მიეცა უფლება, საკუთრებაში ჰქონოდა ქონება,[9] ხოლო, ფონდის სახსრების ფორმირების წყაროდ შემდეგი საშუალებები განისაზღვრა:

- დამფუძნებლის შენატანი;
- საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებული შემოწირულობები;
- გრანტები;
- კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.[10]

წესდების თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ფონდის დამფუძნებელმა შემდეგი უფლებამოსილება მიიღო:

[5] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-3 პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[6] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „4.3.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[7] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „4.2.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[8] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „4.3.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[9] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „6.1.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[10] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „6.3.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).

- ფონდის წესდების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა;
- ფონდის საქმიანობის შეჩერების, შეწყვეტის ან ფონდის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ფონდის გამგეობის წევრების მოწვევა და გამოთხოვნა;
- ფონდის გამგეობის შემადგენლობიდან ფონდის დირექტორისა და მისი მოადგილის დანიშვნა და გათავისუფლება.[11]

წესდების მიხედვით, ფონდის მმართველობით ორგანოდ ხუთი წევრისგან შემდგარი გამგეობა განისაზღვრა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა გამგეობის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.[12]

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობის წევრები გახდნენ:

1. უჩა გელაშვილი
2. გიორგი ასათიანი
3. სოფიო ფურცელაძე
4. ლევან ლომინაშვილი
5. თამარ მარტიაშვილი

ფონდის საქმიანობის კონტროლის უფლებამოსილება დამფუძნებელს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიენიჭა, რომლებსაც ფონდის საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის ნებისმიერ დროს შემოწმების უფლება მიეცათ.[13]

ამავე დროს ფონდის წესდების თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ფონდის საქმიანობის კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოებს ფონდის არამართლზომიერი გადაწყვეტილებების ნებისმიერ დროს შეჩერების ან გაუქმების უფლებაც ჰქონდათ.[14]

პროგრამა ფონდის მიერ მოსახლეობისაგან განსაკუთრებული მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობების გამოსყიდვას გულისხმობდა, უძრავი ქონების ბაზარზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2.2. წესდების ახალი რედაქცია და 10 მილიონი ერთი დადგენილებით

2007 წლის 31 მაისს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნა №11.01.314 დადგენილება, რომელიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების, გამგეობის წევრების კანდიდატურების წარდგენისა და დამტკიცების, გამგეობის თავმჯდომარის დანიშვნისა და ფონდის დაფინანსების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №04.03.58 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებდა. ამ მიზნით, ძველი თბილისის რაიონის 2007 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების გზით, ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების წახალისების პროგრამისათვის ხარჯების გაწევა უნდა მომხდარიყო.[15]

ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №04.03.58 დადგენილების მიხედვით: *„ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, შემუშავებული აქვს ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების განხორციელების წახალისების პროგრამა. პროგრამა გულისხმობს ფონდის მიერ მოსახლეობისაგან განსაკუთრებული მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე შენობა-ნაგებობების გამოსყიდვას, უძრავი ქონების ბაზარზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ასევე, გამოსასყიდი ობიექტების იერსახის შესანარჩუნებლად, შენობების სარეაბილიტაციო საპროექტო წინადადებების მომზადებასა და მის დამტკიცებას. აღნიშნული ქონების რეალიზაცია განხორციელ-*

[11] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-5 პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[12] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „7.1.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[13] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „9.1.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[14] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „9.2.“ პუნქტი (2005 წლის 17 მარტის რედაქციით).
[15] ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის #10.01.314 დადგენილება.

დება ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით და იგი მიმართული იქნება ქალაქის სწორი განვითარების სტიმულირებისაკენ. აღნიშნული პროგრამის ეფექტურად წარმართვისათვის, ფონდის წინასწარი გათვლებით, საჭიროა 10,000.0 ათასი ლარი.“[16]

შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობამ ძველი თბილისის რაიონის გამგეობას დაავალა, რომ ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების წახალისების პროგრამის განსახორციელებლად, ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტით ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის, შემოწირულობის სახით, 10 მილიონი ლარი გამოეყო.[17]

საია დაინტერესდა, კონკრეტულად რას ითვალისწინებდა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების განხორციელების წახალისების პროგრამა და კონკრეტულად რაში დაიხარჯა ძველი თბილისის რაიონის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის ზემოთ აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით გადარიცხული 10 მილიონი ლარი.

ამის გასარკვევად, 2012 წლის 20 იანვარს საიამ წერილობით მიმართა ქ. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის №11.01.314 დადგენილება, შესაბამისი დანართებით და ყველა სხვა დოკუმენტაციით, რაც დაკავშირებული იყო ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის №11.01.314 დადგენილების მიღებასთან.[18] თუმცა, ქ. თბილისის მერიამ, წარდგენილი განცხადება უპასუხოდ დატოვა და მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გასცა.[19]

ამრიგად, საიასთვის უცნობი დარჩა, თუ კონკრეტულად რაში დაიხარჯა ქ. თბილისის მთავრობის მიერ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების წახალისების პროგრამის განსახორციელებლად გადაცემული 10 მილიონი ლარი.

ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2007 წლის 31 მაისს ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული №11.01.314 დადგენილება, სხვა საკითხების პარალელურად, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდებასაც შეეხო. შესაბამისად, ფონდის წესდება ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.[20]

მოცემულ შემთხვევაში, ფონდის წესდების ახალი რედაქციიდან გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს.

წესდების ახალი რედაქციის მიხედვით, ფონდს მიენიჭა, კანონით დადგენილი წესით, ფილიალების (განყოფილებების), წარმომადგენლობების, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების და იმ სამეცნიერო კვლევითი ფონდების დაფუძნების უფლება, რომლებიც იმოქმედებდნენ ფონდის მიერ დამტკიცებული აქტების საფუძველზე და, აგრეთვე, განახორციელებდნენ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას.[21]

გაიზარდა ფონდის დამფუძნებლის უფლებამოსილებები, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობამ, როგორც ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა, დამატებით შემდეგი უფლებამოსილებები მიიღო:

- შეცვალოს ფონდის მიზნები;

საიასთვის უცნობი დარჩა, თუ კონკრეტულად რაში დაიხარჯა ქ. თბილისის მთავრობის მიერ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების წახალისების პროგრამის განსახორციელებლად გადაცემული 10 მილიონი ლარი.

[16] ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის #10.01.314 დადგენილება.
[17] ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის #10.01.314 დადგენილების მე-6 პუნქტი.
[18] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 20 იანვრის #გ-04/17-12 განცხადება.
[19] ქ. თბილისის მერიის მხრიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 20 იანვრის #გ-04/17-12 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისის მერიაში წარდგენილ იქნა 2012 წლის 27 თებერვლის #გ-05/05-12 ადმინისტრაციული საჩივარი.
[20] ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის #10.01.314 დადგენილება.
[21] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების „1.5.“ პუნქტი (2007 წლის 31 მაისის რედაქციით).

- მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ფონდის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისგან ფონდის საქმიანობის შესახებ;
- მოისმინოს გამგეობის ფინანსური და სხვა ხასიათის ანგარიშები;
- დაამტკიცოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ფონდის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები;
- მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის ფილიალების (წარმომადგენლობების) დაფუძნების და მათი ლიკვიდაციის შესახებ;
- გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც, ამ წესდებით, არ განეკუთვნება გამგეობის კომპეტენციას.[22]

ცვლილებები შეეხო ასევე ფონდის გამგეობას, რომლის მიხედვითაც, ფონდის გამგეობის შემადგენლობა განისაზღვრა შვიდი წევრით, ხოლო გამგეობის წევრების ხუთი წლით არჩევის კომპეტენცია ფონდის დამფუძნებელს დარჩა.[23]

გამგეობის შემადგენლობის ხუთიდან შვიდ წევრამდე გაზრდის პარალელურად, განახლდა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობის შემადგენლობა. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის №11.01.314 დადგენილების მიხედვით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობის წევრები გახდნენ:

1. მამუკა ახვლედიანი
2. ლაშა ფურცხვანიძე
3. ეკა შარაშიძე
4. სოფო ფურცელაძე
5. ხათუნა ოჩიაური
6. თამარ მარტიაშვილი

ფონდის მიერ ქონების გასხვისების შესაძლებლობა დაშვებულ იქნა იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს შეუწყობდა მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას, ან წარმოადგენდა საქველმოქმედო საქმიანობას.

ცვლილებები შეეხო ასევე ფონდის ქონებასა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვით, ფონდის სახსრების შექმნის ჩამონათვალს დაემატა:

- საკუთარი საწარმოებისა და ორგანიზაციების კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
- კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლები.[24]

ამასთან, წესდების ახალი რედაქციის მიხედვით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ ქონების გასხვისების შესაძლებლობა დაშვებულ იქნა იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს შეუწყობდა მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას, ან წარმოადგენდა საქველმოქმედო საქმიანობას.[25]

შესაბამისად, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს მიენიჭა უფლებამოსილება – ქონება, რომელსაც დამფუძნებელი საკუთრებაში გადასცემდა, დამოუკიდებლად გაესხვისებინა. მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ აღნიშნული ქონების გასხვისების უფლების რეალიზების პროცესში ფონდი არ საჭიროებდა დამფუძნებლის თანხმობას, ან კიდევ სხვა რაიმე სახის ისეთ შეზღუდვას, რაც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს ქონების გასხვისების ნაწილში გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების შესაძლებლობას შეუზღუდავდა.

---

[22] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მეოთხე მუხლი (2007 წლის 31 მაისის რედაქციით).

[23] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მეხუთე მუხლის პირველი პუნქტი (2007 წლის 31 მაისის რედაქციით).

[24] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მეშვიდე მუხლის „7.2.2“ და „7.2.5.“ პუნქტები (2007 წლის 31 მაისის რედაქციით).

[25] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მეშვიდე მუხლის „7.6.“ და პუნქტი (2007 წლის 31 მაისის რედაქციით).

2.3. ახალი თავმჯდომარე, ცვალებადი გამგეობის შემადგენლობა და ფონდის ლიკვიდაცია

2007-2009 წლებში ქ. თბილისის მერიამ სამჯერ შეცვალა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობის წევრთა რაოდენობა. პარალელურად, იცვლებოდა გამგეობის შემადგენლობაც, რასაც თან სდევდა წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება. შესაბამისად, ამ თავში 2007-2009 წლებში ფონდის წესდებაში განხორციელებულ ცვლილებებს მიმოვიხილავთ.

2007 წლის 20 ივლისს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნა №15.27.424 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობის წევრთა შემადგენლობა რვამდე გაიზარდა, ხოლო ფონდის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა სერგო ქავთარაძე, რომელიც ამავე დროს გამგეობის ახალი წევრი გახდა.[26] გამგეობის სრული შემადგენლობა კი, შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

1. სერგო ქავთარაძე – თავმჯდომარე
2. მამუკა ახვლედიანი
3. ლაშა ფურცხვანიძე
4. ეკა შარაშიძე
5. სოფიო ფურცელაძე
6. ხათუნა ოჩიაური
7. ლევან ლომინაშვილი
8. თამარ მარტიაშვილი

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდებაში, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 20 ივლისს №15.27.424 დადგენილებით, სხვა რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ შესულა.

ზემოთ აღნიშნული ცვლილების შემდეგ, 2009 წლის 24 თებერვალს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა №05.09.118 დადგენილება, რომლის მიხედვით, ფონდის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა სერგო ქავთარაძემ შეინარჩუნა,[27] ხოლო წესდების ახალი რედაქციის მიხედვით, ფონდის გამგეობის წევრთა რაოდენობა რვიდან ხუთამდე შემცირდა და შემდეგი შემადგენლობით განისაზღვრა:[28]

1. სერგო ქავთარაძე – თავმჯდომარე
2. მამუკა ახვლედიანი
3. ეკა შარაშიძე
4. თამარ მარტიაშვილი
5. დავით ავალიანი

ფონდის გამგეობის შემადგენლობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მთავრობამ 2009 წლის 25 ნოემბერს კიდევ ერთი, №31.13.1049 დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვით, გამგეობის წევრთა რაოდენობა ამჯერად უკვე ხუთიდან ექვსამდე გაიზარდა და გამგეობის ძველ შემადგენლობას დავით ნინიძე დაემატა.[29]

გარდა ამისა, ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 25 ნოემბრის №31.13.1049 დადგენილებით დამტკიცებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების ახალ რედაქციაში კიდევ ორი საგულისხმო პუნქტი ჩაიწერა. პირველ შემთხვევაში, ფონდის დამფუძნებლის უფლებამოსილებების ნაწილიდან ამოღებულ იქნა უფლება, რომლის მიხედვით, ქ. თბილისის მერია ამტკიცებდა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ფონდის საქმიანობის

[26] ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 20 ივლისის #15.27.424 დადგენილება.

[27] ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის #05.09.118 დადგენილების მე-2 პუნქტი.

[28] ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის #05.09.118 დადგენილების მე-2 პუნქტი; ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-5 მუხლის „5.1“ პუნქტი (2009 წლის 24 თებერვლის რედაქციით).

[29] ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 25 ნოემბრის #31.13.1049 დადგენილება; ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-5 მუხლის „5.1“ პუნქტი (2009 წლის 25 ნოემბრის რედაქციით).

სტრატეგიულ მიმართულებებს.[30] ხოლო მეორე შემთხვევაში, შეიცვალა ასევე წესდების იმ ნორმის კონსტრუქცია, რომელიც ფონდის მიერ ქონების გასხვისებას ეხებოდა. შესაბამისად, თუკი წესდების ძველი რედაქციის მიხედვით, ფონდის ქონების გასხვისება იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ იგი ხელს უწყობდა მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურებოდა საქველმოქმედო საქმიანობას,[31] ახალი რედაქციის მიხედვით, იმავე ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული ნორმა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: ***ქონების გასხვისება შესაძლებელია დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უწყობს მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.***[32]

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, წესდების ახალი რედაქციით, ქონების გასხვისებისთვის დამფუძნებლის გადაწყვეტილება გახდა აუცილებელი პირობა, ხოლო მეორე მხრივ, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ფონდს კვლავ დარჩა უფლება, გაესხვისებინა ქონება, თუკი ქონების გასხვისება ხელს შეუწყობდა ფონდის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურებოდა საქველმოქმედო საქმიანობას. თუმცა, თავისთავად, სამივე პირობა, რომელთა შემთხვევაშიც ფონდს ქონების გასხვისების უფლება დარჩა, შესაძლებელია ფართოდ იქნეს განმარტებული. აღნიშნული კი, ფაქტობრივად, ფონდს ქონების გასხვისებისათვის რამე განსაკუთრებულ დამაბრკოლებელ წინაპირობებს არ უწესებს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქონება, რომლის გასხვისების უფლებაც ფონდს მიეცა, უმეტესად სწორედ დამფუძნებლის, ანუ ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული ფინანსებით იქმნებოდა.

რაც შეეხება დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე ფონდის ქონების გასხვისებას, აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დამფუძნებელმა ფაქტობრივად ერთპიროვნულად, რაიმე სახის წინაპირობის გარეშე, დაიტოვა ფონდის ქონების გასხვისების უფლებამოსილება.

ქონება, რომლის გასხვისების უფლებაც ფონდს მიეცა, უმეტესად სწორედ დამფუძნებლის, ანუ ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული ფინანსებით იქმნებოდა.

ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2009 წლის 25 ნოემბერს დამტკიცებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების რედაქცია აღმოჩნდა ის დოკუმენტი, რომლითაც ფონდი საქმიანობას ლიკვიდაციამდე აგრძელებდა.

ფონდის ლიკვიდაციამდე კი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, 2011 წლის 21 ოქტომბერს მიღებული იქნა №29.14.1148 დადგენილება, რომლის მიხედვით, შეიცვალა ფონდის თავმჯდომარე და აღნიშნულ თანამდებობაზე სერგო ქავთარაძე კახი მაღრაძემ ჩაანაცვლა.[33] შესაბამისად, იმავე პრინციპით ცვლილება მოხდა ფონდის გამგეობის შემადგენლობაშიც.[34]

კახი მაღრაძის ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნიდან მცირე დროში, დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის ლიკვიდაცია დაიწყო.[35]

ფონდის წესდებით განსაზღვრული იყო წესები, რომელთა დაცვითაც უნდა განხორციელებულიყო ფონდის ლიკვიდაცია.[36] კერძოდ, ლიკვიდაციის პროცედურის განხორციელება ფონდის თავმჯდომარის უფლებამოსილებას

[30] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-4 მუხლი (2009 წლის 25 ნოემბრის რედაქციით).
[31] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.6." პუნქტი (2009 წლის 24 თებერვლის რედაქციით).
[32] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.6." პუნქტი (2009 წლის 25 ნოემბრის რედაქციით).
[33] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 21 ნოემბრის #29.14.1148 დადგენილების მე-2 პუნქტი.
[34] ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 2011 წლის 28 ოქტომბრის #06-7/13778 წერილი.
[35] ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 11 იანვრის #02.05.30 დადგენილება.
[36] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-9 მუხლის „9.2" პუნქტი (წესდების 2009 წლის 25 ნოემბრის რედაქცია).

წარმოადგენდა.[37] ლიკვიდაციის შემთხვევაში, აუცილებელ მოთხოვნად იყო დადგენილი მიმდინარე საქმეების დამთავრება და კრედიტორების დაკმაყოფილება. ამასთან, დარჩენილი ქონება, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, უნდა გადასცემოდა ანალოგიური ან მსგავსი საქმიანობით დაკავებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ან ქალაქ თბილისის ადგილობრივ თვითმმართველობას.[38]

წესდებით ასევე განისაზღვრა ქონების გასხვისების შესაძლებლობა ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში. ამისათვის კი, ორი საფუძველი შეიძლებოდა არსებულიყო: პირველი, როცა ქონების გასხვისება ხელს უწყობდა ფონდის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას და, მეორე, როცა ქონების გასხვისება ემსახურებოდა საქველმოქმედო მიზნებს.[39]

ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ, 2012 წლის 7 მარტს, ქ. თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის სალიკვიდაციო ღონისძიებები დასრულებულად გამოცხადდა.[40]

შესაბამისად, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, რომელიც ქ. თბილისის მერიამ 2005 წელს დააფუძნა[41] და რომელიც, მიზნების განსახორციელებლად, ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ლარის მოცულობის დაფინანსებას იღებდა, ხოლო ამ ფინანსების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია დღემდე გაუმჭვირვალეა და სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საიდუმლოდაა გამოცხადებული, ფონდი, რომელიც საეჭვოდ ფიგურირებს უძრავი ქონების შეძენა-გასხვისების შემთხვევებში და, მიუხედავად მასშტაბური დაფინანსებისა, ვებგვერდიც კი არ ჰქონდა, დამფუძნებლის 2012 წლის 7 მარტის №07.01.193 დადგენილებით, ლიკვიდირებულად იქნა გამოცხადებული.

2012 წლის 12 მარტს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.

ამრიგად, 2012 წლის 12 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა.[42]

[37] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-9 მუხლის „9.3.“ პუნქტი (წესდების 2009 წლის 25 ნოემბრის რედაქცია).

[38] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-9 მუხლის „9.4.“ პუნქტი (წესდების 2009 წლის 25 ნოემბრის რედაქცია).

[39] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-9 მუხლის „9.5.“ პუნქტი (წესდების 2009 წლის 25 ნოემბრის რედაქცია)

[40] ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 7 მარტის #07.01.193 დადგენილების პირველი პუნქტი.

[41] ქალაქ თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის #04.03.58 დადგენილება.

[42] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 12 მარტის #12032055/3 გადაწყვეტილება.

3. აიპ თბილისის განვითარების ფონდი

3.1. ფონდის დაფუძნება

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი არ ყოფილა ერთადერთი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც ქ. თბილისის მთავრობამ ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით დააარსა.

2010 წლის 16 ივლისს, ქ. თბილისის მთავრობამ, №20.01.964 დადგენილებით, აიპ თბილისის განვითარების ფონდის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო.[43]

თავისთავად, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის შექმნაში განსაკუთრებული არაფერია და, შესაძლოა, საიას ყურადღებაც არ დაემსახურებინა, რომ არა ერთი გარემოება. კერძოდ, თბილისის განვითარების ფონდის წესდებით განსაზღვრული მიზნები, უმრავლეს შემთხვევაში, იმეორებს ქ. თბილისის მთავრობის მიერ თბილისის განვითარების ფონდის დაფუძნებამდე ბევრად ადრე დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საწესდებო მიზნებს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რაში დასჭირდა ქ. თბილისის მერიას იდენტური საწესდებო მიზნების მქონე კიდევ ერთი ფონდის დაფუძნება? სანამ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით, საიას სურს, მკითხველს, საილუსტრაციოდ, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდის საწესდებო მიზნების შედარებითი ცხრილი შესთავაზოს, რომელიც ცხადყოფს, რომ, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, აღნიშნულ ორ ფონდს დამფუძნებელმა იდენტური საწესდებო მიზნები განუსაზღვრა. [44][45]

თბილისის განვითარების ფონდის წესდებით განსაზღვრული მიზნები, უმრავლეს შემთხვევაში, იმეორებს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საწესდებო მიზნებს.

დამფუძნებელი: ქ. თბილისის მთავრობა	
ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი[46]	თბილისის განვითარების ფონდი[47]
• ძველი თბილისის ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა ან შესრულების კონტროლი; • წყალსადენ-კანალიზაციისა და სადრენაჟო სისტემის, ძეგლის ინფრასტრუქტურისა და გარემოს (გზები, ტრანსპორტი, ბაღები-პარკები, განათება, ელექტრომომარაგება, დასუფთავება და ა.შ.) რეაბილიტაციის მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი; • ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ბინის	• ქ. თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია - გამაგრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი; • ქ. თბილისში წყალსადენ-კანალიზაციისა და სადრენაჟო სისტემის ინფრასტრუქტურისა და გარემოს (გზები, ტრანსპორტი, ბაღები, პარკები, განათება, ელექტრომომარაგება და ა.შ) რეაბილიტაციის მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი; • ქონების მართვისა და ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა,

[43] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის #20.01.964 დადგენილება.
[44] ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-2 მუხლი (2009 წლის 25 ნოემბრის რედაქციით).
[45] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი (2010 წლის 16 ივლისის მდგომარეობით).

მესაკუთრეთა ასოციაციებისა და კონდომინიუმების შექმნის ხელშეწყობა; • ქონების მართვის დარგის წახალისება; • განსახლების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა ან და განხორციელების კონტროლი; • ისტორიული უბნების ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა; ამ პოტენციალის გამოყენების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და ძველი თბილისის პროგრამაში ინტეგრირება; • ისტორიულ ქალაქში უხეში ჩარევების თავიდან აცილების მიზნით, ახალ მშენებლობებზე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება; • ძველი ქალაქის რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციას შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით; • ისტორიული ნაწილის მართვის ძლიერი უფლებამოსილი ორგანოს მოდელის შემუშავება, რომელიც ძეგლის რეაბილიტაციასა და მართვაზე მთავარი პასუხისმგებელი სააგენტო იქნება; ზემოხსენებული ორგანოს ჩამოყალიბებისა და შექმნის ხელშეწყობა ან/და დანერგვის პროცედურების კონტროლი; • ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება; არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი; საგადასახადო სისტემის ცვლილებების შესაძლებლობების შესწავლა და, არსებული შესაძლებლობების გამოყენებით, ცვლილებების შესახებ პროექტების მომზადება კერძო ინვესტიციების მართვის ხელშეწყობის მიზნით; • ძველი თბილისის კონსერვაციის გლობალური პროგრამის, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის, რესტავრაციის, ადაპტაციის, ფიზიკური	სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა; • ისტორიული უბნების ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა, მათი გამოყენების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და ქ. თბილისის განვითარებისათვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა და ხელშეწყობა; • ქ. თბილისის სხვადასხვა უბანში განსახორციელებელ, ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა და მათი ყოველმხრივ მხარდაჭერა; • ისტორიულ ქალაქში უხეში ჩარევების თავიდან აცილების მიზნით, ახალ მშენებლობებზე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება; • ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა და აღნიშნული პროექტების მიმდინარეობის ზედამხედველობა-კონტროლი; • თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება, სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუტს შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით; • ქალაქის ისტორიულ ნაწილში კულტურის უძრავი ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება, არსებული ფინანსური შესაძლებლობის კვლევა, ანალიზი და ოპტიმალური გამოყენება; • ქ. თბილისის განვითარების პროცესში კერძო ინვესტირების ჩართვის ხელშეწყობა და, ამ მიზნით, საინვესტიციო ჯგუფებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება, საქმიანი, კონკრეტული მოლაპარაკებების წარმოება და შესაბამისი შეთავაზებების მიწოდება; • ძველი თბილისის კონსერვაციის გლობალური პროგრამის, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის, რესტავრაციის, ადაპტაციის, ფიზიკური რესტავრაციის სახელმძღვანელო

რესტავრაციის, „შევსების დიზაინის“ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ა.შ. შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა; • პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსერვაციისა და მენეჯმენტის ტრენინგების სისტემის შექმნა; • რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა; • ინფორმაციული ბანკის სრულყოფა/შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის; • თბილისის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის/კვლევის შესაბამისი ინსტიტუციის (ცენტრი, ლაბორატორია/ინსტიტუტი/სახელოსნო) მოდელის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა ან/და კონტროლი იმისათვის, რომ კოორდინირებულ იქნეს მიმდინარე კვლევითი სამუშაოები; • ყველა საცდელი პროექტის შესრულების კოორდინაცია ცალკეული ინიციატივებისა და ძალისხმევის ეფექტიანობის, მიზანმიმართულობის უზრუნველყოფის მიზნით; • რეაბილიტაციის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში არასამთავრობო სექტორთან, კერძო სააგენტოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ორგანიზება, რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში აქტიური ჩართვის მიზნით; • საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა; • მოსახლეობის და ფართო საზოგადოების რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესში ჩართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება; • თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის, განვითარებისა და მართვის რეგულარული და პრევენციული მონიტორინგი; • პრაქტიკული სამუშაოების	პრინციპებისა და ა.შ. შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა; • პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსერვაციისა და მენეჯმენტის ტრენინგების სისტემის შექმნა; • რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო ტრენინგებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა; • ინფორმაციული ბანკის სრულყოფა/შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქ. თბილისის განვითარების პროცესში; • ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში არასამთავრობო სექტორთან, კერძო სააგენტოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ორგანიზება, რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში აქტიური ჩართვის მიზნით; • საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში, მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა; • ქალაქის განვითარების მიზნით, პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება ან/და განხორციელების კონტროლი; • საინვესტიციო პროექტების შემუშავება ან/და შესრულების ხელშეწყობა ან/და შესრულების პროცესების კონტროლი.

განხორციელება ან/და განხორციელების კონტროლი საცდელი პროექტების სახით; • რამდენიმე პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტის შემუშავება ან/და შესრულების ხელშეწყობა ან/და შესრულების პროცესების კონტროლი.	

თბილისის განვითარების ფონდის წესდების მიხედვით, განისაზღვრა ასევე დამფუძნებლის უფლებამოსილებები, რომლის მიხედვით, ფაქტობრივად, დამფუძნებელმა იგივე უფლებამოსილებები მიიღო, რაც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის შემთხვევაში. კერძოდ:

- დაამტკიცოს ფონდის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;
- შეცვალოს ფონდის მიზნები;
- აირჩიოს და გამოიწვიოს ფონდის გამგეობის წევრები და გამგეობის თავმჯდომარე;
- აირჩიოს და გამოიწვიოს ფონდის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი – ფონდის თავმჯდომარე და განსაზღვროს მისი უფლებამოსილებები;
- მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ფონდის ხელმძღვანელი ორგანოსა და პირებისაგან ფონდის საქმიანობის შესახებ;
- მოისმინოს გამგეობის ფინანსური და სხვა ხასიათის ანგარიშები;
- მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის ფილიალების (წარმომადგენლობების) დაფუძნებისა და მათი ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის საქმიანობის შეჩერების, ფონდის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;
- შენატანის სახით გადასცეს ფონდს ქონება და მატერიალური/ფინანსური აქტივები ფონდის მიზნების განსახორციელებლად;
- მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის მიერ უძრავი ქონების შეძენასა და მის განკარგვაზე;
- გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის ან ფონდის თავმჯდომარის კომპეტენციას.[46]

თბილისის განვითარების ფონდის წესდების მიხედვით, დამფუძნებელმა იგივე უფლებამოსილებები მიიღო, რაც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის შემთხვევაში.

წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელ ორგანოდ მიჩნეულ იქნა გამგეობა, რომლის შემადგენლობა ცხრა წევრით განისაზღვრა. ფონდის გამგეობის შემადგენლობის ხუთი წლით არჩევა კი, დამფუძნებლის კომპეტენციას მიეკუთვნა.[47]

ფონდის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ფონდის თავმჯდომარეს დაეკისრა, რომლის თანამდებობაზე არჩევა და თანამდებობიდან გათავისუფლება დამფუძნებლის უფლებამოსილებას წარმოადგენს.[48]

ამასთან, წესდების მიხედვით განისაზღვრა, რომ ფონდის თავმჯდომარე არ შედის ფონდის გამგეობის შემადგენლობაში, თუმცა, ფონდის თავმჯდომარე ესწრება გამგეობის სხდომებს და წარუდგენს გამგეობის წევრებს დასამტკიცებელ საკითხებს.[49]

[46] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-4 მუხლი (წესდების 2010 წლის 16 ივლისის რედაქცია).
[47] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-5 მუხლის „5.1.“ პუნქტი (წესდების 2010 წლის 16 ივლისის რედაქცია).
[48] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.1.“ პუნქტი (წესდების 2010 წლის 16 ივლისის რედაქცია).
[49] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.2.“ პუნქტი (წესდების 2010 წლის 16 ივლისის რედაქცია).

საინტერესოა თბილისის განვითარების ფონდის გამგეობის შემადგენლობაც, რომელიც, ნაწილობრივ, იმავე პერსონებით იქნა წარმოდგენილი, რომლებითაც თავის დროზე ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობა დაკომპლექტდა. კერძოდ, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, თბილისის განვითარების ფონდის გამგეობის წევრები გახდნენ:

1. დავით ნინიძე
2. მამუკა ახვლედიანი
3. რამაზ სულამანიძე
4. ნოდარ სანდუხაძე
5. დავით ბურდული
6. თემურ გრიგალაშვილი
7. გიორგი ნიკოლაძე
8. დავით ავალიანი
9. არისი ბოჭოიძე[50]

საყურადღებოა, რომ თბილისის განვითარების ფონდის ცხრა წევრიანი გამგეობის შემადგენლობიდან სამი წევრი – დავით ნინიძე, მამუკა ახვლედიანი და დავით ავალიანი – პარალელურად, ასევე, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის ხუთ წევრიანი გამგეობის წევრებიც იყვნენ.[51] რაც შეეხება თბილისის განვითარების ფონდის გამგეობის დანარჩენ ექვს წევრს, მათგან ხუთი – თბილისის რაიონების გამგებლები არიან,[52] ხოლო ერთი – თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი.[53]

თავის მხრივ, დავით ნინიძეს დღემდე უკავია თბილისის მერის პირველი მოადგილის – ვიცე-მერის თანამდებობა[54], ხოლო მამუკა ახვლედიანი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.[55]

თბილისის განვითარების ფონდის გამგეობის შემადგენლობა ცხადყოფს, რომ მისი დაკომპლექტების დროს ქ. თბილისის მთავრობამ, როგორც ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა, აქცენტი თბილისის მერიისა და საკრებულოს შესაბამის თანამდებობის პირებსა და რაიონების გამგებლებზე გააკეთა.

თბილისის განვითარების ფონდის ცხრა წევრიანი გამგეობის შემადგენლობიდან სამი წევრი – დავით ნინიძე, მამუკა ახვლედიანი და დავით ავალიანი – პარალელურად, ასევე, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის ხუთ წევრიანი გამგეობის წევრებიც იყვნენ.

თბილისის განვითარების ფონდის წესდებით, განისაზღვრა ფონდის ფინანსებსა და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები.

წესდების მიხედვით, ფონდის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის.[56]

რაც შეეხება ფონდის სახსრების შექმნას, კანონით დადგენილი წესით, ასეთად მიჩნეულ იქნა:

- დამფუძნებლის ქონებრივი და ფინანსური შენატანები/შემოწირულობები;
- საკუთარი დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით, საწარმოებისა და ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლები;

[50] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის #20.01.964 დადგენილების მე-4 პუნქტი.
[51] ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 25 ნოემბრის #31.13.1049 დადგენილების მე-2 პუნქტი.
[52] თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=4270 მიხედვით: რამაზ სულამანიძე - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი; ნოდარ სანდუხაძე - გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი; თემურ გრიგალაშვილი - ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი; გიორგი ნიკოლაძე - დიდგორის რაიონის გამგებელი; დავით ავალანი - ძველი თბილისის რაიონის გამგებელი; დავით ბურდული - ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი.
[53] თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=4270 მიხედვით: არისი ბოჭოიძეს უკავია თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის თანამდებობა.
[54] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=166
[55] http://www.sakrebulo.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=369
[56] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.1." პუნქტი (2010 წლის 16 ივლისის რედაქციით).

- ადგილობრივი, უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო, საქველმოქმედო შემოწირულობები;
- გრანტები;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებიდან შემოსული შემოსავლები;
- სხვა წყაროებიდან შემოსული შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.[57]

ფონდის წესდებით განისაზღვრა ასევე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ქონების გასხვისება. ამ შემთხვევაშიც, თბილისის განვითარების ფონდის წესდებაში იგივე შინაარსის ნორმა ჩაიწერა, რაც იყო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდებაში. კერძოდ, ***ქონების გასხვისება შესაძლებლად იქნა მიჩნეული დამფუძნებლის ან/და გამგეობის გადაწყვეტილების შემთხვევაში, ასევე მაშინაც, თუ იგი ხელს უწყობს ფონდის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.***[58]

შესაბამისად, როგორც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის შემთხვევაში, ამჯერადაც ფონდის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების წინაპირობად, ერთი მხრივ, დამფუძნებლის გადაწყვეტილება იქნა მიჩნეული, ხოლო მეორე მხრივ, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ფონდს კვლავ დარჩა უფლება, გაესხვისებინა ქონება, თუკი ქონების გასხვისება ხელს შეუწყობდა ფონდის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურებოდა საქველმოქმედო საქმიანობას. თავისთავად, ***სამივე პირობა, რომლითაც ფონდს ქონების გასხვისების უფლება მიენიჭა, შესაძლებელია ფართოდ იქნეს განმარტებული. აღნიშნული გარემოება, ფაქტობრივად, ფონდს ქონების გასხვისებისას რამე განსაკუთრებულ დამაბრკოლებელ წინაპირობებს არ უწესებს.*** მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქონება, რომლის გასხვისების უფლებაც ფონდს მიეცა, უმეტესად სწორედ დამფუძნებლის, ანუ ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული ფინანსებით იქმნება.

ქონება, რომლის გასხვისების უფლებაც ფონდს მიეცა, უმეტესად სწორედ დამფუძნებლის, ანუ ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული ფინანსებით იქმნებოდა.

უდავოდ ყურადღებას იმსახურებს თბილისის განვითარების ფონდის წესდების ის ნაწილი, რომელიც ფონდის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ეხება.[59] წესდების თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, მე-6 მუხლის „6.3.3." პუნქტში ჩაიწერა, რომ ფონდის თავმჯდომარე: ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ***გამგეობასთან შეთანხმებით, იძენს და განკარგავს ფონდის უძრავ ქონებას. ფონდის უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვის ან გასხვისებისთვის აუცილებელია ფონდის დამფუძნებლის თანხმობა.***[60] შესაბამისად, წესდებაში არსებული ამ ჩანაწერით, ფონდს, უძრავი ქონების გასხვისების ან სხვაგვარად დატვირთვის შემთხვევაში, დამფუძნებლისგან თანხმობის მიღების წინაპირობა განესაზღვრა. თუმცა, აღნიშნულმა ჩანაწერმა თბილისის განვითარების ფონდის წესდებაში ერთი წელიც ვერ გაძლო.

[57] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.2." პუნქტი (2010 წლის 16 ივლისის რედაქციით).
[58] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.6." პუნქტი (2010 წლის 16 ივლისის რედაქციით).
[59] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.3." პუნქტი (2010 წლის 16 ივლისის რედაქციით).
[60] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.3.3." ქვეპუნქტი (2010 წლის 16 ივლისის რედაქციით).

3.2. ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, როგორც თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებელი

თბილისის განვითარების ფონდის დაფუძნებიდან სულ მალე, 2010 წლის აგვისტოში, დამფუძნებლის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ცვლილებები შევიდა თბილისის განვითარების ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.[61]

თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, ***ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებელი გახდა.***[62] შესაბამისად, თბილისის განვითარების ფონდის წესდებაში ***სიტყვა „დამფუძნებელი" შეიცვალა სიტყვით – „დამფუძნებლები".***[63]

თუმცა, ეს არ ყოფილა ერთადერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რის გამოც საია თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს №22.05.1047 დადგენილებით დაინტერესდა. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის მიხედვით, ***ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, როგორც თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებელს, უფლება მიეცა, შესაბამისი შენატანები განეხორციელებინა თბილისის განვითარების ფონდში.***[64]

ხსენებული ცვლილება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა დადგენა, თუ რა თანხა მიიღო 2010-2011 წლებში თბილისის განვითარების ფონდმა ქ. თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული სახსრებიდან. აღნიშნულ სირთულეს კი განაპირობებს ის გარემოება, რომ თბილისის ბიუჯეტის შესრულების 2010-2011 წლების ანგარიშებში არსად არაფერია ნათქვამი თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემული თანხების ოდენობის შესახებ. შესაბამისად, ***თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თბილისის განვითარების ფონდის დაფუძნებიდან სულ მალე ქ. თბილისის მთავრობამ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებლად გამოაცხადა და ამ უკანასკნელისთვის შესაბამისი შენატანების გადაცემის უფლება მისცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2010-2011 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გამოყოფილი თანხების ნაწილი სწორედ თბილისის განვითარების ფონდს გადაეცა.*** აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ისევე, როგორც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის, ასევე თბილისის განვითარების ფონდის შემთხვევაშიც, საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული ფინანსები და ამ ფინანსების ხარჯვა მოკლებულია გამჭვირვალობას.

თბილისის ბიუჯეტის შესრულების 2010-2011 წლების ანგარიშებში არაფერია ნათქვამი თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემული თანხების ოდენობის შესახებ.

[61] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილება.
[62] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილების პირველი პუნქტი.
[63] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილების მე-3 პუნქტი.
[64] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილების მე-2 პუნქტი.

4. ფონდები და ფინანსები

კვლევაზე მუშაობის დროს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის გარკვევა, რა ოდენობის თანხებს გადასცემდა ქ. თბილისის მერია, როგორც დამფუძნებელი, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს და, ასევე, თბილისის განვითარების ფონდს, წესდებით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად.

შესაბამისად, წარმოდგენილ თავში საია მკითხველს მოუთხრობს ქ. თბილისის მთავრობის მიერ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისათვის გადაცემული ფინანსების შესახებ.

საიას არაერთი მცდელობა, მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია ქ. თბილისის მთავრობის მიერ ზემოთ ხსენებული ფონდებისათვის გადაცემული თანხების შესახებ, უშედეგო აღმოჩნდა. ამ მხრივ, სასურველი ინფორმაცია ვერც ადმინისტრაციული საჩივრების და სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში წარდგენილი სარჩელების თუ საჩივრების შემდეგ მივიღეთ.

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს კვლევის პროცესში ქ. თბილისის მერიიდან კონსტიტუციით გარანტირებული საჯარო ინფორმაციის მიღების სირთულეზე.

4.1. თბილისის მერიის ორმაგი სტანდარტი, საიას და სტუდია მონიტორის საქმეები

4.1.1. *ნაწილი პირველი – სტუდია მონიტორის საქმე*

საიას არაერთი მცდელობა, მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ფონდებისათვის გადაცემული თანხების შესახებ, უშედეგო აღმოჩნდა.

თავდაპირველად, გვსურს, მკითხველს მოვუთხროთ იმ ერთსა და იმავე შინაარსის განცხადებების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც ქ. თბილისის შესაბამისი ბიუჯეტებიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისთვის წლების განმავლობაში გადარიცხულ თანხებს შეეხებოდა.

კვლევაზე მუშაობის პარალელურად, საიას ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, მომზადდა ორი განცხადება, რომლებიც „სტუდია მონიტორმა“ კანონით დადგენილი წესით წარადგინა ქ. თბილისის მერიაში.

„სტუდია მონიტორი“ ქ. თბილისის მერიისგან, №138-07/11 განცხადებით, შემდეგი სახის ინფორმაციას ითხოვდა: 2005 წლის 31 მარტიდან 2011 წლის 5 ივლისამდე ქ. თბილისის მერიამ, როგორც „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ დამფუძნებელმა, შენატანისა და გადარიცხვის სახით, რა ოდენობის თანხა გადასცა „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს“ ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტებიდან.[65]

კიდევ ერთი, №139-07/11 განცხადებით, „სტუდია მონიტორი“ ითხოვდა შემდეგ ინფორმაციას: 2010 წლის 20 ივლისიდან 2011 წლის 5 ივლისამდე ქ. თბილისის მერიამ, როგორც თბილისის განვითარების ფონდის“ დამფუძნებელმა, შენატანისა და გადარიცხვის სახით, რა ოდენობის თანხა გადასცა „თბილისის განვითარების ფონდს“ ქ. თბილისის 2010-2011 წლების ბიუჯეტებიდან.[66]

„სტუდია მონიტორის“ ორივე განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისის მერიას მოთხოვნილი ინფორმაცია შესაბამისი წლების და მიზნობრიობის მითითებით უნდა გაეცა.[67]

თბილისის მერიამ წარდგენილი განცხადებები რეაგირების გარეშე დატოვა და არ გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, საიას ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ მომზადდა სასარჩელო

[65] სტუდია მონიტორის 2011 წლის 5 ივლისის #138-07/11 განცხადება.
[66] სტუდია მონიტორის 2011 წლის 5 ივლისის #139-07/11 განცხადება.
[67] სტუდია მონიტორის 2011 წლის 5 ივლისის #138-07/11 და #139-07/11 განცხადებები.

განცხადება, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში იქნა წარდგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ „სტუდია მონიტორის“ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.[68] კერძოდ, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, მოპასუხე მხარეს, ქ. თბილისის მერიას, დაევალა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა ***მისი დამუშავების დასრულებისთანავე.***[69] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს არანაირი ვადა არ განუსაზღვრავს ქ. თბილისის მერიისათვის, რა ვადაშიც მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას დაავალდებულებდა.

სასამართლოს პოზიციით: ***„მოპასუხემ ვერ მოახერხა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ვადაში სადავო ინფორმაციის დამუშავება, რაც მიუთითებს დამუშავების პროცესის სირთულეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის ინტერესია, მიიღოს ინფორმაცია სრულყოფილად, მოპასუხეს უნდა დაევალოს სადავო ინფორმაციის მოსარჩელეზე გაცემა მისი დამუშავების დასრულებისთანავე.“*** [70]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის ხსენებისას, რატომღაც სასამართლოს „დაავიწყდა“, რომ იგივე მუხლი, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მაქსიმალურ ვადად, რომელიც შესაძლოა საჯარო დაწესებულებამ გამოიყენოს, ათ დღეს მიიჩნევს,[71] ხოლო ინფორმაციის დამუშავების სირთულის მოტივით ინფორმაციის გაუცემლობას საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის ხსენებისას, რატომღაც სასამართლოს „დაავიწყდა“, რომ იგივე მუხლი, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მაქსიმალურ ვადად, მხოლოდ ათ დღეს მიიჩნევს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარის მიერ იქნა გასაჩივრებული სააპელაციო წესით.

საიას ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ მომზადებულ სააპელაციო საჩივარში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ქ. თბილისის მერიას, როგორც განცხადების ადრესატს, არ ჰქონდა გაცემული თუნდაც მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი. ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის ზემოთ აღნიშნული ფორმით ინტერპრეტირების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს, ფაქტობრივად, ერთმეოდა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით სარგებლობის პრაქტიკული შესაძლებლობა.[72]

თავის მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ სააპელაციო საჩივარში ქ. თბილისის მერია მიუთითებდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემისათვის, მისი დამუშავებული და დასრულებული სახით არსებობა არის აუცილებელი წინაპირობა. ქ. თბილისის მერიის მოსაზრებით: ***„როცა არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს საჯაროს და ექვემდებარება გაცემას, სასამართლოს მიერ ამ ინფორმაციის გაცემის დავალება დაუსაბუთებელია და უსაფუძვლო. მხოლოდ მოთხოვნილი დოკუმენტაციის დამუშავების შემდეგ მოხდება იმ ინფორმაციის გამოცალკევება, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად და რა ინფორმაცია იქნება მიჩნეული საჯარო ინფორმაციად. ხოლო ამ ეტაპისათვის არ დგინდება, არის თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია რაიმე სახის საიდუმლოების შემცველი. ანუ დღეის მდგომარეობით არ არსებობს სისტემურად ჩამოყალიბებული და სტრუქტურულად გამართული დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ პირს შეიძლება გადაეცეს გასაცნობად.“*** [73]

ამასთან, რაც არ უნდა რთული წარმოსადგენი იყოს, ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე,

[68] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე #3/3113-11).
[69] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე #3/3113-11).
[70] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე #3/3113-11).
[71] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.
[72] სტუდია მონიტორის 2011 წლის 28 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი (საქმე #3ბ/2205-11).
[73] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი (საქმე #3ბ/2205-11).

ახსნა-განმარტების დროს, გაცხადდა, რომ ქ. თბილისის მერიას უარი არ უთქვამს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

როგორც ჩანს, ქ. თბილისის მერიისათვის, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას მხოლოდ ის შემთხვევები წარმოადგენს, როცა იგი განცხადების წარმდგენ დაინტერესებულ პირს წერილობით აცნობებს, რომ არ გასცემს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას. ხოლო, როდესაც ქ. თბილისის მერიის მხრიდან, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, არ ხდება წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა და განცხადება რეაგირების გარეშე რჩება, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას.

მიუხედავად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და, მოპასუხის პოზიციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებაში იმის აღნიშვნისა, რომ: – ***„სადავო ინფორმაცია არ წარმოადგენს დახურულ საჯარო ინფორმაციას, რადგან არ მოიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას. შესაბამისად, იგი უნდა გაიცეს მოსარჩელეზე“***[74] – ქ. თბილისის მერია, სააპელაციო საჩივარში მაინც აცხადებდა: „მხოლოდ მოთხოვნილი დოკუმენტაციის დამუშავების შემდეგ მოხდება იმ ინფორმაციის გამოცალკევება, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად და რა ინფორმაცია იქნება მიჩნეული საჯარო ინფორმაციად.“[75]

თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ნათლად აყალიბებს ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის წესებს და ქ. თბილისის მერიის მიერ, ე.წ. „შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად“ საფუძველზე, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის პირობას არ იცნობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და თბილისის მერიის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით განჩინებაში აღნიშნა, რომ: ***სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტ ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სადავოა გასაცემი ინფორმაციის საჯაროობა, ვინაიდან მხარე ითხოვს ინფორმაციას, რა ოდენობის თანხა გადაეცა ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს და თბილისის განვითარების ფონდს ქ. თბილისის ბიუჯეტიდან. სააპელაციო პალატა ეთანხმება საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადავო ინფორმაცია არ წარმოადგენს დახურულ საჯარო ინფორმაციას, ვინაიდან იგი არ მოიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.***[76]

საქართველოს კანონმდებლობა ქ. თბილისის მერიის მიერ, ე.წ. „შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად“ საფუძველზე, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის პირობას არ იცნობს.

რაც შეეხება, „სტუდია მონიტორის“ სააპელაციო საჩივარს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ: ***ვინაიდან ზაკ-ის მე-40 მუხლი ითვალისწინებს და უშვებს გასაცემი ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებასა და სწორედ ამის შემდეგ სრულყოფილი სახით გაცემას, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ზემოაღნიშნული პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდეგ. თბილისის მერიის განმარტებით, მოთხოვნილი სახით (მოსარჩელე ითხოვს ინფორმაციის გაცემას მიზნობრიობის მითითებით) ინფორმაცია არ არის დამუშავებული და დაცული. სააპელაციო პალატა მართებულად მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავების პროცესის სირთულეზე. შესაბამისად, საფუძვლიანია საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს სადავო ინფორმაციის გაცემა მისი დამუშავების დასრულებისთანავე.***[77]

[74] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების „6.1“ პუნქტი (საქმე #3/3113-11).

[75] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი (საქმე #3ბ/2205-11).

[76] თბილისის საპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის განჩინების „4.7.“ და „4.8.“ პუნქტები (საქმე #3ბ/2205-11).

[77] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის განჩინების „4.10.“ პუნქტი (საქმე #3ბ/2205-11).

4.1.2. *ნაწილი მეორე – საიას საქმე*

„სტუდია მონიტორის“ მიერ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილი განცხადებების პარალელურად, იდენტური შინაარსის განცხადებები იქნა წარდგენილი საიას მიერაც.[78]

„სტუდია მონიტორისგან“ განსხვავებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას გაუმართლა და წარდგენილ განცხადებებზე წერილობითი სახით მიიღო „პასუხი“.[79]

ნაცვლად იმისა, რომ ქ. თბილისის მერიას მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაეცა, საიასთვის გამოგზავნილ კორესპონდენციაში აღნიშნა შემდეგი: ***„დედაქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.tbilisi.gov.ge.“***[80]

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, საიას მიერ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილ განცხადებებს არაფერი ჰქონდა საერთო დედაქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან, რადგანაც საიას განცხადებები შეეხებოდა, წლების განმავლობაში, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან შენატანისა და გადარიცხვის სახით გადაცემულ თანხებს, მიზნობრიობის მითითებით. ხოლო მეორე მხრივ, ***თუკი დავუშვებთ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავდა ასევე ინფორმაციას, რომელსაც საია ითხოვდა ქ. თბილისის მერიიდან, ასეთ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიის მიერ საიას განცხადებებთან დაკავშირებით წარმოდგენილ კორესპონდენციაში დაფიქსირებული პოზიცია მნიშვნელოვნად ცვლის „სტუდია მონიტორის“ განცხადებებზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაფიქსირებულ პოზიციას.***

არც სტუდია მონიტორს და არც საიას, ქ. თბილისის მერიიდან დღემდე არ მიუღია ინფორმაცია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისთვის წლების განმავლობაში შენატანისა და გადარიცხვის სახით გადაცემული ფინანსების შესახებ.

კერძოდ, გაუგებარია, ***თუკი „სტუდია მონიტორის“ შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაცია დაუმუშავებელი იყო და, შესაბამისად, ქ. თბილისის მერიას არ შეეძლო ამ ინფორმაციის გაცემა,[81] საიას შემთხვევაში როგორ აღმოჩნდებოდა იგივე ინფორმაცია დედაქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში.***[82] მითუმეტეს მაშინ, როცა „სტუდია მონიტორისა“ და საიას მიერ ქ. თბილისის მერიაში წარდგენილი განცხადებები აბსოლუტურად იდენტური შინაარსის იყო.

ნებისმიერ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერია ვალდებული იყო, ერთნაირი სიზუსტით გაეცა მოთხოვნილი ინფორმაცია როგორც „სტუდია მონიტორის“, ასევე საიას მიერ წარდგენილ განცხადებებზე.

თუმცა, არც სტუდია მონიტორს და არც საიას, ქ. თბილისის მერიიდან დღემდე არ მიუღია ინფორმაცია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისთვის წლების განმავლობაში შენატანისა და გადარიცხვის სახით გადაცემული ფინანსების შესახებ.

---

[78] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 2 დეკემბრის #გ-04/266-11 და #გ-04/267 განცხადებები.
[79] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 12 დეკემბრის #11/165273-7; 11/165246 კორესპონდენცია.
[80] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 12 დეკემბრის #11/165273-7; 11/165246 კორესპონდენცია.
[81] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 დეკემბრის სააპელაციო საჩივარი (საქმე #3ბ/2205-11).
[82] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 12 დეკემბრის #11/165273-7; 11/165246 კორესპონდენცია.

4.2. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტები და ფონდებში გადარიცხული თანხები

საია მკითხველს სთავაზობს ინფორმაციას იმის შესახებ, ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტებიდან, შენატანებისა და გადარიცხვის სახით, რა ოდენობის თანხა გადაეცემოდა ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებულ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ხოლო 2010-2011 წლებში – თბილისის განვითარების ფონდს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება იმის შესახებ, თუ რა ოდენობის თანხა გადაეცემოდა ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტებიდან ზემოთ აღნიშნულ ორ ფონდს შენატანისა და გადარიცხვის სახით, პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ინფორმაცია, რომელზეც კვლევის პროცესში მიგვიწვდა ხელი, უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საიამ ქ. თბილისის მერიას არაერთხელ მიმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით იმის შესახებ, თუ რა ოდენობის თანხას გადასცემდა 2005-2011 წლებში ქ. თბილისის მერია, როგორც დამფუძნებელი, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს და თბილისის განვითარების ფონდს შენატანისა და გადარიცხვის სახით.[83] თუმცა, არც ერთ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიას მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოუწოდებია. პასუხად მხოლოდ მიგვითითებდა, რომ ინფორმაცია დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯვის და შესრულების თაობაზე ასახული იყო შესაბამისი წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებში და აღნიშნული ინფორმაცია შეგვეძლო გვეხილა ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.[84]

ძირითადი წყარო, რომელსაც საია ქ. თბილისის მერიის მიერ 2005-2011 წლებში, შენატანისა და გადარიცხვის სახით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისათვის გადაცემულ ფინანსებზე მუშაობის დროს იყენებდა, ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები იყო.

4.2.1. *2005 წელი*

ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ის იშვიათი დოკუმენტია, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის გადაცემული ფინანსების და ფონდის მიერ ამ ფინანსების ხარჯვის შესახებ.

ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ფუნქციონირების განსახორციელებლად, ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 14 აპრილის №06.26.123 დადგენილების და საკრებულოს 2005 წლის 22 აპრილის №10-2 გადაწყვეტილების საფუძველზე, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებული „მუნიციპალური დაფინანსების“ ხარჯების შემცირების ხარჯზე – 100 ათასი ლარი, ხოლო ქ. თბილისის ისტორიული ზონის მარეგლამენტირებელი საყრდენი გეგმის დამუშავებისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან – 50 ათასი ლარი გამოეყო.

ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2005 წელს ფონდისთვის გამოყოფილმა თანხამ 150 ათასი ლარი შეადგინა.

მთლიანობაში, ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2005 წელს ფონდისთვის გამოყოფილმა თანხამ 150 ათასი ლარი შეადგინა.[85] აღნიშნული თანხა გამიზნული იყო ფონდის პირველადი საქმიანობების განსახორციელებლად და იგი გათვალისწინებულ იქნა ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშ-

[83] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 2 დეკემბრის #გ-04/266-11, #გ-04/267-11 და 2012 წლის 14 თებერვლის #გ-04/56-12 განცხადებები.
[84] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 12 დეკემბრის #11/165273-7; 11/165246 და 2012 წლის 20 თებერვლის #11/22253-7 კორესპონდენციები.
[85] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 – ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ირებულ ხარჯებში.[86] ფონდის მიერ ქ. თბილისის მერიისათვის წარდგენილი ინფორმაციით, 2005 წელს მიღებული ფინანსები შემდეგნაირად დაიხარჯა:[87]

№	ღონისძიება	ხარჯი
1.	ხელფასი	59.3 ათასი ლარი
2.	პრემია	2.6 ათასი ლარი
3.	ანარიცხები	16.6 ათასი ლარი,
4.	საბანკო მომსახურება	0.5 ათასი ლარი
5.	ოფისის იჯარა	19.7 ათასი ლარი,
6.	მანქანის იჯარა	1.1 ათასი ლარი,
7.	საწვავი	1.0 ათასი ლარი,
8.	ელ.ენერგია	0.5 ათასი ლარი,
9.	კავშირგაბმულობა	4.3 ათასი ლარი,
10.	სანოტარო ხარჯები	0.7 ათასი ლარი,
11.	კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება	3.9 ათასი ლარი,
12.	საოფისე ხარჯი	2.9 ათასი ლარი,
13.	სამეურნეო ხარჯი	1.4 ათასი ლარი,
14.	წარმომადგენლობითი ხარჯი	0.8 ათასი ლარი,
15.	კვალიფიკაციის ამაღლება	4.3 ათასი ლარი,
16.	საინვესტიციო ხარჯები	30.4 ათასი
სულ		149.9 ათასი ლარი

4.2.2. *2006-2007 წლები*

ინფორმაცია 2006-2007 წლებში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის თბილისის ბიუჯეტებიდან გადარიცხული თანხების შესახებ თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ 2006 და 2007 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებში ასახული არ არის.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქ. თბილისის მერია, საიას მიერ თბილისის მერიაში წარდგენილი არაერთი განცხადების პასუხად, რომელიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის წლების განმავლობაში გადაცემულ თანხებს შეეხებოდა, გამუდმებით და დაჟინებით მიგვითითებდა, მოთხოვნილ ინფორმაციას თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავცნობოდით. თუმცა, ინფორმაცია 2006-2007 წლებში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის თბილისის ბიუჯეტებიდან გადარიცხული თანხების შესახებ თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ 2006 და 2007 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებში ასახული არ არის.[88]

არადა, როგორც აღვნიშნეთ, 2007 წელს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, ***ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების განხორციელების წახალისების პროგრამის განსახორციელებლად, თბილისის 2007 წლის ბიუჯეტიდან ათი მილიონი ლარი გამოეყო***.[89] სამწუხაროდ, საიასთვის უცნობი დარჩა, თუ რატომ არ აისახა ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ეს ათი მილიონი ლარი.

საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.tbilisi.gov.ge – განთავსებული 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგე-

[86] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 – ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
[87] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 – ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
[88] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2006 და 2007 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიში.
[89] ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის #10.01.314 დადგენილება.

ნა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯების დაფინანსება, რომელიც საბოლოოდ 26.601.200 ლარით დაფინანსდა.[90] მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, ქ. თბილისის მომდევნო წლების (2008-2010) ბიუჯეტების მიხედვით, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯების დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა და ხარჯების დიდი ნაწილი სწორედ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს გადაეცემოდა.

4.2.3. *2008 წელი*

ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის მიხედვით, განისაზღვრა ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯები, რომლის დაზუსტებულმა გეგმამ 65,379,400 ლარი შეადგინა. თბილისის მერიის მიერ მომზადებული 2008 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯები 64,707,300 ლარით დაფინანსდა.[91] ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მითითებულია, ამ 64,707,300 ლარიდან რა აქტივობებზე დაიხარჯა 17,651,500 ლარი. კერძოდ:

ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა, რესტავრაცია და რეკონსტრუქციის ხარჯები		
№	**ღონისძიება**	**თანხა**
1.	რუსთაველის გამზირზე მდებარე №24, №26, №28 სახლების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სამუშაოები	98.700 ლარი
2.	რუსთაველის გამზირის საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის სამუშაოები	1.392.800 ლარი
3.	მამადავითზე ასასვლელი გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები	423.700 ლარი
4.	ახალგაზრდული ხეივნიდან – მთაწმინდის პარკამდე და მთაწმინდის პარკიდან – მამადავითის ეკლესიამდე ტურისტული მარშრუტის მოწყობის სამუშაოები	137.200 ლარი
5.	ბარათაშვილის ქუჩის საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები	393.300 ლარი
6.	რუსთაველის გამზირზე №22, №32 და №34-ში მდებარე შენობების ფასადების აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები	59.800 ლარი
7.	გორგასალის მოედნის ქვეშ მიწისქვეშა საფეხმავლო გალერეა-გვირაბისა და ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის საზოგადოებრივი სივრცის (№1, №4 სეგმენტების) რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები	656.500 ლარი
8.	ქ. თბილისში, გორგასალის ქუჩაზე მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის, ძმ. კაკაბაძეების ქ-ზე – ტვერელის ეკლესიის მოპირდაპირე სკვერის, ჭონქაძის ქუჩაზე – ფუნიკულიორის ასასვლელის წინ არსებული სკვერის, სულხან-საბას სახ. სკვერის, ასათიანის ქ-ზე არსებული სკვერისა და გოგებაშვილის ქ. №23-ის უკან – ყოფილი დენდროლოგიური ბაღის ნაწილის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	145.000 ლარი
9.	დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში დასამონტაჟებელი ურბანული ავეჯის შესყიდვა	208.600 ლარი

[90] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

[91] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

10.	9 აპრილის ქვედა ბაღი, 9 მარტისა და დედაენის ბაღის ლანდშაფტისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები	6,466.900 ლარი
11.	გალაკტიონის ქ. №11, №9, №19, №15, №12, №14, №22; თოიძის ქ. №36, გორგასალის ქ. №1-ში; ასათიანის №21/24, №29, №27/17-ში მდებარე შენობის გამაგრების სამუშაოები	4,170.500 ლარი
12.	რუსთაველის გამზირზე მდებარე №38 სახლის გარე ფასადის კომპლექსური რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სამუშაოები	125.000 ლარი
13.	რუსთაველის გამზირზე მდებარე №18, №20, №36, №40 სახლების ფასადების, კომპლექსური რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის სამუშაოები	963.000 ლარი
14.	დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში დასამონტაჟებელი ურბანული ავეჯი	814.000 ლარი
15.	კოსტავას ქუჩაზე, მეტროსადგურ „რუსთაველისკენ“ გასასვლელი პასაჟისა და მისი შემადგენელი სახლების და რუსთაველის გამზირზე №14/2, №28-ში მდებარე სახლის ფასადის, ფუნდამენტისა და მზიდი ელემენტების კონსტრუქციული გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	151.600 ლარი
16.	ქ. თბილისში ბოტანიკურის, ორპირისა და მთაწმინდის ქუჩების მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის - მოწყობის პროექტის შედგენა	55.000 ლარი
17.	ბარათაშვილისა და ვერცხლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	110.100 ლარი
18.	გალაკტიონის ქ. №17, №18-ში მდებარე შენობების ფუძე-საძირკვლების, მიწისზედა მზიდი კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრების, ასევე წყალსადენის, საკანალიზაციო და სანიაღვრე გარე ქსელების აღდგენის სამუშაოები	1.154.000 ლარი
19.	იაშვილის ქ. №16 და №18-ში, წინამძღვრიშვილის ქ. №26/18-ში მდებარე შენობების გამაგრებისა და ფასადების რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	82.900 ლარი
20.	ქიქოძის ქ. №6/17-ში მდებარე შენობების გამაგრებისა და ფასადების რესტავრაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	42.900 ლარი
	სულ:	17,651,500 ლარი

თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი – 47,055,800 ლარი – ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს გადაერიცხა. თუმცა, ***განსხვავებით ზემოთ მოყვანილი სამუშაოებისა, თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი ღონისძიებები დაფინანსდა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ.***

ამასთან, ქ. თბილისის მერის 2008 წლის 10 დეკემბრის №2141 განკარგულებით, თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების განხორციელების წახალისების პროგრამისათვის, 2,255,800 ლარი გამოეყო.[92]

[92] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მთლიანობაში, 2008 წელს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 49,311,600 ლარი გადაერიცხა.

4.2.4. *2009 წელი*

დაფინანსების კუთხით, გაცილებით მასშტაბური დაფინანსება მიიღო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტიდან, საიდანაც ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯები 106,330.700 ლარით დაფინანსდა.[93]

როგორც ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, ზემოთ აღნიშნული თანხის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, კერძოდ 94,818.200 ლარი, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში გადაირიცხა.[94]

ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც იმ სამუშაოების და ღონისძიებების ჩამონათვალია მითითებული, რომელიც ფონდის მიერ ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯებიდან დაფინანსდა. ***თუმცა, არც ერთ ღონისძიებასა თუ სამუშაოსთან დაკავშირებით არ არის მითითებული, კონკრეტულად რა თანხა დაიხარჯა თითოეულ მათგანზე.***[95]

მიღებული დაფინანსებიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა შემდეგი სამუშაოები ჩაატარა:

- კალაუბნის რეაბილიტაცია;
- ბეთლემის ქუჩა №38, 39, 41-ის დემონტაჟი და ახლის აშენება;
- აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია;
- ტაბიძის ქ. №4 რეაბილიტაცია;
- რიყის საავტომობილო ტრასის რეკონსტრუქციისა და ავლაბრის გვირაბის ახალი სეგმენტის მშენებლობა;
- რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავლაბრის ძველი გვირაბის მშენებლობა;
- რიყეზე ხიდის მშენებლობის ტერიტორიაზე ხიდის სამშენებლო მოედნის შემოღობვისა და დროებით მისასვლელი გზის მოწყობა და ბინების და მიწის ნაკვეთების შესყიდვა (ლომოურის ქ. №1, №2, მაჩაბლის ქ. №18/32, პუშკინის ქ. №5,№7, ათონელის ქ. №.29, №9 ხიდის ქ. №1, რიყის ტერიტორია 1785 კვ.მ, დ. აღმაშენებლის გამზირი №136, №65, მარჯანიშვილის ქუჩაზე ცენტრალური უნივერმაღის შენობაში მშენებარე ავტოსადგომის შესყიდვა 1540 კვ.მ, ვერის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე 3576 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესყიდვა, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტესიფიკაციის გზას შორის არსებული 11992 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესყიდვა, სანაპიროს №8 მიწის ნაკვეთის შესყიდვა, ლესელიძის №4-6 მიწის ნაკვეთის შესყიდვა);
- რიყის ხიდის მშენებლობა;
- რიყის ტერიტორიის შესყიდვა, „დარჩენილი თანხის გადახდა";
- რიყეზე ორტრანსფორმატორიანი ქვესადგურის მოწყობის სამუშაოები;
- გოგებაშვილის №39-ში მდებარე მესამე ბაღის ეზოს კედლის აღდგენის სამუშაოები;
- გორგასალის პირველი შესახვევის №9 გამოსყიდვა;

2008 წელს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტიდან 49,311,600 ლარი გადაერიცხა. ხოლო 2009 წელს 94,818.200 ლარი.

[93] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
[94] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
[95] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

- ბარათაშვილის №10-ზე მხატვრული მინათების სამუშაოები;
- შეძენილი იქნა თხევადკრისტალური ეკრანი და სხვა.[96]

როგორც ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ცხადყოფს, მიღებული დაფინანსების ფარგლებში, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ, ძირითადად, რესტავრაციის, მშენებლობის და უძრავი ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები იქნა დაფინანსებული.

4.2.5. 2010 წელი

კიდევ უფრო მეტი თანხა იქნა მიმართული ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში. თუმცა, სანამ 2010 წელს თბილისის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში გადარიცხული თანხების შესახებ ვისაუბრებთ, საის სურს, მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე მიაპყროს. ***კვლევაზე მუშაობის დაწყების დროს, თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge განთავსებული ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სხვადასხვა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად, ჯამში 134,155,000 მილიონი ლარი იყო გადარიცხული.*** თუმცა, უშუალოდ კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის შესაბამის ბმულზე განთავსებული ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეიცვალა.[97] კერძოდ, ანგარიშიდან ამოღებული იქნა ის ნაწილები, რომლებიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადარიცხულ თანხებს შეეხებოდა.

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის შესაბამის ბმულზე განთავსებული ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეიცვალა. ანგარიშიდან ამოღებული იქნა ის ნაწილები, რომლებიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადარიცხულ თანხებს შეეხებოდა.

შესაბამისად, საიამ წერილობით მიმართა ქ. თბილისის საკრებულოს და ქ. თბილისის მერიის მიერ ქ. თბილისის საკრებულოში წარდგენილი თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ასლი მოითხოვა.[98]

საკრებულოს მიერ მოწოდებული კორესპონდენციით აღმოჩნდა, რომ, რეალურად, ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და ქ. თბილისის მერიის მიერ ქ. თბილისის საკრებულოში წარდგენილ ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს შორის, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდთან დაკავშირებით, არსებითი სხვაობაა.[99] კერძოდ, თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისაგან განსხვავებით, საკრებულოს მიერ მოწოდებულ 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახულია ინფორმაცია 2010 წელს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადარიცხული თანხების შესახებ.[100]

ამასთან, როგორც თბილისის საკრებულოს მიერ მოწოდებული კორესპონდენციიდან ირკვევა, ქ. თბილისის მერიის მიერ ქ. თბილისის საკრებულოში წარდგენილ 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში შეცდომით არის მითითებული ფონდის ოფიციალური სახელწოდება და, ნაცვლად „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა“, მითითებულია „ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდი“ და „ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდი.“[101]

საიას მიერ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით, გადამოწმდა ქ. თბილისის მერიის მიერ ქ. თბილისის საკრებულოში წარდგენილ 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მითითებული „ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდის“ და „ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდის“ სახელწოდებები. აღმოჩნდა,

---

[96] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

[97] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174 ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

[98] საიას 2012 წლის 28 მარტის #გ-04/147-12 განცხადება.

[99] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.

[100] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.

[101] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.

რომ მსგავსი სახელწოდებით საქართველოში არც ერთი იურიდიული პირი არ არის რეგისტრირებული.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ ქ. თბილისის საკრებულოში წარდგენილ 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მითითებული „ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდი“ და „ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდი“ სინამდვილეში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს წარმოადგენს.

რაც შეეხება უშუალოდ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტიდან მიღებულ თანხებს, ქ. თბილისის მერიის მიერ თბილისის საკრებულოში წარდგენილი ქ. თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტში ქალაქგამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული თანხიდან, 720,000 ლარი გადაერიცხა.[102] ხოლო სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებაზე ჯამში გახარჯული 41,472,400 ლარიდან 38,500,000 ლარი ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ დაიხარჯა.[103]

ფონდს გადაეცა, ასევე, ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოებისთვის გათვალისწინებული 64,921,900 ლარიდან თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი – 57,995,000 ლარი.[104]

ამას გარდა, თბილისის 2010 წლის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში ასევე გადაირიცხა საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის პროგრამისთვის გათვალისწინებული 42,314,200 ლარიდან 34,500,000 ლარი.[105]

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში გადაირიცხა ასევე ძველი თბილისის რაიონის ბიუჯეტში რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯებისთვის გათვალისწინებული თანხის ნაწილი – 2,390,000 ლარი.[106]

საბოლოოდ, ჯამში, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტიდან სულ 134,155,000 ლარი მიიღო.

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტიდან 134,155,000 ლარი მიიღო.

საია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ***ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის ანგარიშში, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადარიცხული 134,155,000 ლარიდან არც ერთ შემთხვევაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა სამუშაოები გასწია ფონდმა ზემოთ ხსენებული თანხით და რომელი ღონისძიებები დააფინანსა.*** აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ, გასული წლების მსგავსად, 2010 წელსაც ფონდის მიერ გახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია მოკლებული იყო გამჭვირვალობას. უფრო მეტიც, საიას მოსაზრებით, ინფორმაცია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ 2010 წელს გახარჯული თანხების შესახებ, კიდევ უფრო გაუმჭვირვალე და დახურული გახდა.

საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2010 წლის 16 ივლისს, ქ. თბილისის მთავრობის №20.01.964 დადგენილებით, დაფუძნდა თბილისის განვითარების ფონდი. ხოლო იმავე წლის 6 აგვისტოს №22.05.1047 დადგენილებით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი თბილისის განვითარების ფონდის თანადამფუძნებელი გახდა. ამასთან, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს უფლება მიეცა, შესაბამისი შენატანები განეხორციელებინა თბილისის განვითარების ფონდში.[107] ამრიგად, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ქ. თბილისის 2010 წლის

[102] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.
[103] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.
[104] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.
[105] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.
[106] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.
[107] ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 აგვისტოს #22.05.1047 დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები.

ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადაცემული თანხების ნაწილი, შესაძლოა, სწორედ თბილისის განვითარების ფონდს გადაეცემოდა.

4.2.6. 2011 წელი

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში თბილისის სხვადასხვა წლის ბიუჯეტებიდან გადარიცხული თანხების და ამ თანხების ხარჯვის გაუმჭვირვალობა კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდება 2011 წლიდან.

ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტიდან შესაბამისი დაფინანსების მიღება შეეძლო არამარტო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, არამედ თბილისის განვითარების ფონდსაც. თუმცა, როგორც თბილისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა,[108] მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს, ფაქტობრივად, თბილისის ბიუჯეტში ყველა იმ ღონისძიების და პროექტის დაფინანსება გაიზარდა, საიდანაც 2010 წელს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში ირიცხებოდა თანხები, არსად, არც ამ უკანასკნელის და არც თბილისის განვითარების ფონდისთვის გადარიცხული თანხების შესახებ არაფერია ნათქვამი.

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში თბილისის სხვადასხვა წლების ბიუჯეტებიდან გადარიცხული თანხების და ამ თანხების ხარჯვის გაუმჭვირვალობა კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდება 2011 წლიდან.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს შორის ძველი თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარება ისევ პრიორიტეტულ პროგრამებს შორის იყო მოხსენიებული. კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამები 42,307,100 ლარით დაფინანსდა, ქალაქგამწვანების სამუშაოები – 11,951,600 ლარით, ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები – 151,632,000 ლარით, ხოლო საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის პროგრამა – 69,063.000 ლარით. ზემოთ აღწერილი გარემოება გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ამ პროგრამებიდან გარკვეული თანხები შესაძლოა სწორედ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და თბილისის განვითარების ფონდს გადაერიცხა. მითუმეტეს, რომ იმავე პროგრამების განხორციელების დროს, ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს ჯამში 134,155,000 ლარი გადაერიცხა.

მთლიანობაში, ინფორმაცია, რომელზეც საიას კვლევის დროს მიუწვდა ხელი და რომელიც შეეხება 2005-2011 წლებში ქ.თბილისის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადარიცხულ თანხებს, შემდეგნაირად გამოიყურება:



[108] ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.

2005-2011 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტებიდან, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ მიღებული თანხების ჯამურმა მოცულობამ 288,434,800 ლარი შეადგინა.

ამასთან, ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ 2005-2011 წლებში გახარჯული 288,434,800 ლარის შესახებ, სრულებით შესაძლებელია, რომ თავიდან ბოლომდე არ ასახავდეს ფონდისთვის 2005-2011 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხების ოდენობას, ვინაიდან 2006 და 2011 წლების თბილისის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებში არ არის მითითებული ინფორმაცია ფონდში გადარიცხული თანხების შესახებ.

4.3. ტრანსფერები, სარეზერვო ფონდები და პრეზიდენტის საიდუმლო განკარგულებები

საიას მიერ ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის შესწავლის შედეგად, ნათელი გახდა, რომ თანხების ნაწილს, რომელსაც ქ. თბილისის მერია, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს წლების განმავლობაში თბილისის ბიუჯეტიდან ურიცხავდა, ტრანსფერების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევის წინამდებარე თავში საია მკითხველს ქ. თბილისის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერების სახით მიღებული იმ თანხების შესახებ მოუთხრობს, რომელიც საბოლოოდ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს გადაეცემოდა.

4.3.1. 2005-2007 წლები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2005 წელს დაფუძნდა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი. შესაბამისად, საიას დაინტერესებაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა სახის ტრანსფერის, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხების ოდენობის და ხარჯვის მიმართულებების შესახებ, 2005 წლიდან იწყება.

კვლევის ამ ნაწილში საჭირო ინფორმაციის მოპოვებას საია აქტიურად ცდილობდა, ერთი მხრივ, ქ. თბილისის მერიიდან, მეორე მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქ. თბილისის ბიუჯეტის 2005-2007 წლების შესრულების ანგარიში, რომელიც ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tbilisi.gov.ge არის განთავსებული, არ შეიცავს ცალკე მონაცემებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებიდან 2005-2007 წლებში გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების შესახებ.[109]

შესაბამისად, იმისათვის, რათა კვლევის დროს განგვესაზღვრა, თუ რა ოდენობის თანხები გადაეცა 2005-2007 წლებში უშუალოდ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს ამავე წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან, საიამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და საქართველოს მთავრობის კანცელარიას ყველა იმ განკარგულებების ასლის გაცემა მოსთხოვა,[110] რომელთა საშუალებითაც თანხები გამოეყო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს. პარალელურად, საიამ ქ. თბილისის მერიას ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ

[109] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174

[110] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/37-12 და #გ-04/38-12 განცხადებები.

გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად წარდგენილი ანგარიშების ასლის გაცემის მოთხოვნით მიმართა.[111] თუმცა, არც ერთმა დასახელებულმა საჯარო დაწესებულებამ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გასცა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და ქ. თბილისის მერიამ საერთოდ რეაგირების გარეშე დატოვეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებები.[112] საქართველოს მთავრობის კანცელარიამ კი, განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გადააგზავნა,[113] რომელმაც ასევე არ გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. გამომდინარე აქედან საიას მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივარი. [114]

4.3.2. 2008 წელი

ქ. თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის[115] შემადგენელი ნაწილია მონაცემები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების შესახებ. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სრული, დაზუსტებული მონაცემები, რაც შემდეგნაირად გამოიყურება:

ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერის ოდენობა	მიღებული ტრანსფერების ოდენობა	სხვაობა	შესრულებული სამუშაოების დაფინანსება	სხვაობა გეგმასთან
138,233,600	136,074,580	-2,159,020	137,703,958	-529,642

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სახით, ქ. თბილისის ბიუჯეტს ჯამში 137,703,958 ლარი გადაეცა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სახით, ქ. თბილისის ბიუჯეტს ჯამში 137,703,958 ლარი გადაეცა. 2008 წელს მიღებული ტრანსფერებიდან საიას ყურადღება იმ ნაწილმა მიიპყრო, სადაც უშუალოდ არის მოხსენიებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ცხრილიც აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით არის აგებული.

[111] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 20 იანვრის #გ-04/16-12 განცხადება.
[112] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ქ. თბილისის მერიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის ფაქტზე, საქართველოს ახალაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივრები იქნა წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში (2012 წლის 27 თებერვლის #გ-05/03-12) და ქ. თბილისის მერიაში (27 თებერვლის #გ-05/05-12).
[113] საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის 10 თებერვლის #25/34 კორესპონდენცია.
[114] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 13 მარტის #გ-05/08-12 ადმინისტრაციული საჩივარი.
[115] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174

№	ღონისძიება/ მომწოდებელი	ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერის ოდენობა	მიღებული ტრანსფერების ოდენობა	შესრულებული სამუშაოების დაფინანსება
1	სპეციალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვა მიმდინარე ღონისძიების დასაფინანსებლად			
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №424, - 16.06.08 ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის განაშენიანება, აღდგენა, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის პროგრამიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	300,000	300,000	300,000
	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დამატებით - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის განაშენიანება, აღდგენა, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის პროგრამიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	14,000,000	14,000,000	14,000,000
	ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის განაშენიანება, აღდგენა, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის პროგრამიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	25,000,000	25,000,000	25,000,000
2	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №762, - 20.11.08 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ	2,000,000	2,000,000	2,000,000
	სულ 2008 წელი	41,300,000	41,300,000	41,300,000

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქ. თბილისის ბიუჯეტის საშუალებით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა 41,300,000 ლარი მიიღო.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქ. თბილისის ბიუჯეტის საშუალებით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა 41,300,000 ლარი მიიღო.

თუმცა, საია მოკლებულია შესაძლებლობას, მკითხველს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ რაში გაიხარჯა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული 41,300,000 ლარი. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ქ. თბილისის მერიამ არ გასცა საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ ყოველწლიურად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით წარდგენილი ანგარიშების შესახებ.[116]

4.3.3. 2009 წელი

ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში[117] შეიცავს ასევე მონაცემებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2009 წელს გამოყოფილი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების შესახებ, რომლის დაზუსტებული მონაცემები სრული სახით შემდეგნაირად გამოიყურება:[118]

ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერი			შესრულებული სამუშაოების დაფინანსება	სხვაობა გეგმასთან
დამტკიცებული ბიუჯეტით	დამატებით გამოყოფილი	სულ		
162,354,200	107,964,565	270,318,765	270,313,039	-5,726

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან იკვეთება, რომ ქ. თბილისის ბიუჯეტმა 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სახით, ჯამში 270,313,039 ლარი მიიღო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით იქნა გამოყოფილი. წარმოდგენილი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, საიას ყურადღება მიიპყრო საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებებმა, რომლებიც ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშშია ასახული.[119] შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ცხრილი ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით აიგო, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2009 წელს გამოცემული განკარგულებები.

ქ. თბილისის ბიუჯეტმა 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სახით, ჯამში 270,313,039 ლარი მიიღო.

№	ღონისძიება/ მიმწოდებელი	ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერი			შესრულებული სამუშაოების დაფინანსება
		დამტკიცებული ბიუჯეტით	დამატებით გამოყოფილი	სულ	
1.	სპეციალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის განაშენიანება, აღდგენა, რესტავრაცია და რეკონსტრუქცია – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება: №137, - 24.02.2009. №165, - 04.03.2009. №237, - 31.03.2009. №498, - 23.07.2009.	0	25 000 000	25 000 000	25 000 000

[116] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 20 იანვრის #გ-04/16-12 განცხადება.
[117] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174
[118] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174
[119] ინფორმაცია ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებასთან დაკავშირებით, მოიცავს მხოლოდ ინფორმაციას განკარგულების მიღების თარიღისა და ნომრის შესახებ.

2.	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები				
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №264, 06.04.2009, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	102,000	102,000	102,000
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №278, 15.04.2009, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	7,000,000	7,000,000	7,000,000
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №349, 19.05.2009 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	1,000,000	1,000,000	1,000,000
	საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №367, 27.05.2009 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	5,000,000	5,000,000	5,000,000
	კეთილმოწყობის პროგრამიდან საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №602, 27.08.2009 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	2,000,000	2,000,000	2,000,000
3	სულ 2009 წელი	0	40,102,000	40,102,000	40,102,000

ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით გამოყოფილი 40,102,000 ლარი მიმართული იყო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად, ხოლო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის უშუალო განმახორციელებელი და, შესაბამისად, პრეზიდენტის 2009 წლის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ადრესატი ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი უნდა გამხდარიყო, საიამ წერილობითი განცხადებით მიმართა საქა-

რთველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და, პირველ ეტაპზე, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებების ასლების გაცემა მოითხოვა.[120]

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით მიხედვით, საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა ღია საჯარო ინფორმაციას.[121]

თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაციას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი განკარგულება საიდუმლო ინფორმაციის რომელ სახეს მიეკუთვნებოდა. შესაბამისად, საიამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დამატებით წარადგინა კიდევ ერთი განცხადება და ამჯერად უკვე მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებებიდან რომელი განკარგულება რა ტიპის დახარჯულ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნებოდა.[122]

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, ნაცვლად იმისა, რომ საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გაეცა, წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხი 2012 წლის 23 იანვრის №15/259 კორესპონდენციით ჰქონდა გაცემული.[123]

საყურადღებოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მითითებული კორესპონდენცია[124] საიას სულ სხვა განცხადებას შეეხებოდა,[125] თუმცა, ასოციაციის მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარდგენილი განცხადებების და პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოგზავნილი წერილების ანალიზის შემდეგ საინტერესო სურათი გამოიკვეთა. კერძოდ, საიას მიერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარდგენილი იყო 2011 წლის 5 აგვისტოს №გ-01/122-11 განცხადება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2009 წელს გამოცემულ 330 (სამასოცდაათ) განკარგულებას. ასოციაცია ითხოვდა ინფორმაციას თითოეული განკარგულების შესახებ, განეკუთვნებოდა თუ არა რომელიმე მათგანი დახურულ საჯარო ინფორმაციას. დადებითი პასუხის შემთხვევაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციას უნდა ეცნობებინა, თუ რომელი განკარგულება რა ტიპის დახურულ საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა – პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო საიდუმლოების თუ კომერციული საიდუმლოების შემცველს. საიას განცხადებაში მოხსენიებული იყო ასევე საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2009 წელს გამოცემული №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებები, რომელთა შესახებაც, მოგვიანებით, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საიამ ცალკე მოითხოვა ინფორმაცია.[126]

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, საიას მიერ განცხადების გაგზავნიდან[127] თითქმის ექვსი თვის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ კორესპონდენციაში, გარდა სხვა ინფორმაციისა, ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებები, რომლებიც წერილში იყო მითითებული, არ წარმოადგენდა სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.[128]

გამოდის, რომ თუკი პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებები არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც კომერციულ საიდუმლოებას, მაშინ ე.ი. ისინი შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და სწორედ ამ მოტივით არ გასცა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

---

[120] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 19 დეკემბრის #გ-04/279-11 განცხადება.
[121] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2012 წლის 10 იანვრის #15/3104 კორესპონდენცია.
[122] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 26 იანვრის #გ-04/23-12 განცხადება.
[123] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2012 წლის 6 თებერვლის #15/30 კორესპონდენცია.
[124] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 26 იანვრის #გ-04/23-12 განცხადება.
[125] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 5 აგვისტოს #გ-04/122-11 და 2012 წლის 26 იანვრის #გ-04/23-12 განცხადებები.
[126] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 19 დეკემბრის #გ-04/279-11 და 2012 წლის 26 იანვრის #გ-04/23-12 განცხადებები.
[127] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 5 აგვისტოს #გ-04/122-11 განცხადება.
[128] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2012 წლის 23 იანვრის #15/259 კორესპონდენცია.

თუმცა, საია გამოთქვამს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებები არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული საიდუმლო ინფორმაციის არც ერთ სახეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, უბრალოდ, თავი აარიდა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს სწორედ ის გარემოება გვაძლევს, რომ ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებებით, ქ. თბილისის ბიუჯეტისთვის გამოყოფილი თანხები დაკავშირებული იყო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებასთან. ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა კი, თავისთავად, სამართლებრივ საფუძველს აცლის ამ ტიპის ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის შესაძლებლობას.

4.3.4. 2010 წელი

მსგავსად ქ. თბილისის 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა, 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიც[129] შეიცავს მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2010 წელს გამოყოფილ მიზნობრივ და სპეციალურ ტრანსფერებთან.

2010 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქ. თბილისის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერების სრული მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:[130]

ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერი			შესრულებული სამუშაოების დაფინანსება	სხვაობა გეგმასთან
დამტკიცებული ბიუჯეტით	დამატებით გამოყოფილი	სულ		
197,962,300	11,051,615	209,013,915	209,013,915	-100

ზემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, ქ. თბილისის ბიუჯეტმა 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების სახით, ჯამში 209,013,915 ლარი მიიღო. ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან საიას ყურადღება საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებმა მიიპყრო.[131] შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით არის აგებული და საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წელს გამოცემული ის განკარგულებებია გათვალისწინებული, რომლებიც ზემოთ იქნა ნახსენები.

საია გამოთქვამს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებები არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული საიდუმლო ინფორმაციის არც ერთ სახეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, უბრალოდ, თავი აარიდა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას.

[129] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174

[130] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174

[131] ინფორმაცია ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებთან დაკავშირებით, მოიცავს მხოლოდ ინფორმაციას განკარგულების მიღების თარიღის და ნომრის შესახებ.

ღონისძიება	ბიუჯეტში გათვალისწინებული ტრანსფერი			შესრულებული სამუშაოების დაფინანსება
	დამტკიცებული ბიუჯეტით	დამატებით გამოყოფილი	სულ	
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები				
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №37, 21.01.2010 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	5,000,000	5,000,000	5,000,000
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №871, 09.09.2010 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	5,000,000	5,000,000	5,000,000
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №1165, 20.12.2010 ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება	0	1,000,000	1,000,000	1,000,000
სულ 2010 წელი	0	11,000,000	11,000,000	11,000,000

ცხრილი ცხადყოფს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2010 წელს გამოცემული სამი განკარგულებით, ქ. თბილისის მერიას, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, ჯამში თერთმეტი მილიონი ლარი გამოეყო.[132]

მოთხოვნილი განკარგულებების ასლები საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ გასცა.

საიამ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებების გაცემა მოითხოვა.[133]

მოთხოვნილი განკარგულებების ასლები საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ გასცა.[134]

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოგზავნილი კორესპონდენციიდან[135] ირკვევა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37 განკარგულებით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, ***საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქ. თბილისის მერიას ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის დამატებით გადასაცემად გამოეყო ხუთი მილიონი ლარი.***[136]

[132] საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის #37, 9 სექტემბრის #871 და 20 დეკემბრის #1165 განკარგულებები.
[133] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 15 ივნისის #გ-04/132-11 განცხადება.
[134] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 26 ივლისის #გ-05/27-11 ადმინისტრაციული საჩივარი.
[135] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2011 წლის 22 აგვისტოს #15/248 კორესპონდენცია
[136] საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის #37 განკარგულება.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით ჯამში გამოყოფილ ექვს მილიონ ლარს, აღნიშნული თანხის უშუალო ადრესატად ქ. თბილისის მერიაა დასახელებული.[137]

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, საიამ წერილობით მიმართა ქ. თბილისის მერიას და შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა:[138]

- ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის ფარგლებში, კონკრეტულად რომელი ღონისძიებები დაფინანსდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით.
- რა თანხა იქნა გახარჯული თითოეულ ღონისძიებაზე ცალ-ცალკე.
- რა ფორმით და ვის მიერ განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვები პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

საიას განცხადების პასუხად, ქ. თბილისის მერიამ გვაცნობა, რომ: ***„საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის, 2010 წელს გამოყოფილი თანხები გადაერიცხა „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს“. შესაბამისად, აღნიშნული თანხების ხარჯვის თაობაზე ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ ხსენებულ დაწესებულებას“.***[139]

ერთი მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით გამოყოფილი თანხები სწორედ ქ. თბილისის მერიას გამოეყო და, შესაბამისად, თანხების ხარჯვის შესახებ სრული ინფორმაცია სწორედ ქ. თბილისის მერიას უნდა ჰქონდა, თბილისის მერიამ მოთხოვნილი ინფორმაცია არ გასცა. ხოლო მეორე მხრივ, ქ. თბილისის მერიამ ფაქტობრივად დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით გამოყოფილი თანხები სწორედ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადასაცემად გამოიყო.

ქ. თბილისის მერიამ ფაქტობრივად დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით გამოყოფილი თანხები სწორედ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადასაცემად გამოიყო.

აღნიშნული გარემოება კი კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმის მტკიცებისთვის, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, 2009 წლის №137, №165, №237, №264, №278, №349, №367, №498 და №602 განკარგულებებით გამოყოფილი 40,102,000 ლარიც სწორედ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს გადაერიცხა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უსაფუძვლოდ აარიდა თავი მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას.

ქ. თბილისის მერიის კორესპონდენციიდან გამომდინარე,[140] საიამ მართლაც მიმართა იდენტური შინაარსის განცხადებით ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს და შემდეგი შინაარსის ინფორმაცია მოითხოვა:[141]

- ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის ფარგლებში, კონკრეტულად რომელი ღონისძიებები დაფინანსდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით.
- რა თანხა იქნა გახარჯული თითოეულ ღონისძიებაზე ცალ-ცალკე.
- რა ფორმით და ვის მიერ იქნა შერჩეული შესაბამისი კომპანიები, რომელთა მიერაც მოხდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21

[137] საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 9 სექტემბრის #871 და 20 დეკემბრის #1165 განკარგულებები.
[138] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 5 დეკემბრის #გ-04/275-11 განცხადება.
[139] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 13 დეკემბრის #11/166950-7 კორესპონდენცია.
[140] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 13 დეკემბრის #11/166950-7 კორესპონდენცია.
[141] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 10 იანვრის #გ-04/05-12 განცხადება.

იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ხარჯვა.

- იმ კომპანიების დასახელება, რომელთა მიერაც საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 იანვრის №37, 9 სექტემბრის №871 და 20 დეკემბრის №1165 განკარგულებებით გათვალისწინებული თანხების ხარჯვა მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ განცხადებას თან ერთვოდა საქართველოს პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული განკარგულებები და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 13 დეკემბრის №11/166950-7 კორესპონდენცია, ხოლო მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი სრულად ექცეოდა საჯარო დაწესებულების ცნების ქვეშ,[142] ამ უკანასკნელმა საიას მიერ წარდგენილი განცხადება პასუხგაუცემელი დატოვა.[143]

4.3.5. 2011 წელი

საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნება: ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა.[144]

ამასთან, საქართველოს კანონის – საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა, წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.[145]

კვლევაზე მუშაობის დროს ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tbilisi.gov.ge ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ჯერ კიდევ არ იყო განთავსებული და ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ექვსი და ცხრა თვის შესრულების მიმოხილვას, არ მოიცავდა ინფორმაციას დანართის სახით 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების შესახებ.

თუმცა, ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შემოსულობების ნაწილიდან ირკვევა, რომ ქ. თბილისის ბიუჯეტს 2011 წელს სპეციალური ტრანსფერის სახით 88,758,00 ლარი უნდა მიეღო, საიდანაც თანხის აბსოლუტური უმრავლესობა – 88,750,000 ლარი – ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა ღონისძიებების დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა. ხოლო დარჩენილი 50,000 ლარის გამოყოფა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან უნდა მომხდარიყო.[146]

კვლევაზე მუშაობის დროს არც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და არც საქართველოს მთავრობის კანცელარიამ არ გასცა საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და თბილისის განვითარების ფონდისთვის საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს შეეხებოდა.[147] გარდა ამისა, ქ. თბილისის მერიამ ასევე

---

[142] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, **სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთის დაფინანსების ფარგლებში.**

[143] ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ ინფორმაციის გაუცემლობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2012 წლის 16 თებერვალს სასამართლო წესით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

[144] საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ; მუხლი 23[1], პუნქტი „გ“.

[145] საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესახებ; მუხლი 86.

[146] http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174

[147] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/37-12 და #გ-04/37-12 განცხადებები.

არ მოგვაწოდა ინფორმაცია ზემოხსენებული ფონდების მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით ყოველწლიურად წარდგენილი ანგარიშების თაობაზე.[148] აქედან გამომდინარე, საია მოკლებულია შესაძლებლობას, მკითხველს სრულად მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ოდენობის თანხა გადაეცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქ. თბილისის ბიუჯეტს 2011 წელს ტრანსფერების სახით და მიღებული თანხებიდან, ასევე, მიღებული ტრანსფერების საერთო ოდენობიდან რა თანხა იყო გათვალისწინებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.

ამასთან, როგორც ეს ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, თბილისის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ანგარიშში, განსხვავებით წინა წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშისა, არ არის ასახული ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რა ტიპის ღონისძიებებისა და ხარჯების დასაფინანსებლად გამოიყო თანხა ქ. თბილისის 2011 წლის ბიუჯეტისთვის, ტრანსფერების სახით, საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.[149]

იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებზეც საიას ხელი მიუწვდა, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის 2005-2011 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან სხვადასხვა სახით მიღებული თანხების ოდენობა მთლიანობაში შემდეგნაირად გამოიყურება:



ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის, ასევე, თბილისის განვითარების ფონდის მიერ წლების განმავლობაში საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული თანხების ოდენობასა და ამ თანხების ხარჯვაზე საუბრის ბოლოს, საიას სურს, კიდევ ერთ საკითხზე მიაპყროს მკითხველის ყურადღება.

კვლევაზე მუშაობის დროს საიამ წერილობით მიმართა საქართველოს კონტროლის პალატას და 2005-2011 წლებში კონტროლის პალატის მიერ ქ. თბილისის მერიაში განხორციელებული ყველა სახის აუდიტის, ანგარიშის და რეკომენდაციის ასლები გამოითხოვა,[150] თუმცა, მრავალი მცდელობის მიუხედავად, კონტროლის პალატამ მოთხოვნილი ინფორმაცია არ გასცა.[151]

საქართველოს კონტროლის პალატამ არ გასცა საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია 2005-2011 წლებში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში განხორციელებულ აუდიტთან დაკავშირებით.

კონტროლის პალატამ ასევე არ გასცა საიას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია 2005-2011 წლებში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში განხორციელებულ აუდიტთან დაკავშირებით.[152] ხოლო, თბილისის განვითარების ფონდში 2010-2011 წლებში აუდიტი საერთოდ არ ჩაუტარებია.[153]

[148] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 20 იანვრის #გ-04/16-12 და 14 თებერვლის #გ-04/54 განცხადებები.
[149] ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 3 აპრილის #07/1873 კორესპონდენცია.
[150] საიას 2012 წლის 14 თებერვლის, #გ-04/50-12, #გ-04/51-12, 1 მარტის #გ-04/100-12 და 19 მარტის #გ-04/131-12 განცხადებები.
[151] საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 24 თებერვლის #44/26, 13 მარტის #59/26 და 27 მარტის #68/26 კორესპონდენციები.
[152] საიას 2012 წლის 14 თებერვლის #გ-04/49-12 განცხადება.
[153] საქართველოს კონტროლის პალატის 2012 წლის 24 თებერვლის #45/26 კორესპონდენცია.

5. ფონდები და სახელმწიფო შესყიდვები

წინამდებარე თავში საია მკითხველს იმის შესახებ მოუთხრობს, თუ რა ვალდებულებები გააჩნდათ/გააჩნიათ ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებულ ზემოხსენებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს წლების განმავლობაში ქ. თბილისის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხების ხარჯვის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე. მითუმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტებიდან ფონდებში მასშტაბური მოცულობის თანხები ირიცხებოდა.

მოცემულ შემთხვევაში, საიას სურს, მკითხველის ყურადღება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონზე გაამახვილოს. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლიდან[154] დღემდე 38 ცვლილება განხორციელდა. მათ შორის, არაერთხელ შეიცვალა ის ნორმა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო შესყიდვა არის განმარტებული.[155]

კანონში არსებული თავდაპირველი ჩანაწერის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვად მიჩნეული იყო: ***შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა.***[156] ამასთან, კანონში მიეთითა იმ სახსრების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებით განხორციელებული შესყიდვაც სახელმწიფო შესყიდვად ჩაითვლებოდა. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის თავდაპირველ ვერსიაში ორმა კონკრეტულმა ნაწილმა მიიპყრო საიას ყურადღება. პირველ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვად მიჩნეულ იქნა ისეთი შესყიდვა, რომელიც ***ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით*** ხორციელდებოდა,[157] ხოლო მეორე შემთხვევაში – ***ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით*** განხორციელებული შესყიდვა[158]. სახელმწიფო შესყიდვის განმარტებაში 2008 წელში შეტანილი ცვლილების შემდეგ, არსებული ჩანაწერი – „ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით“ – შეიცვალა შემდეგი ჩანაწერით – ***„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით“***.[159]

2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვად ასევე მიჩნეულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შესყიდვა.

მოგვიანებით, 2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო შესყიდვად ასევე მიჩნეულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შესყიდვა.[160] თუმცა, აღნიშნული ცვლილების პარალელურად კანონში გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქვეშ ის იურიდიული პირები იქნა მოაზრებული, რომლებიც წარმოადგენდნენ ***უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდებს.***[161] ამრიგად, კანონში შეტანილი აღნიშნული ცვლილების შემდეგ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მხრიდან განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვად ზემოთ აღნიშნული ორი სახის ააიპ-ის მიერ განხორციელებული შესყიდვა იქნა მიჩნეული.

ამასთან მნიშვნელოვანია, თუ როგორია ქ. თბილისის მერიის პოზიცია სხვადასხვა წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტებიდან ფონდებისთვის

[154] 2006 წლის 1 იანვარი.
[155] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[156] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[157] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა.გ.“ ქვეპუნქტი
[158] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა.დ.“ ქვეპუნქტი
[159] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა.გ.“ და „ა.დ.“ ქვეპუნქტები, 2008 წლის 5 დეკემბრის რედაქციით
[160] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა.ე“ პუნქტი, 2021 წლის 24 ივნისის რედაქციით
[161] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა.ე“ პუნქტი, 2021 წლის 24 ივნისის რედაქციით

გადარიცხული თანხების ხარჯვისა და ხარჯვის პროცედურების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის თაობაზე.

როგორც ქ. თბილისის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გაგზავნილი კორესპონდენციიდან ირკვევა, ***2008, 2009 და 2010 წლებში ქ. თბილისის მერია, როგორც ააიპ თბილისის განვითარების ფონდის და ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის დამფუძნებელი, მათ შენატანის სახით გადასცემდა ფინანსურ სახსრებს. შესაბამისად, აღნიშნულ ფონდებს, მოქმედი კანონმდებლობით, არ გააჩნდათ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ვალდებულება***.[162]

ქ. თბილისის მერიამ ფონდების საქმიანობაზე სახელმწიფო შესყიდვის კანონმდებლობის გაუვრცელებლობის წინაპირობად ის გარემოება მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერია ფონდებს თანხებს შენატანის სახით გადასცემდა.

კორესპონდენციის ტექსტში ქ. თბილისის მერიამ ფონდების საქმიანობაზე სახელმწიფო შესყიდვის კანონმდებლობის გაუვრცელებლობის წინაპირობად ის გარემოება მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერია ფონდებს თანხებს ***შენატანის*** სახით გადასცემდა. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის მოსაზრებით, თბილისის განვითარების ფონდისა და ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის შენატანის სახით 2008, 2009 და 2010 წლებში გადაცემული ფინანსური სახსრები არ საჭიროებდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხარჯვას.

თუმცა, როგორც ზემოთ, ფონდებისთვის გადაცემული ფინანსების თავში აღვნიშნეთ, წლების განმავლობაში, ქ. თბილისის მერია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებიდან სხვადასხვა სახით გადასცემდა ფინანსებს. მაგ. როგორც თბილისის 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშშია აღნიშნული, ქ. თბილისის მერიამ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ხარჯებიდან 47,055,800 ლარი გადაურიცხა, 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით კი, იმავე დანიშნულების ხარჯებიდან – 94,818,200 ლარი. ხოლო 2010 წელს, ჯამში ***134,155,000*** მილიონი ლარი, კვლავ ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიის აღდგენა-რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის, ასევე, ქალაქგამწვანების ღონისძიებების, სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიების, ავარიული შენობებისგამაგრებისსამუშაოებისღონისძიებებისთვისგათვალისწინებული თანხებიდან და საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის პროგრამიდან იქნა გადარიცხული. შესაბამისად, უცნაურია, რატომ მიიჩნია ქ. თბილისის მერიამ, რომ 2008-2010 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტში სხვადასხვა ღონისძიებისა და პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხებიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის გადარიცხული ფინანსები მხოლოდ ფონდში განხორციელებულ ***შენატანებს*** წარმოადგენდა.

ქ. თბილისის მერიის პოზიციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, ასევე თბილისის განვითარების ფონდი ქ. თბილისის მთავრობამ დააფუძნა, ფონდები ურთიერთობაში ისე გამოდიოდნენ/გამოდიან, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. შესაბამისად, ***შენატანის*** სახით ქ. თბილისის ბიუჯეტიდან გადაცემული ფინანსების ხარჯვის პროცესში ისინი დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ამასთან, უდავოა, რომ თანხები, რომლებსაც ქ. თბილისის მერია ფონდებისთვის ***შენატანის*** სახით გადაცემას უწოდებს, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებს წარმოადგენს.

საყურადღებოა ისიც, რომ 2010 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილების მიხედვით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

[162] ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 17 ივნისის #06/65648-7 კორესპოდენცია

საიას მოსაზრებით, ფონდების კერძო სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული თანხებით მომსახურების შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით უნდა განხორციელდეს.

და/ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდების მიერ განხორციელებული შესყიდვა იქნა მიჩნეული.

ამრიგად, ერთი მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში განმარტებული „სახელმწიფო შესყიდვის“ ცნებაში წლების განმავლობაში შესული არაერთი ცვლილება და დღეის მდგომარეობით არსებული ჩანაწერი, ხოლო მეორე მხრივ, ის პრაქტიკა, რომელიც ქ. თბილისის მერიის მიერ წლების განმავლობაში ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის თანხების გადასარიცხად გამოიყენებოდა, ფონდს უტოვებდა შესაძლებლობას, ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსებით შეძენილი სამუშაოები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის გვერდის ავლით შეესრულებინა.

საიას მოსაზრებით, იმ ფონზე, როდესაც წლების განმავლობაში, მარტო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში ქ. თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტებიდან ჯამში მინიმუმ 288,434,800 ლარი გადაირიცხა, ხოლო გადარიცხული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილით ფონდი იმ ტიპის სამუშაოებს ასრულებდა, რომლებიც, შესასრულებელი სამუშაოს შინაარსიდან გამომდინარე, თავისუფლად ექცევა სახელმწიფო შესყიდვის ცნების ქვეშ, ფონდების კერძო სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული თანხებით მომსახურების შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით უნდა განხორციელდეს.

6. ფონდები და ქონება

6.1. ზოგადი მიმოხილვა

კვლევაზე მუშაობის დროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა ქონებას გადასცემდა წლების განმავლობაში ქ. თბილისის მერია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს და, ასევე, თბილისის განვითარების ფონდს; როგორ ხდებოდა ფონდების მიერ მიღებული ქონების განკარგვა და ხომ არ ფიქსირდებოდა მიღებული უძრავი ქონების გასხვისების ფაქტები.

საია თბილისის მთავრობის მიერ მიღებული ყველა იმ დადგენილების ასლს ითხოვდა, რომლითაც თავის დროზე ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის ქონების გადაცემა მოხდა.

აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად, საიამ არაერთგზის წერილობით მიმართა ქ. თბილისის მერიას,[163] თუმცა, ამ უკანასკნელმა, რიგ შემთხვევაში ნაწილობრივ, რიგ შემთხვევაში კი, საერთოდ არ გასცა ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.[164]

ქ. თბილისის მერიამ ერთ-ერთი წერილის პასუხად საიას აცნობა, რომ ***ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს ქონება არ აქვს.***[165] მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა ერთი გარემოება. საიას მიერ თბილისის მერიაში განცხადების წარდგენის დროს, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით, უკვე დაწყებული იყო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის სალიკვიდაციო ღონისძიებები და, შესაძლოა, ფონდს მართლაც აღარ ჰქონოდა ქონება საკუთრებაში. თუმცა, საია განცხადებით ითხოვდა თბილისის მთავრობის მიერ მიღებული ყველა იმ დადგენილების ასლს, რომლითაც თავის დროზე მოხდა ქონების გადაცემა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის.[166]

შესაბამისად, განცხადების წარდგენის დროს ჰქონდა თუ არა ფონდს ქონება საკუთრებაში, ეს გარემოება არ ათავისუფლებდა თბილისის მერიას ვალდებულებისაგან, გაეცა საიას მიერ მოთხოვნილი დადგენილებების ასლები.

თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიამ სულ სამი დადგენილება მოგვაწოდა. მათგან ერთი დადგენილება არა თბილისის განვითარების ფონდისთვის, არამედ პირიქით, თბილისის განვითარების ფონდის მიერ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის ქონების გადაცემას ეხებოდა.[167] ხოლო დანარჩენი ორიდან ერთ-ერთი დადგენილებით, ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, კალაუბნის სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების მიზნით, შენატანის სახით საკუთრებაში გადასცა ძველი თბილისის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონება.[168] მართალია, დადგენილების „დანართი №1“ შეიცავს ქონების ჩამონათვალს, მაგრამ მოწოდებული ასლის ხარისხი შეუძლებელს ხდის გადაცემული ქონების ზუსტი დასახელების შესახებ ინფორმაციის მკითხველისთვის გაცნობას. ამასთან, დადგენილების „დანართი №1“-ში არაფერი წერია ცხრილის იმ გრაფებში, რომლებიც გადაცემული ქონების ღირებულებას ეხება.[169]

ქ. თბილისის მთავრობის მიერ, კიდევ ერთი დადგენილება, რომლის მიხედვით, თბილისის განვითარების ფონდს საკუთრებაში გადაეცა მოძრავი ქონება, 2011 წლის 22 ივლისს იქნა მიღებული. ***დადგენილებაში თბილისის განვითარების ფონდისთვის ქონების გადაცემის წინაპირობად მიჩნეულია გარემოება, რომ ფონდი, დედაქალაქისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრულ ღონისძიებებს ახორციელებს.***[170] შესაბამისად, ამ მოტივით ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით,[171] ქ.

[163] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/41-12 და #გ-04/42-12 განცხადებები.
[164] თბილისის მერიის 2012 წლის 17 თებერვლის #11/20172-7 და #11/20200 კორესპონდენციები.
[165] თბილისის მერიის 2012 წლის 17 თებერვლის #11/20172-7 კორესპონდენცია.
[166] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/41-12 განცხადება.
[167] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის #35.26.1478 დადგენილება.
[168] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ნოემბრის #30.10.1442 დადგენილების პირველი პუნქტი.
[169] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ნოემბრის #30.10.1442 დადგენილების „დანართი #1“.
[170] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ივლისის #19.13.802 დადგენილება.
[171] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის ბრძანება.

თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული მოძრავი ქონების – გურჯაანში, სოფელ არაშენდაში მდებარე №42 სამელიორაციო არხის წყალგაყვანილობის რკინა-ბეტონის მილების – თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემა.[172]

ქ. თბილისის მერიას საიასათვის არ მოუწოდებია თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იმ სხვა დადგენილებების ასლები, რომლებიც ასევე დაკავშირებული იყო თბილისის განვითარების ფონდისთვის როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონების გადაცემასთან. თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ოფიციალური ვებ-გვერდის www.reestri.gov.ge-ს და რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ, როგორც თბილისის განვითარების ფონდის დამფუძნებელმა, გარდა მოძრავი ქონებისა, გადასცა ასევე უძრავი ქონებაც.

თუმცა, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის და რეესტრის მიერვე მოწოდებული ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებების მიმოხილვამდე, საიას სურს, ყურადღება ერთ გარემოებაზე გაამახვილოს. კერძოდ, თბილისის განვითარების ფონდის დაფუძნებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის №18.36.780 დადგენილებით, ცვლილება შევიდა თბილისის განვითარების ფონდის წესდებაში. კერძოდ, ფონდის თავმჯდომარის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით მანამდე არსებული ჩანაწერი (რომლის მიხედვითაც, ფონდის თავმჯდომარე ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, გამგეობასთან შეთანხმებით იძენს და განკარგავს ფონდის უძრავ ქონებას, ხოლო ფონდის უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვის ან გასხვისებისთვის აუცილებელია ფონდის დამფუძნებლის თანხმობა[173]) შეიცვალა შემდეგი შინაარსის ჩანაწერით: „[ფონდის თავმჯდომარე] ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ფონდის გამგეობასთან შეთანხმებით უფლებამოსილია, შეიძინოს, ნებისმიერი სახით გაასხვისოს, უფლებრივად დატვირთოს და სხვაგვარად განკარგოს ფონდის უძრავი ქონება.“ [174]

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ცვლილების შემდეგ ფონდის თავმჯდომარეს, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების დასადებად, მათ შორის, უძრავი ქონების გასხვისების ნაწილში, მხოლოდ ფონდის გამგეობის ფორმალური თანხმობის მიღების მოთხოვნის დაკმაყოფილება დარჩა და დამფუძნებლის თანხმობის საჭიროება წესდებიდან ამოღებულ იქნა.

ცვლილების შემდეგ ფონდის თავმჯდომარეს, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების დასადებად, მხოლოდ ფონდის გამგეობის ფორმალური თანხმობის მიღება დარჩა.

თუმცა, ეს არ ყოფილა ქ. თბილისის მთავრობის მიერ ფონდის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების განხორციელების გაიოლების მიზნით მიღებული ერთადერთი გადაწყვეტილება ქონების გასხვისების საკითხში. საიას, სურს მკითხველის ყურადღება ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2012 წლის 22 მარტს მიღებულ №09.01.266 დადგენილებაზე მიაპყროს. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, ***ქ. თბილისის მთავრობის მიერ თბილისის განვითარების ფონდის წესდებიდან ამოღებულ იქნა ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, დამფუძნებელს უფლება ჰქონდა, მიეღო ფონდის მიერ უძრავი ქონების შეძენისა და მისი განკარგვის გადაწყვეტილება.***[175]

ფონდის თავმჯდომარისთვის ქონების გასხვისების პროცედურების გაიოლების პარალელურად, გვსურს, მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ

[172] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ივლისის #19.13.802 დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები.

[173] თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.3.3.“ ქვეპუნქტი (2010 წლის 16 ივლისის რედაქციით).

[174] თბილისის მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის #18.36.780 დადგენილების პირველი პუნქტი; თბილისის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.3.3.“ ქვეპუნქტი (2011 წლის 12 ივლისის რედაქციით).

[175] თბილისის მთავრობის 2012 წლის 22 მარტის #09.01.266 დადგენილების პირველი პუნქტი.

საკითხზე მივაპყროთ. კერძოდ, საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ კანონში 2011 წელს შეტანილი ცვლილების მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობას უფლება მიეცა, დადგენილი წესით დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, გამართული საქმიანობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, ქონება საკუთრებაში გადასცეს.[176]

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ მოხდა, ერთი მხრივ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ თბილისის განვითარების ფონდისთვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, რასაც ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა დაედო საფუძვლად, ხოლო მეორე მხრივ, გამოვლინდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემული უძრავი ქონების გასხვისების ფაქტები.

საია მკითხველს ქრონოლოგიურად სთავაზობს ინფორმაციას იმ დადგენილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს საკუთრებაში განსაზღვრული უძრავი ქონება გადასცა.

საია მკითხველს ქრონოლოგიურად სთავაზობს ინფორმაციას იმ დადგენილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს საკუთრებაში განსაზღვრული უძრავი ქონება გადასცა.

6.2. დადგენილება №09.22.352

2011 წლის 19 აპრილს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნა №09.22.352 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობამ, შენატანის სახით, თბილისის განვითარების ფონდს საკუთრებაში გადასცა დადგენილების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება.

დადგენილების მიღების წინაპირობად ქ. თბილისის მთავრობამ ის გარემოება მიიჩნია, რომ ***დედაქალაქისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ფონდი ახორციელებდა განსაზღვრულ ღონისძიებებს და ამ ღონისძიებების ფარგლებში მიზანშეწონილი იყო თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემა.***[177]

დადგენილების დანართის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, შემდეგი უძრავი ქონება გადასცა:

№	ქონების მისამართი	ფართი/დასახელება
1.	ქ. თბილისი, ქუჩიშვილის ქ. №9	ფართი 98.00 კვ.მ.
2.	ქ. თბილისი, ქუჩიშვილის ქ. №9	სარდაფი 8.00კვ.მ.
3.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1	ფართი 156.40 კვ.მ.
4.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, ბინა №29	ფართი 50.00 კვ.მ.
5.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, ბინა №26	ფართი 47.13 კვ.მ.
6.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2, ბინა №16	ფართი 51.00 კვ.მ.
7.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №2, ბინა №14	ფართი 72.00 კვ.მ.
8.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №2, ბინა №21	ფართი 20.00 კვ.მ.
9.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2, ბინა №1	ფართი 78.32 კვ.მ.

[176] საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ; მუხლი 23[1], პუნქტი ზ[1].
[177] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის #09.22.352 დადგენილება.

10.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2, ბინა №1	ფართი 62.05 კვ.მ.
11.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2	ფართი 18.65 კვ.მ.
12.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2, ბინა №24	ფართი 14.00 კვ.მ.
13.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2	ავტოფარეხი 36.80 კვ.მ.
14.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2	სათავსო ეზოში 10.90 კვ.მ.
15.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2	სათავსო ეზოში 7.10 კვ.მ.
16.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2, ბინა №4	ფართი 77.00 კვ.მ.
17.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №3	ავტოფარეხი 53.80 კვ.მ.
18.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №3, ბინა №33	ფართი 81.95 კვ.მ.
19.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, ბინა №25	ფართი 16.00 კვ.მ.
20.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, ბინა №32	ფართი 37.00 კვ.მ.
21.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, ბინა №9-10	ფართი 182.75 კვ.მ.
22.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1	აივანი 10.00 კვ.მ.
23.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, კიბის უჯრედზე მდებარე ოთახი	ფართი 24.00 კვ.მ.
24.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, ეზოში მდებარე სათავსო	სათავსო 40.00 კვ.მ.
25.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, კორპუსი №2, ბინა №11	ფართი 92.00 კვ.მ.
26.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №2, ბინა №3	ფართი 21.00 კვ.მ.
27.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №1, სართული 2, ბინა №31	ფართი 79.27 კვ.მ.
28.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1	ფართი 34.00 კვ.მ.
29.	ქ. თბილისი, ლომოურის ქ. №1, სახლი №2, ბინა №3	ფართი 43.80 კვ.მ.
30.	ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №5	სართული 4; 236,16 კვ.მ. (მათ შორის კიბის უჯრედი 23.29 კვ.მ.)
31.	ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №5	სართული 3; 225,88 კვ.მ. (მათ შორის კიბის უჯრედი 18.54 კვ.მ.)
32.	ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №5	სართული 5; 256,62 კვ.მ. (მათ შორის კიბის უჯრედი 22.27 კვ.მ.)
33.	ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №7	სართული 4; 339,32 კვ.მ. (მათ შორის კიბის უჯრედი 25.98 კვ.მ.)

34.	ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №7	სართული 3; 321,44 კვ.მ. (მათ შორის კიბის უჯრედი 27.93 კვ.მ.)
35.	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი 1, №7/9	არასაცხოვრებელი ფართი 16.50 კვ.მ.
36.	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი 1, №7/9	სამზარეულო 5.10 კვ.მ.
37.	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი 1, №7/9	ფართი17.00 კვ.მ.
38.	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი 1, №7/9	ფართი 12.00 კვ.მ. დამხმარე ფართი 14.50 კვ.მ. სამზარეულო 3.90 კვ.მ. შემინული აივანი 4.40 კვ.მ. ტუალეტი 1.80 კვ.მ.
39.	ქ. თბილისი, ათონელის ქ. №29/ ხიდის ქ. №1	სართული 3; ფართი 288,73 კვ.მ.
40.	ქ. თბილისი, რიყის ტერიტორია (ნაკვეთი 65/1)	1785.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი
41.	ქ. თბილისი, რიყის ტერიტორია (ნაკვეთი 65/034)	40997.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი
42.	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. „ცენტრალური უნივერმაღის“ შენობა, მიმდებარედ, მიწისქვეშა მშენებარე ავტოსადგომი	ფართობი 1540.00 კვ.მ.
43.	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65	სართული 1; არასაცხოვრებელი ფართი 90.59 კვ.მ.
44.	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65	სართული 2; არასაცხოვრებელი ფართი 249.17 კვ.მ.
45.	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65	ფართი 25.00 კვ.მ.
46.	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №136	2369.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი
47.	ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №5	1526.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი
48.	ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №8	3165 კვ.მ. მიწის ნაკვეთი
49.	ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №4-6	სართული 2; 404.90 კვ.მ.
50.	ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №4-6	სართული 3; 295.05 კვ.მ.
51.	ქ. თბილისი, თვალჭრელიძე №2	50000.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი
52.	ქ. თბილისი, სამღებროს №6	სხვენი 10.32 კვ.მ.
53.	ქ. თბილისი, სამღებროს №6	ფართი 30.66 კვ.მ.
54.	ქ. თბილისი, გრიშაშვილის №9	ფართობი 146 კვ.მ.
55.	ქ. თბილისი, თვალჭრელიძე №2	ფართობი 5897 კვ.მ.
56.	ქ. თბილისი, თვალჭრელიძე №2	ფართობი 5885 კვ.მ.
57.	ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ზონა „ბ“, კოტეჯი №3	ფართობი 269 კვ.მ.

საიას სურს, მკითხველის ყურადღება შემდეგ გარემოებაზე გაამახვილოს: ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, იმავე წლის 8 აპრილს, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" კანონის 23[1]-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობას მიენიჭა უფლება, მის მიერვე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის საკუთრებაში გადაეცა ფინანსური სახსრები და ქონება.[178] აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე უნდა შესულიყო. [179]

ფონდმა ქონების მართვის სააგენტოს, გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მიზნით, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა სთხოვა.

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.matsne.gov.ge მითითებულია, რომ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" კანონში 2011 წლის 8 აპრილს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებები 2011 წლის 2 მაისს გამოქვეყნდა.[180] შესაბამისად, ***ქ. თბილისის მთავრობას, 2011 წლის 19 აპრილს №09.22.352 დადგენილებით, თბილისის განვითარების ფონდისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საფუძველი ჯერ კიდევ არ გააჩნდა, რადგანაც საკანონმდებლო ცვლილება არ იყო ოფიციალურად გამოქვეყნებული და არც იურიდიული ძალა ჰქონდა.***[181]

6.3. დადგენილება №11.41.461 და გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორია

2011 წლის 10 მაისს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნა №11.41.461 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, საკუთრებაში გარკვეული უძრავი ქონება გადასცა.

როგორც დადგენილებიდან ირკვევა, ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის №11.41.461 დადგენილების მიღების წინაპირობა გახდა თბილისის განვითარების ფონდის წერილობითი მიმართვა, რომლის საფუძველზეც, ფონდმა ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მიზნით, გარკვეული უძრავი ქონების შენატანის სახით გადაცემა სთხოვა. წერილით ფონდმა ასევე მოითხოვა მარჯანიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული მშენებარე მიწისქვეშა ავტოსადგომის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიღება.[182]

თავის მხრივ, ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, საკუთრებაში გადასცა მოთხოვნილი ქონება, ხოლო მარჯანიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული მშენებარე მიწისქვეშა ავტოსადგომი ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში უსასყიდლოდ მიიღო.[183]

თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემული ქონება სრული სახით შემდეგნაირად გამოიყურება:[184]

---

[178] საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ, 23[1] მუხლის „ი" პუნქტი (2011 წლის 8 აპრილის რედაქციით).

[179] „საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", 23[1] მუხლის „ი" პუნქტი (2011 წლის 8 აპრილის რედაქციით).

[180] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1316242#

[181] 2011 წლის 8 აპრილის საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ი" პუნქტში შეტანილი ცვლილების ძალაში შესვლამდე, ამავე პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ქონების გადაცემის უფლება გააჩნდა. თუმცა, ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 28 ოქტომბერს იყო მიღებული, ქონების საკუთრებაში გადაცემას არ ითვალისწინებდა.

[182] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის #11.41.461 დადგენილება.

[183] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის #11.41.461 დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები.

[184] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მაისის #11.41.461 დადგენილების პირველი პუნქტის დანართი.

№	ქონების მისამართი	ფართი/დასახელება
1.	ქ. თბილისი, ახოსპირელის I ჩიხი, №1/6	საერთო ფართი 966.19 კვ.მ.
2.	ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა №2	1066.23 კვ.მ. ფართი
3.	ქ. თბილისი, გ. აბესაძის ქ. №23 (იგივე №1/23)	საერთო ფართი 954.95 კვ.მ.
4.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ნახევარსარდაფი 22.00 კვ.მ.
5.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 44.91 კვ.მ.
6.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სარდაფი 8.53 კვ.მ.
7.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 28.60 კვ.მ. დამხმარე სათავსო 12.00 კვ.მ. შესასვლელი 4.00 კვ.მ.
8.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სარდაფი 7.00 კვ.მ.
9.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 15.00 კვ.მ. სამზარეულო 20.50 კვ.მ. კორიდორი 25.00 კვ.მ.
10.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 37.00 კვ.მ.
11.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სარდაფი 4.00 კვ.მ.
12.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სართული I ფართი 18.00 კვ.მ.
13.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 41.30 კვ.მ.
14.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სარდაფი 8.00კვ.მ.
15.	ქ. თბილისი, ახოსპირელის ქუჩა №4	ფართი 77.80 კვ.მ.
16.	ქ. თბილისი, ახოსპირელის ქუჩა №4	სარდაფი 21.50 კვ.მ.
17.	ქ. თბილისი, ახოსპირელის ქუჩა №4	ფართი 76.00 კვ.მ.
18.	ქ. თბილისი, ახოსპირელის ქუჩა №4	სარდაფი 32.00 კვ.მ.
19.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 14.00 კვ.მ.
20.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 54.00 კვ.მ.
21.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 21.00 კვ.მ.
22.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 13.00 კვ.მ.
23.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ფართი 34.20 კვ.მ.
24.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სარდაფი 100.31 კვ.მ.
25.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2	საერთო ფართი 402.90 კვ.მ.
26.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	ნახევარსარდაფი 32 კვ.მ.
27.	ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №7/2	სართული I ფართი 199.60

ზემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემიდან მცირე ხნის შემდეგ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნა №13.12.511 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ცვლილება შეეიდა თბილისის განვითარების ფონდისთვის 2011 წლის 10 მაისის №11.41.461 დადგენილებით გადაცემული ქონების ჩამონათვალში და დანართის მიხედვით მე-3 ნომრად განსაზღვრულ ქონებას დაემატა ასევე 60,05 კვ.მ. ფართი.[185]

2011 წლის 10 მაისის №11.41.461 დადგენილებაში ცვლილების შეტანამდე, ქ. თბილისის მთავრობამ კიდევ ერთი დადგენილების მიღება მოასწრო, რომლის მიხედვითაც, 2011 წლის 18 მაისს თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირის №140-ის მიმდებარედ არსებული 444 კვ.მ.

[185] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის #13.12.511 დადგენილების პირველი პუნქტი.

მიწის ნაკვეთი.[186] აღნიშნული ქონების ფონდისთვის გადაცემის საფუძვლად ქ. თბილისის მთავრობამ ის გარემოება მიიჩნია, რომ თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან გარკვეული გადაწყვეტილების განხილვის მიზნით, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული უძრავი ქონების ფონდისთვის საკუთრებაში გადაცემა, შენატანის სახით.[187]

6.4. შპს „Wetzel Plaza“ და აღმაშენებლის №103

6.4.1. ნაწილი პირველი – თბილისის განვითარების ფონდი

2011 წლის 8 აგვისტოს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ კიდევ ერთი დადგენილება იქნა მიღებული, რომლის მიხედვითაც, თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, საკუთრებაში გადაეცა განსაზღვრული უძრავი ქონება.[188] აღნიშნულის საფუძვლად ქ. თბილისის მთავრობამ ამჯერადაც იგივე მიზეზი მიუთითა, რაც სხვა შემთხვევებში, კერძოდ, თბილისის განვითარების ფონდის მიერ, დედაქალაქისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონება, შენატანის სახით, ფონდისთვის გადაეცა საკუთრებაში.[189]

ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 8 აგვისტოს №21.07.879 დადგენილებით, თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, საკუთრებაში შემდეგი ქონება გადასცა:

№	ქონების მისამართი	ფართი/დასახელება
1.	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №103	სარდაფი 297.42 კვ. მ. I სართული 980.21 კვ.მ. II სართული 425.54 კვ.მ. III სართული 213.83 კვ.მ. IV სართული 248.56 კვ.მ. სხვენ-სართული 146.60 კვ.მ. და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი

დადგენილების მიხედვით, თბილისის განვითარების ფონდს ქონება საკუთრებაში იმ შემთხვევაში უნდა გადასცემოდა, თუკი ამ ქონებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თბილისის თვითმმართველ ერთეულს გადასცემდა საკუთრებაში.

აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 8 აგვისტოს №21.07.879 დადგენილების პირველი პუნქტის მიხედვით, თბილისის განვითარების ფონდს ზემოთ აღნიშნული ქონება საკუთრებაში იმ შემთხვევაში უნდა გადასცემოდა, თუკი ამ ქონებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს გადასცემდა საკუთრებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაცული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა 2011 წლის 9 აგვისტოს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობას საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირის №103-ში მდებარე უძრავი ქონება.[190]

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული შესაბამისი ამონაწერის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირის №103-ში მდებარე უძრავი ქონება ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანებით გადასცა.[191] ხოლო ქ. თბილისის მთავრობამ უძრავი ქონების მნიშვნელოვანი

[186] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 18 მაისის #12.16.480 დადგენილება
[187] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 18 მაისის #12.16.480 დადგენილება.
[188] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 8 აგვისტოს #21.07.879 დადგენილება.
[189] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 8 აგვისტოს #21.07.879 დადგენილება.
[190] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 10 აგვისტოს #882011387078-03 გადაწყვეტილება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 10/08/2011.
[191] ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 10/08/2011.

ნაწილის თბილისის განვითარების ფონდისთვის გადაცემა წინსწრებით, ერთი დღით ადრე, 2011 წლის 8 აგვისტოს გადაწყვიტა.[192]

იმავე წლის 10 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №103-ში მდებარე შენობა ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს ოფიციალურად გადაეცა.[193] ხოლო იგივე უძრავი ქონება თბილისის განვითარების ფონდმა ოფიციალურად 2011 წლის 18 აგვისტოს დაირეგისტრირა საკუთრებაში.[194]

უძრავი ქონების თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაში დარეგისტრირებიდან ერთი თვის შემდეგ, 2011 წლის 19 სექტემბერს, ქონების ნაწილი – კერძოდ 523 კვ.მ. – ფონდმა შპს „Wetzel Plaza"-ს 832,000 აშშ დოლარად მიჰყიდა.

6.4.2. ნაწილი მეორე – შპს „Wetzel Plaza"

ქ. თბილისის მთავრობის მიერ ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირის №103-ში მდებარე უძრავი ქონების თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაში დარეგისტრირებიდან ერთი თვის შემდეგ, 2011 წლის 19 სექტემბერს, ქონების ნაწილი – კერძოდ 523 კვ.მ. – ფონდმა შპს „Wetzel Plaza"-ს 832,000 აშშ დოლარად მიჰყიდა.[195]

მხარეებს შორის უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „Wetzel Plaza"-ს ქონების საფასური ეტაპობრივად უნდა დაეფარა.[196]

შპს „Wetzel Plaza"-ს ქონების საფასურის 30% ხელშეკრულების ხელმოწერიდან ათ საბანკო დღეში უნდა გადაეხადა, ხოლო დარჩენილი 70% კი – არაუგვიანეს 2011 წლის 30 დეკემბრისა.[197]

ამასთან, ***კომპანია, რომელსაც თბილისის განვითარების ფონდმა ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირის №103-ში არსებული უძრავი ქონება 2011 წლის 19 აპრილს განვადებით მიჰყიდა, იმავე წლის პირველ ივლისს ოფიციალურად დარეგისტრირდა.***[198]

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული ინფორმაციის მიხედვით, შპს „Wetzel Plaza"-ს დამფუძნებლები სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი" და სააქციო საზოგადოება „პრივატბანკი" არიან. თითოეული მათგანის წილი კომპანიაში 50-50 პროცენტს შეადგენს.[199]

შპს „Wetzel Plaza"-ს დამფუძნებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კომპანიის კაპიტალი 5,665,012,3 (ხუთი მილიონ ექვსას სამოცდახუთი ათას თორმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარით განისაზღვრა, შენატანის სახედ კი – უძრავი ქონება.[200]

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა მიერ გაღებული შენატანი – უძრავი ქონება – იმავე მისამართზე მდებარეობს, რომელზე არსებული ქონების ნაწილიც 2011 წლის 19 სექტემბერს თბილისის განვითარების ფონდმა შპს „Wetzel Plaza"-ს განვადებით მიჰყიდა.

---

[192] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 8 აგვისტოს #21.07.879 დადგენილება.

[193] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 10 აგვისტოს #882011387078-03 გადაწყვეტილება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 10/08/2011.

[194] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 18 აგვისტოს #882011400540-04 გადაწყვეტილება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 18/08/2011.

[195] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-3 მუხლი და მე-4 მუხლის „4.1.1."პუნქტი.

[196] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „4.1.2."პუნქტი.

[197] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „4.1.2.1." და „4.1.2.2." პუნქტები.

[198] შპს „Wetzel Plaza"; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერიცული) იურიდიული პირების რეესტრიდან; 2011 წლის 5 ივლისი.

[199] შპს „Wetzel Plaza"; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერიცული) იურიდიული პირების რეესტრიდან; 2011 წლის 5 ივლისი.

[200] შპს „Wetzel Plaza"-ს დამფუძნებლის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება #01/11; დღის წესრიგის მე-7 საკითხი: საზოგადოების კაპიტალი.

ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირის №103-ში მდებარე უძრავი ქონებიდან პარტნიორთა წილი საწესდებო კაპიტალში შემდეგი სახით განისაზღვრა:

შპს „Wetzel Plaza“	
დამფუძნებელი პარტნიორები	სააქციო საზოგადოება „პრივატბანკი“
	სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“
პარტნიორის წილი	სააქციო საზოგადოება „პრივატბანკი“; უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №103; კერძოდ, საერთო ფართი I სართული – 594.44 კვ.მ; II სართული – 760.25 კვ.მ; III სართული – 408.75 კვ.მ; საერთო ღირებულება – 4,225,455,70 ლარი – 50%
	სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“; უძრავი ქონება მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №103; კერძოდ, საერთო ფართი III სართული – 389.74 კვ.მ; IV სართული – 862.07 კვ.მ. და სარდაფი – 850,79 კვ.მ; საერთო ღირებულება – 1,439,556,60 ლარი – 50%
სულ კომპანიის საწესდებო კაპიტალი	5,665,012,3 (ხუთი მილიონ ექვსასსამოცდახუთი ათას თორმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარი

ამრიგად, აიპ თბილისის განვითარების ფონდმა, როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონების ნაწილი, საკუთარი შეხედულებისამებრ შპს „Wetzel Plaza“-ზე გაასხვისა და დამოუკიდებლად დაადგინა როგორც ქონების გასხვისების წესი, ასევე ამ ქონების საფასური და მისი გადახდის პირობები.

6.5. სააქციო საზოგადოება „რეალ ინვესტი“ და აღმაშენებლის №150

6.5.1. ნაწილი პირველი – თბილისის განვითარების ფონდი

2011 წლის 19 სექტემბერს თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან ქ. თბილისის მთავრობის მიერ, შენატანის სახით, საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ფონდის მხრიდან, ქ. თბილისის მთავრობის მიერ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების გასხვისებას ადასტურებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2011 წლის 13 ივლისს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონება ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს გადასცა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 13 ივლისის ბრძანებით, ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №150-ში მდებარე 200 კვ.მ. უძრავი ქონება.[201]

იმავე წლის ივლისში ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული იქნა №19.12.801 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2011 წლის 13 ივლისს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონება ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს გადასცა.[202]

[201] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 27 ივლისის #882011350698-03 გადაწყვეტილება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 27/07/2011.
[202] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 27 ივლისის #882011362009-03 გადაწყვეტილება; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 27/07/2011.

6.5.2. ნაწილი მეორე – სს „რეალ ინვესტი“

თბილისის განვითარების ფონდმა საკუთრებაში მიღებული უძრავი ქონების ნაწილი 2011 წლის 19 სექტემბერს სს „რეალ ინვესტს“ მიჰყიდა განვადებით.[203]

ხელშეკრულების მიხედვით, სს „რეალ ინვესტის“ საკუთრებაში გადადიოდა ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირის №150-ში მდებარე შენობაში არსებული 200 კვ.მ. ფართი, რის სანაცვლოდაც კომპანიას 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი უნდა გადაეხადა ეროვნულ ვალუტაში.[204]

ისევე, როგორც შპს „Wetzel Plaza“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში, სს „რეალ ინვესტსაც“ ქონების საფასურის გადახდა ეტაპობრივად დაევალა. შესაბამისად, ქონების საფასურის 30%-ის გადახდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან ათ საბანკო დღეში უნდა მომხდარიყო, ხოლო დარჩენილი 70%-ის გადახდა კი – არაუგვიანეს 2011 წლის 30 დეკემბრისა.[205]

კომპანიის მხრიდან შეთანხმების პირობად ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ კომპანიას სურდა, ეყიდა აღნიშნული უძრავი ქონება და კისრულობდა ვალდებულებას, მოეხდინა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულად დაფინანსება.[206] ხოლო, თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან ასეთ პირობად ფონდის მიერ ზემოთ მითითებული უძრავი ქონების გაყიდვა დასახელდა, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პირობით.[207]

2006 წლის 9 მარტიდან კომპანიის 100% წილის მფლობელი, სეიშელის რესპუბლიკაში რეგისტრირებული საერთაშორისო ბიზნეს კომპანია “OLDINGTON INVEST CORP”-ი გახდა.

რაც შეეხება თავად სს „რეალ-ინვესტს“, სამეწარმეო ამონაწერში მითითებულია, რომ კომპანია 2005 წლის 26 სექტემბერს დაფუძნდა.[208] თუმცა, ინფორმაცია დამფუძნებლის შესახებ ამონაწერში არ არის ასახული.

სს „რეალ-ინვესტის“ შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული მონაცემებიდან ირკვევა, რომ კომპანია თავდაპირველად შპს-ს ფორმით დარეგისტრირდა.[209] 2009 წლის 13 თებერვალს კი ცვლილებები შევიდა სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში და შპს „რეალ-ინვესტი“ სამეწარმეო რეესტრში სააქციო საზოგადოებად დარეგისტრირდა.[210]

სამეწარმეო რეესტრში დაცული ინფორმაციის მიხედვით, 2006 წლის 9 მარტიდან კომპანიის 100% წილის მფლობელი საერთაშორისო ბიზნეს კომპანია “OLDINGTON INVEST CORP”-ი გახდა, რომელიც, თავის მხრივ, სეიშელის რესპუბლიკაში 2003 წლის 11 ნოემბერს არის რეგისტრირებული.[211]

ამრიგად, თბილისის განვითარების ფონდმა სს „რეალ-ინვესტსაც“ ისე მიჰყიდა უძრავი ქონება, როგორც შპს „Wetzel Plaza“-ს. კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში კერძო სამართლის იურიდიული პირის სახელით გამოვიდა და ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონების ნაწილი საკუთარი შეხედულებისამებრ გაასხვისა სს „რეალ-ინვესტზე“. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თბილისის განვითარების ფონდმა დამოუკიდებლად განსაზღვრა, როგორც ქონების გასხვისების წესი, ასევე, ამ ქონების საფასური და მისი გადახდის პირობები.

[203] 2011 წლის 19 სექტემბრის ხელშეკრულება უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის შესახებ .
[204] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი, მე-4 მუხლის „4.1.1.“ პუნქტი.
[205] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „4.1.2.1.“ და 4.1.2.2.“ პუნქტები.
[206] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი.
[207] 2011 წლის 19 სექტემბრის უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი.
[208] ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან 06/07/2011.
[209] ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 26 სექტემბრის #276/0002-შპს ბრძანება.
[210] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 13 თებერვლის #3628/002-276/0002-შპს ბრძანება.
[211] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2006 წლის 9 მარტის #977/002-276/0002-შპს გარდაქმნა ბრძანება.

6.6. დასკვნის მაგიერ

თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონების გასხვისების ფაქტებთან დაკავშირებით, გვსურს, მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე მოვაპყროთ. კერძოდ, ***თუ ქ. თბილისის მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საკუთრებაში გადაცემულ ქონებას, შემდგომში საკუთრების ფორმით, თბილისის განვითარების ფონდს არ გადასცემდა და თავად გადაწყვეტდა გასხვისებას, ერთი მხრივ, უძრავი ქონების გასხვისება გაცილებით გამჭვირვალედ მოხდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, კონკურენტული გარემოს შექმნის შემთხვევაში, შესაძლოა უძრავი ქონება უფრო მაღალ ფასად გაყიდულიყო.***

როგორც წესი, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის, პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით. [212]

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს ასევე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვისა და, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის შესახებ ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრის წესს, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებებს დებს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო – ქ. თბილისის მთავრობა. ხოლო ეს ხელშეკრულებები ძალაში შედის საქართველოს პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე.[213]

ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და დაინტერესებულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება განსახილველად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობას, რომელიც, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებას საქართველოს პრეზიდენტს უგზავნის.[214]

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ***თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაში დღემდე რჩება განსაზღვრული უძრავი ქონება, რაც სამომავლოდ სრულებით შესაძლებელს ხდის, მან, როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, თბილისის მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონება საკუთარი შეხედულებისამებრ გაასხვისოს.***

[212] ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის მე-9 პუნქტი.
[213] ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის მე-12 პუნქტი.
[214] ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის მე-12 პუნქტი.

7. რიყის ტერიტორია

კვლევის ამ თავში საია მკითხველს ერთი კონკრეტული უძრავი ქონების ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ მოუთხრობს, რომელიც რიყის ტერიტორიასთან არის დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობამ თავად გაასხვისა ტერიტორია, ხოლო მოგვიანებით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საშუალებით, გამოისყიდა. ტერიტორიის გაყიდვასა და ყიდვას შორის სხვაობამ კი 15,764,500 ლარი შეადგინა. აღნიშნული ტერიტორიის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ნათლად ხსნის იმ სისტემის ნაკლოვანებს, რის შესახებაც უკვე იყო კვლევაში საუბარი.

7.1. თბილისის მთავრობა, როგორც რიყის ტერიტორიის გამსხვისებელი

2006 წლის 6 ივნისს ქ. თბილისის მთავრობამ შპს „ახალ რიყესთან" უძრავი ქონების გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა.[215] ხელშეკრულების მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობამ შპს „ახალ რიყეს" 43,350 კვ.მ. მეტრი ფართობი გადასცა რიყის ტერიტორიაზე. ნასყიდობის ფასი 7 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით 12,540,500 ლარს შეადგენდა.[216]

ხელშეკრულების მიხედვით, განისაზღვრა ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის წესი, კერძოდ – თანხის განვადებით, ეტაპობრივად გადახდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „ახალ რიყეს" ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ღირებულება ხელშეკრულების ხელმონერიდან სამი თვის განმავლობაში უნდა დაეფარა.[217]

ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ღირებულება შპს „ახალ რიყეს" ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი თვის განმავლობაში უნდა დაეფარა.

მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ქ. თბილისის მერიაში წარდგენილ საკონკურსო წინადადებაში, შპს „ახალი რიყე" აღნიშნავდა: ***„ჩვენი აზრით და საკონკურსო დავალების თანახმად, ანსამბლი მოშორებული უნდა იყოს მდინარე მტკვარს არანაკლებ 10 მეტრით, სადაც მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლის გასწვრივ გაშლილ ბაღში განთავსდება გამწვანების და დასვენების ზონა, რაც მთლიანი ტერიტორიის არანაკლებ 20%-ს უნდა შეადგენდეს, რათა ეს ზოლი იყოს საფეხმავლო, რასაც ორგანულად დაუკავშირდება ქვეითად მოსიარულეთა ხიდი (ან ორი ხიდი), რომელიც იქნება ორი სანაპიროს კოლორიტული დამაკავშირებელი და გადებული იქნება რესტორან „ბერიკონიდან" საზოგადოებრივ ცენტრამდე. აღნიშნული სარეკრეაციო ზონა უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის შეუზღუდავი და უსასყიდლო გადაადგილების და/ან შეკრების ზონას. შენობა-ნაგებობის სიმაღლე უნდა ითვალისწინებდეს არსებული ისტორიული გარემოს მასშტაბს, კერძოდ, არ უნდა ფარავდეს ხედს ბარათაშვილის აღმართის თაღებისკენ. პროექტის მიხედვით, სატრანსპორტო მაგისტრალი, არსებული გვირაბის ყელთან ერთად და მისი გამტარუნარიანობის შენარჩუნებით, გადატანილი უნდა იქნეს ბარათაშვილის აღმართის კედლისკენ და ჩატანილი უნდა იქნეს მიწის ქვეშ ბარათაშვილის ხიდამდე, სადაც აგრეთვე უნდა განთავსდეს სამეურნეო დანიშნულების სათავსოები და ავტოსადგომები, როგორც საზოგადოებრივი გამოყენების, ისე პერსონალისთვის. თავად საზოგადოებრივი ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს მშენებლობის და დიზაინის სტანდარტებს. იგი შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მაქსიმალურად გამწვანებული სარეკრეაციო ზონის მქონე შენობა-ნაგებობა. აღნიშნული შენობა-ნაგებობის ან შენობა-ნაგებობების კომპლექსი ძირითადად უნდა ითვალისწინებდეს***

[215] უძრავი ქონების გადახდის განვადებითი ნასყიდობის ხელშეკრულება; 2006 წლის 6 ივნისი; ნოტარიუსის რეესტრის #1/6724; თბილისის მთავრობა - შპს ახალი რიყე.

[216] უძრავი ქონების გადახდის განვადებითი ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი; 2006 წლის 6 ივნისი; ნოტარიუსის რეესტრის #1/6724; თბილისის მთავრობა - შპს ახალი რიყე.

[217] უძრავი ქონების გადახდის განვადებითი ნასყიდობის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები; 2006 წლის 6 ივნისი; ნოტარიუსის რეესტრის #1/6724; თბილისის მთავრობა - შპს ახალი რიყე

სასტუმრო ობიექტებს, საოფისე ფართებს, სავაჭრო ცენტრებს, საზ.კვებ-ის, დასვენებისა კულტურული დანიშნულების ობიექტებს, სპორტულ კომპლექსებს და ატრაქციონებს."[218]

წარდგენილ საკონკურსო წინადადებაში შპს „ახალი რიყე" ასევე მიუთითებდა: ***„კომპანია გეგმავს აღნიშნული პროექტის კიდევ უფრო მეტად დახვეწას საზოგადოებრივი აზრის და პროფესიონალების (სხვადასხვა დარგის სპეციალისტების) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რისთვისაც ჩვენ განზრახული გვაქვს ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურთან ერთად მოვამზადოთ არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი პირობები და ქალაქის მთავრობასთან შეთანხმებითა და დახმარებით გამოვაცხადოთ საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი (ან იდეის, ხედვის) გამოსავლენად და/ან მოვახდინოთ მათი სინთეზირება ადრეულ წლებში ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებთან (მასალებთან და პირობებთან), რისთვისაც განსაზღვრულია 500,000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის გამოყოფა."***[219]

შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი", რომელიც შპს „ახალი რიყის" თანადამფუძნებელი და 50%-ის მფლობელი გახდა, 2005 წლის 12 იანვარს დაფუძნდა და კომპანიის 100%-ის მესაკუთრედ დღემდე რჩება ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული „ნიუკომ ესოშიეშენ ლიმითედი".

7.2. შპს „ახალი რიყე" – რიყის ტერიტორიის მყიდველი

საიას სურს ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ ***შპს „ახალი რიყე", რომელსაც ქ. თბილისის მთავრობამ, ზემოთ აღნიშნული საკონკურსო წინადადების საფუძველზე, ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 43,350 კვ.მ. ფართობი მიჰყიდა, მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე – ანუ 2006 წლის 6 ივნისამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, იმავე წლის 14 აპრილს დარეგისტრირდა ოფიციალურად.***[220]

სამეწარმეო რეესტრში დაცული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ შპს „ახალი რიყე" 2006 წლის 14 აპრილს შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგმა" და ფიზიკურმა პირმა ნიკოლოზ მახარაშვილმა დააფუძნეს. თითოეული მათგანის წილი კომპანიაში 50-50 პროცენტით განისაზღვრა, საწესდებო კაპიტალი კი – 200 ლარით.[221]

თავის მხრივ, შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი", რომელიც შპს „ახალი რიყის" თანადამფუძნებელი და 50%-ის მფლობელი გახდა, 2005 წლის 12 იანვარს დაფუძნდა და კომპანიის 100%-ის მესაკუთრედ დღემდე რჩება ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2004 წლის 6 აპრილს დარეგისტრირებული „ნიუკომ ესოშიეშენ ლიმითედი".[222]

შპს „ახალი რიყის" მიერ, ქ. თბილისის მთავრობისგან რიყის ტერიტორიის შესახებ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმებამდე ერთი კვირით ადრე, შპს „ახალი რიყის" 50-50 პროცენტის მფლობელ პარტნიორებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება წილის ნასყიდობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგმა" პარტნიორ ნიკოლოზ მახარაშვილისგან შეიძინა შპს „ახალ რიყეში" ამ უკანასკნელის კუთვნილი წილი – 50%.[223] ამრიგად, ***გარიგების საფუძველზე, შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი" შპს „ახალი რიყის" 100%-იანი წილის მესაკუთრე გახდა.***[224]

შპს „ახალი რიყის" მიერ, ქ. თბილისის მერიის 2006 წლის 6 ივნისის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 43,350 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის ყიდვის შემდეგ, იმავე წლის 14 ივნისს კიდევ ერთი ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ახალი რიყის" წილის ნასყიდო-

[218] შპს „ახალი რიყის" საკონკურსო წინადადება - მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი ქალაქ თბილისში „რიყის" ტერიტორიაზე.
[219] შპს „ახალი რიყის" საკონკურსო წინადადება - მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი ქალაქ თბილისში „რიყის" ტერიტორიაზე.
[220] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი www.reestri.gov.ge
[221] ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 14 აპრილის #4577/005-72 ბრძანება.
[222] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწრმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 16.02.2011 წ; შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგის" პარტნიორის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.
[223] სანოტარო აქტი შპს „ახალი რიყის" საწესდებო კაპიტალში წილის ნასყიდობის შესახებ; რეესტრის #1-1579; 2006 წლის 31 მაისი.
[224] თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 1 ივნისის #5645/005-47შშ/-5-შპს ბრძანება.

ბის შესახებ.[225] ***ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგმა“ შპს „ახალ რიყეში“ კუთვნილი 100% წილიდან 80% ფიზიკურ პირს დავით იაკობაშვილს მიჰყიდა.***[226]

მხარეებს შორის გაფორმებულ ამ გარიგებაში ორი გარემოებაა საინტერესო. პირველი ის, რომ შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგმა“ შპს „ახალ რიყეში“ კუთვნილი 100% წილიდან 80% ფიზიკურ პირს დავით იაკობაშვილს გადასცა რიყის ტერიტორიაზე არსებული 43,350 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის ყიდვიდან რვა დღის შემდეგ. ხოლო მეორე ის, რომ პარტნიორთა ხელშეკრულების შესავალი აღწერილობითი ნაწილის მიხედვით, ***შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგის“ მიერ შპს „ახალ რიყეში“ წილის გასხვისების მიზეზი ქ. თბილისის მთავრობასთან განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ გაფორმებული ის ხელშეკრულება გახდა, რომლის მიხედვითაც, შპს „ახალი რიყე“ ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 43350 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა და განვადებით უნდა დაეფარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.***[227]

ამრიგად, ***2006 წლის 6 ივნისს ქ. თბილისის მთავრობამ შპს „ახალ რიყეს“ ისე მიჰყიდა ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 43350 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი, რომ საფუძვლიანად არ შეუსწავლია, შეეძლო თუ არა შპს „ახალ რიყეს“ საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება***.

საიას ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგსა“ და დავით იაკობაშვილს შორის გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, დავით იაკობაშვილს ვალდებულებად განესაზღვრა, ***მოიზიდოს ინვესტიციები (დაფინანსება) 2006 წლის 6 ივნისს ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „ახალ რიყეს“ შორის დადებული თანხის გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.***[228]

ქ. თბილისის მთავრობის მიერ შპს „ახალი რიყისთვის“ ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე არსებული 43,350 კვ.მ. მიწის ფართობის მიყიდვის ირგვლივ არსებული კითხვები ამით არ ამოიწურება. შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის დეკემბრის თვიდან, ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე გასხვისებული 43,350 კვ.მ. მიწის ფართობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები არანაკლებ კითხვას ტოვებს, ვიდრე ეს 2006 წელს ამ ტერიტორიის გასხვისებას ახლდა თან.

7.3. ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, როგორც რიყის ტერიტორიის მყიდველი

საია მკითხველს ქვემოთ სწორედ იმის შესახებ მოუთხრობს, თუ როგორ ჩაერთო რიყის ტერიტორიასთან დაკავშირებულ პროცესებში ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი და როგორ განვითარდა მოვლენები რიყის ტერიტორიის ირგვლივ 2008 წლის დეკემბრიდან.

2008 წლის 30 დეკემბერს, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, საინტერესო ხელშეკრულება დაიდო, ერთი მხრივ, შპს „ახალი რიყესა“ და, მეორე მხრივ, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს შორის.

2008 წლის დეკემბრის თვიდან, ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე გასხვისებული 43,350 კვ.მ. მიწის ფართობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები არანაკლებ კითხვას ტოვებს, ვიდრე ეს 2006 წელს ამ ტერიტორიის გასხვისებას ახლდა თან.

[225] სანოტარო აქტი, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, შპს „ახალი რიყე“; შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი“ (ლევან ყარამანშვილი) - დავით იაკობაშვილი (რწმ. ავთანდილ ნამიჩეიშვილი); რეესტრის #1-7131; 2006 წლის 14 ივნისი.

[226] სანოტარო აქტი, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, შპს „ახალი რიყე“; შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი“ (ლევან ყარამანშვილი) - დავით იაკობაშვილი (რწმ. ავთანდილ ნამიჩეიშვილი); რეესტრის #1-7131; 2006 წლის 14 ივნისი.

[227] სანოტარო აქტი, პარტნიორთა ხელშეკრულება, დავით იაკობაშვილი (რწმ. ავთანდილ ნამიჩეიშვილი) - შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი“ (ლევან ყარამანშვილი) - შპს „ახალი რიყე“; რეესტრის #1-7133; 2006 წლის 14 ივნისი.

[228] სანოტარო აქტი, პარტნიორთა ხელშეკრულება, დავით იაკობაშვილი (რწმ. ავთანდილ ნამიჩეიშვილი) - შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი“ (ლევან ყარამანშვილი) - შპს „ახალი რიყე“; მუხლი 4.01. პუნქტი“ა“ ; რეესტრის #1-7133; 2006 წლის 14 ივნისი,

ხელშეკრულების მიხედვით, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა შპს ახალ რიყესთან გააფორმა უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ფონდმა „რიყის ტერიტორია“ შეიძინა.[229]

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გამყიდველი შპს „ახალი რიყე“ წარმოადგენდა ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე მდებარე 43,350 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთადერთ კანონიერ მესაკუთრეს. ხოლო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ არსებული მიწის ნაკვეთის ყიდვასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ: ***ვინაიდან მყიდველი, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით, ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს; ვინაიდან, ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 26 დეკემბრის №82 დადგენილებით, რიყის ტერიტორიას მიენიჭა სარეკრეაციო ზონის სტატუსი; მყიდველის დამფუძნებელმა მიიღო გადაწყვეტილება (ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 29 დეკემბრის №25.01869 დადგენილება), რიყის ტერიტორიის განსაკუთრებული სარეკრეაციო და საზოგადოებრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, მყიდველმა გამოისყიდოს აღნიშნული უძრავი ქონება.***[230]

ხელშეკრულების მიხედვით, ქონების მთლიანი საფასური 17 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით განისაზღვრა, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.[231]

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მყიდველის მიერ გამყიდველის საბანკო ანგარიშზე უნდა გადარიცხულიყო ქონების ღირებულების ნაწილი, კერძოდ, 15 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, ქონების საფასურის დარჩენილი ნაწილის – 2 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში – გადახდის ვალდებულება არაუგვიანეს 2009 წლის ორ თებერვლამდე აიღო.[232]

შესაძლოა მხარეებს შორის გაფორმებულ ამ ხელშეკრულებას ჩვენი ყურადღება მხოლოდ იმიტომ მიეპყრო, რომ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების შესაძენად, 17 მილიონი აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება აიღო, ხოლო ფინანსირების მნიშვნელოვან წყაროს სწორედ დამფუძნებელი ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, ***იგივე უძრავი ქონება, რომელშიც ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა 17 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადაიხადა, 2006 წელს ქ. თბილისის მერიამ თავად გაასხვისა 7 მილიონ აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად.***[233]

ხელშეკრულების მიხედვით, ქონების მთლიანი საფასური 17 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა.

შესაბამისად, რიყის ტერიტორიაზე არსებული 43,350 კვ.მ. მიწის ფართობის ჯერ გაყიდვით და ხოლო შემდეგ, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საშუალებით, უკან გამოსყიდვით, 10 მილიონი აშშ დოლარი იზარალა, რაც ყიდვის და გაყიდვის დროს ეროვნულ ვალუტასთან მიმართე-

---

[229] უძრავი ქონების თანხის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება; 2008 წლის 30 დეკემბერი; ნოტარიუსის რეესტრის #1/19287; შპს ახალი რიყე - ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი.

[230] უძრავი ქონების თანხის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი; 2008 წლის 30 დეკემბერი; ნოტარიუსის რეესტრის #1/19287; შპს ახალი რიყე - ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი.

[231] უძრავი ქონების თანხის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „4.1.“ პუნქტი; 2008 წლის 30 დეკემბერი; ნოტარიუსის რეესტრის #1/19287; შპს ახალი რიყე - ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი. ამასთან, ხელშეკრულების გაფორმების დღეს ლარის ოფიციალური კურსი აშშ ერთ დოლართან მიმართებით 1,6650 ლარს შეადგენდა - http://www.nbg.ge

[232] უძრავი ქონების თანხის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „4.2.“ და „4.3.“ პუნქტები; 2008 წლის 30 დეკემბერი; ნოტარიუსის რეესტრის #1/19287; შპს ახალი რიყე - ააიპ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი.

[233] უძრავი ქონების გადახდის განვადებითი ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი; 2006 წლის 6 ივნისი; ნოტარიუსის რეესტრის #1/6724; თბილისის მთავრობა - შპს ახალი რიყე.

ბით არსებული აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გათვალისწინებით 15,764,500 ლარს შეადგენს.

7.4. ვინ ეკუთვნის შპს „ახალი რიყე“?

როგორც საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაცული მონაცემებით ირკვევა, 2008 წლის 30 დეკემბერს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ შპს „ახალი რიყისგან“ 43,350 კვ.მ. რიყის ტერიტორიის გამოსყიდვის შემდეგ მალევე, 2009 წლის 12 თებერვალს, შპს „ახალი რიყის“ 100% წილის მფლობელი საფრანგეთის მოქალაქე ***მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანი*** ხდება.[234] შპს „ახალი რიყის“ 100% წილის ახალი მფლობელის გადაწყვეტილებით, იმავე დღეს შეიცვალა კომპანიის დირექტორი და, თანამდებობიდან გათავისუფლებული ნინო ბაქრაძის ნაცვლად, დირექტორად თავად კომპანიის 100% წილის ახალი მფლობელი დაინიშნა.[235]

ფონდის მიერ შპს „ახალი რიყისგან“ 43,350 კვ.მ. რიყის ტერიტორიის გამოსყიდვის შემდეგ, შპს „ახალი რიყის“ 100% წილის მფლობელი საფრანგეთის მოქალაქე მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანი გახდა.

საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის მოხდა კონკრეტულად შპს „ახალი რიყის“ პარტნიორების მიერ 100% წილის გასხვისება საფრანგეთის მოქალაქეზე. თუმცა, ფაქტია, რომ 2008 წლის 30 დეკემბერს, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ შპს „ახალი რიყისგან“ 43,350 კვ.მ. რიყის ტერიტორიის გამოსყიდვის დროს, კომპანიის მხრიდან დირექტორის სტატუსით ხელშეკრულებას ხელი ნინო ბაქრაძემ მოაწერა, ხოლო ეს უკანასკნელი ამ თანამდებობაზე, კომპანიის 100% წილის საფრანგეთის მოქალაქეზე გასხვისებამდე, 80% წილის მფლობელმა შვედეთის მოქალაქე დავით იაკობაშვილმა დანიშნა.[236]

შესაბამისად, შეგვიძლია გამოვთქვათ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ***შპს „ახალი რიყე“-ს 100% წილის მფლობელი საფრანგეთის მოქალაქე მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანი სწორედ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ, 2008 წლის 30 დეკემბერს, შპს „ახალი რიყე“-სგან, ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 43,350 კვ.მ. მიწის გამოსყიდვის შემდეგ გახდა.***

ამასთან, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.reestri.gov.ge არსებული ინფორმაციის მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურში დაცული შპს „ახალი რიყის“ დოკუმენტაციის მიხედვით, პარტნიორები არიან: შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი“ – 20% და დავით იაკობაშვილი – 80%, ხოლო ელექტრონული მონაცემებით: ნიკოლოზ მახარაშვილი – 50% და შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგი“.[237] რაც შეეხება საფრანგეთის მოქალაქე ***მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანს,*** ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურში დაცული არც ელექტრონული და არც სხვა დოკუმენტაციის მიხედვით, კომპანიის პარტნიორად არ არის მოხსენიებული.[238]

[234] შპს „ახალი რიყის“ პარტნიორის 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება; 2009 წლის 12 თებერვლის სანოტარო აქტი #1-1395.
[235] შპს „ახალი რიყის“ პარტნიორის 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება; 2009 წლის 12 თებერვლის სანოტარო აქტი #1-1395.
[236] ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 14 ივნისის #5983/005-4577/005-შს ბრძანება.
[237] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 10 თებერვლის #B12018619/3 გადაწყვეტილება.
[238] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 10 თებერვლის #B12018619/3 გადაწყვეტილება.

7.5. თბილისის განვითარების ფონდი – რიყის ტერიტორიის მესაკუთრე

რიყის ტერიტორიასთან დაკავშირებული ისტორია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ შპს „ახალი რიყისგან“ გამოსყიდვით არ დასრულებულა. 2011 წლის 16 მარტს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს შორის, რომელიც ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენდა, გაფორმდა უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების მიხედვით, ფონდმა ქონების მართვის სააგენტოს ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე არსებული 40,997,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებში.

ხელშეკრულების მიხედვით, ფონდმა მერიის ქონების მართვის სააგენტოს უსასყიდლოდ საკუთრებში გადასცა ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე არსებული 40,997,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.[239]

ამრიგად, ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2006 წლის 6 ივნისს ქ. თბილისში რიყის ტერიტორიაზე გასხვისებული 43,350 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დიდი ნაწილი – 40,997,00 კვ.მ. – 2011 წლის 16 მარტის ხელშეკრულების მიხედვით, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დაბრუნდა. მთლიანობაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქ. თბილისის ბიუჯეტმა 15,764,500 ლარი იზარალა.

დაბოლოს, რიყის ტერიტორია ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2011 წლის 19 აპრილს მიღებული იმ დადგენილების ჩამონათვალში აღმოჩნდა, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობამ თბილისის განვითარების ფონდს, შენატანის სახით, საკუთრებაში გადასცა.[240]

უძრავი ქონების თბილისის განვითარების ფონდისთვის საკუთრებაში გადაცემის საფუძვლად კი, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 23^1-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი და 28-ე მუხლი იქნა მითითებული.

საიას სურს, მკითხველის ყურადღება გაამახვილოს ერთ გარემოებაზე. კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დადგენილებაში მითითებული „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23^1-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი სწორედ ის ნორმაა, რომელიც 2011 წლის 8 აპრილს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.matsne.gov.ge 2011 წლის 2 მაისს გამოქვეყნდა.[241] შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობას 2011 წლის 19 აპრილს, №09.22.352 დადგენილების მიხედვით, თბილისის განვითარების ფონდისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საფუძველი ჯერ კიდევ არ გააჩნდა, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილება არ იყო ოფიციალურად გამოქვეყნებული და არც იურიდიული ძალა ჰქონდა.[242]

[239] უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების პირველი მუხლის „1.2“ პუნქტი, მე-2 მუხლის „2“1“ პუნქტი. 2011 წლის 16 მარტი.
[240] ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის #09.22.352 დადგენილების დანართის 41-ე პუნქტი.
[241] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1316242#
[242] 2011 წლის 8 აპრილს საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის 23^1 მუხლის „ი“ პუნქტში შეტანილი ცვლილების ძალაში შესვლამდე, ამავე პუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ქონების გადაცემის უფლება გააჩნდა, თუმცა, ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წლის 28 ოქტომბერს იყო მიღებული, ქონების საკუთრებაში გადაცემას არ ითვალისწინებდა.

8. ააიპ ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი

8.1. ფონდის დაფუძნება

2007 წლის 17 სექტემბერს ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოიცა №1018 ბრძანება, რომლის მიხედვით, აიპ ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი დაფუძნდა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული დოკუმენტების მიხედვით, ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებული ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის ძირითად სამოქმედო დოკუმენტს ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 17 სექტემბრის №1018 ბრძანება წარმოადგენს, რადგანაც დამატებით სხვა რაიმე სახის სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის, ფონდის წესდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული არ არის.

ქ. ბათუმის მერის ბრძანებით,[243] განისაზღვრა ფონდის საქმიანობის მიზნები, რომელიც, ფაქტობრივად, თავიდან ბოლომდე იმეორებს ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის და ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიზნებს.

ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის მიზნებს წარმოადგენს:

- ბათუმის ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი;
- წყალსადენ-კანალიზაციისა და სადრენაჟო სისტემის, ძეგლის ინფრასტრუქტურისა და გარემოს (გზები, ტრანსპორტი, ბაღები-პარკები, განათება, ელექტრომომარაგება, დასუფთავება და ა.შ.) რეაბილიტაციის მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი;
- ისტორიული უბნების ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა. ამ პოტენციალის გამოყენების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და ბათუმის რეაბილიტაციის პროგრამაში ინტეგრირება;
- ისტორიულ ქალაქში უხეში ჩარევის თავიდან აცილების მიზნით, ახალ მშენებლობებზე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;
- ძველი ქალაქის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციას შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით;
- ძეგლის მოვლა-პატრონობისთვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება, არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი. საგადასახადო სისტემის ცვლილებების შესაძლებლობების შესწავლა და, არსებული შესაძლებლობების გამოყენებით, ცვლილებების შესახებ პროექტების მომზადება კერძო ინვესტიციების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით;
- ბათუმის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გლობალური პროგრამის, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის, რესტავრაციის, ადაპტაციის, ფიზიკური რესტავრაციის, „შევსების დიზაინის“ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ა.შ. შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა.[244]

ქ. ბათუმის მერის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ფონდის სხვა უფლებამოსილებები განისაზღვრება წესდებით.[245] შესაბამისად, საიამ წერილობით

ქ. ბათუმის მერის მიერ გამოცემული ბრძანების მიხედვით, 2007 წლის 17 სექტემბერს აიპ ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი დაფუძნდა.

[243] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანება.
[244] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-7 პუნქტი.
[245] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-7 პუნქტი.

ფონდის საქმიანობის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ერთპიროვნულად მიენიჭა ფონდის თავმჯდომარეს.

მიმართა[246] ქ. ბათუმის მერიას და ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის ის წესდება მოითხოვა, რომლის დამტკიცების უფლებაც ქ. ბათუმის მერიას გააჩნია.[247]

ქ. ბათუმის მერიის მიერ წარმოდგენილი ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის წესდების მიხედვით,[248] ფონდის საქმიანობის ძირითად მიზნებს ასევე წარმოადგენს:

- განახლების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა ან/და განხორციელებაზე კონტროლი;
- ქალაქის ისტორიულ უბნებში ახალ მშენებლობებზე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;
- ინფორმაციული ბანკის სრულყოფა/შექმნა;
- ბათუმის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროცესში სახელმწიფო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობა, რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით;
- ბათუმის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის, განვითარებისა და მართვის რეგულარული და პრევენციული მონიტორინგი.[249]

საიას ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა,[250] რომ, განსხვავებით ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა, ქ. ბათუმის მერიის მიერ დაფუძნებულ ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს გამგეობა არ ჰყავს.

შესაბამისად, ფონდის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ერთპიროვნულად ახორციელებს ფონდის თავმჯდომარე, რომელსაც ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. ბათუმის მერი.[251]

ფონდის წესდების მიხედვით, ფონდის სტრუქტურა შედგება ფონდის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, დიზაინერის, კონსულტანტის, ბუღალტრის და საქმის მწარმოებლისგან.[252]

ქ. ბათუმის მერის ბრძანების მიხედვით, ფონდის საკუთრება განისაზღვრა ფონდის საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონებით, ასევე, ფონდისათვის საკუთრებაში გადაცემული ქონებით და ფულადი სახსრებით.[253]

ფონდის წესდების მიხედვით, განისაზღვრა ფონდის დაფინანსების წყაროები და ასეთად მიჩნეულ იქნა:

- თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- გრანტებით მიღებული სახსრები;
- საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრები;
- საქველმოქმედო სახსრები;
- შემოწირულობები;
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;

[246] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის 2012 წლის 3 თებერვლის #გ-01/20 განცხადება.
[247] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-18 პუნქტი.
[248] ქ. ბათუმის მერიის 2012 წლის 17 თებერვლის #04-04/1715 კორესპონდენცია.
[249] ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის წესდების მე-3 მუხლის, „3.1.“ პუნქტის - „გ“, „ე“,“ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები.
[250] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანება.
[251] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-9 პუნქტი.
[252] ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის წესდების მე-5 მუხლის, „5.1.“ პუნქტი.
[253] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-13 პუნქტი.

- საკუთარი სამეურნეო შემოსავლები;
- დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული სახსრები;
- საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები.[254]

ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა და ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისგან განსხვავებით, ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობის შემთხვევაში მიენიჭა საკუთრებაში არსებული ქონების მთლიანად ან მისი ნაწილის გასხვისების უფლება.[255]

ამასთან, საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების წინაპირობად მიჩნეული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლი, რომლის მიხედვით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.[256]

დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ფონდის საქმიანობაზე კოორდინაციის განხორციელება ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკურ სამსახურს დაევალა,[257] ხოლო ფონდის ადგილსამყოფლად თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციული შენობა განისაზღვრა.[258]

დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ფონდის საქმიანობაზე კოორდინაციის განხორციელება ქ. ბათუმის მერიის ეკონომიკურ სამსახურს დაევალა, ხოლო ფონდის ადგილსამყოფლად თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციული შენობა განისაზღვრა.

8.2. ქონება და ფინანსები

კვლევაზე მუშაობის დროს საიასთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, იმის გარკვევა, თუ რა ოდენობის ფინანსებს და რა მიზნით გადასცემდნენ დამფუძნებლები ფონდებს და რამდენად მაღალი იყო ამ ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ხოლო მეორე მხრივ, გარდა ფინანსებისა, მნიშვნელოვანი იყო დამფუძნებლის მიერ გადაცემული როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონების შემდგომი ბედი.

შესაბამისად, საიამ წერილობით მიმართა ქ. ბათუმის მერიას და, ისევე, როგორც ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის და ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის შემთხვევაში, ქ. ბათუმის მერიიდან შემდეგი ინფორმაცია გამოითხოვა: 2007 წლის 17 სექტემბრიდან 2012 წლის 12 იანვრამდე ქ. ბათუმის მერიამ, როგორც აიპ „ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის“ დამფუძნებელმა, შენატანისა და გადარიცხვის სახით, რა რაოდენობის თანხა გადასცა ფონდს ქ. ბათუმის 2007-2011 წლების ბიუჯეტებიდან. განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ქ. ბათუმის მერიას მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა გაეცა შესაბამისი წლების და მიზნობრიობის მითითებით.[259]

ქ. ბათუმის მერიამ მოთხოვნილი ინფორმაცია ნაწილობრივ გასცა და შემდეგი სახით მოგვაწოდა:[260]

[254] ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის წესდების მე-6 მუხლის „6.3.“ პუნქტი.
[255] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-14 პუნქტი.
[256] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-14 პუნქტი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლი.
[257] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-19 პუნქტი.
[258] ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის #1018 ბრძანების მე-6 პუნქტი; ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 18 სექტემბრის #2-26-1924 კორესპონდენცია.
[259] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის 2012 წლის 12 იანვრის #გ-01/1 განცხადება.
[260] ქ. ბათუმის მერიის 2012 წლის 25 იანვრის #04-04/467 კორესპონდენცია.

დასახელება	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი
	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯი	საკასო ხარჯი
ა(ა)იპ - ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი	11.1	70.5	90.2	91.6	50.4

განცხადება, რომელიც საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისთვის თანხების გამოყოფას შეეხებოდა, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გადააგზავნა.

კვლევაზე მუშაობის დროს საია ასევე დაინტერესდა, თუ რა დაფინანსება მიიღო დაფუძნების დღიდან ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდმა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან. ამ მიზნით, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, განცხადებები წარდგენილი იყო როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში,[261] ასევე, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში.[262]

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა ასევე საიას წერილი საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის დაფინანსებასთან დაკავშირებით.[263]

რაც შეეხება იდენტური შინაარსის განცხადებას, რომელიც საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისთვის თანხების გამოყოფას შეეხებოდა, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გადააგზავნა.[264] თუმცა, მოთხოვნილი ინფორმაცია არ იქნა გაცემული.[265]

კიდევ ერთი განცხადება, რომელიც ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ბათუმის მერიაში, შეეხებოდა ფონდისათვის გადაცემულ უძრავ და მოძრავ ქონებას. განცხადების მიხედვით, საია ითხოვდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უძრავ-მოძრავი ქონება გადასცა საკუთრებაში ქ. ბათუმის მერიამ, როგორც დამფუძნებელმა, ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს.[266]

ბათუმის მერიის ინფორმაციის მიხედვით, ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისათვის საკუთრებაში გადაცემული ქონების ჩამონათვალში უძრავი ქონება არ ფიქსირდება, ხოლო რაც შეეხება მოძრავ ქონებას, შემდეგი სახით გამოიყურება:[267]

№	მოძრავი ქონების დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	კაბინეტის მაგიდა	1	180
2	ნახევრად რბილი სკამი	1	80
3	ნახევრად რბილი სავარძელი	1	80
4	ელექტრო მარაო	1	30
5	მრგვალი მაგიდა (წითელი ფერის)	1	78
6	ნახევრად რბილი სკამი	1	80
7	მაგიდის მისადგმელი	1	80

[261] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/44-12 განცხადება.
[262] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/46-12 განცხადება.
[263] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/44-12 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 2012 წლის 28 თებერვალს წარდგენილ იქნა #გ-05/-3-12 ადმინისტრაციული საჩივარი.
[264] საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის 10 თებერვლის #25/34 კორესპონდენცია.
[265] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის 13 თებერვლის #გ-05/08-12 ადმინისტრაციული საჩივარი.
[266] საიას აჭარის ფილიალის 2012 წლის 3 თებერვლის #გ-01/20 განცხადება.
[267] ქ. ბათუმის მერიის 2012 წლის 17 თებერვლის #04-04/1715 კორესპონდენცია.

8	ტელევიზორის ტუმბო ორ კარიანი	1	70
9	მრგვალი სკამი (წითელი ფერის)	1	50
10	ტელეფონის აპარატი	1	30
11	საწერი მაგიდა	1	100
12	საწერი მაგიდა	1	100
13	ტუმბო	1	50
14	ტუმბო	1	50
	ჯამი		1058

ფონდის წესდებით ასევე განისაზღვრა, რომ წელიწადში ერთხელ ფონდს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ქ. ბათუმის მერიისათვის უნდა წარედგინა.

შესაბამისად, კვლევაზე მუშაობის დროს საიამ ქ. ბათუმის მერიისგან გამოითხოვა ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის მიერ ბათუმის მერიაში ყოველწლიურად წარდგენილი ანგარიშების ასლები.[268]

ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციიდან საიამ შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: „ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს 2007 წლიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ქ. ბათუმის მერიაში არ წარმოუდგენია, რის გამოც აღნიშნული ინფორმაციის მოწოდების თაობაზე თქვენს თხოვნას ქ. ბათუმის მერია ვერ დააკმაყოფილებს.“ [269]

შესაბამისად, ერთი მხრივ, ნათელია, რომ ***ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის მიერ წლების განმავლობაში არ სრულდებოდა ფონდის წესდებით განსაზღვრული ვალდებულება და დამფუძნებლის წინაშე ანგარიშგება გაწეული საქმიანობის შესახებ,*** ხოლო მეორე მხრივ, საია მოკლებულია შესაძლებლობას, მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რამდენად ეფექტურად ასრულებდა ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს 2007 წლიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ქ. ბათუმის მერიაში არ წარუდგენია.

[268] საიას აჭარის ფილიალის 2012 წლის 24 იანვრის #გ-01/28 განცხადება.
[269] ქ. ბათუმის მერიის 2012 წლის 5 მარტის #04-04/3589კორესპონდენცია.

9. აიპ ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი

9.1. ფონდის დაფუძნება

მსგავსად ქ. თბილისის და ქ. ბათუმის მერიებისა, ქალაქის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით, ქ. ქუთაისის მერიის მიერ 2007 წლის 5 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ.[270]

ქუთაისის მერის ბრძანებით, რომლის საფუძველზეც ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი დაფუძნდა, ასევე განისაზღვრა ფონდის წესდება, გამგეობის შემადგენლობა, ფონდის თავმჯდომარე, იურიდიული მისამართი და, ფონდის პირველადი დაფინანსების მიზნით, ქ. ქუთაისის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხის ოდენობა.[271]

ფონდის წესდების მიხედვით, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის განსაზღვრული მიზნები, ფაქტობრივად, თავიდან ბოლომდე იმეორებს ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიზნებს. წესდების მიხედვით, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიზნებად განისაზღვრა:

წესდების მიხედვით, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის განსაზღვრული მიზნები, ფაქტობრივად, თავიდან ბოლომდე იმეორებს ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიზნებს.

- ქუთაისის ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი;
- წყალსადენ-კანალიზაციისა და სადრენაჟო სისტემის, ძეგლის ინფრასტრუქტურისა და გარემოს (გზები, ტრანსპორტი, ბაღები-პარკები, განათება, ელექტრომომარაგება, დასუფთავება და ა.შ.) რეაბილიტაციის მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა ან/და შესრულების კონტროლი;
- ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, ბინის მესაკუთრეთა ასოციაციებისა და კონდომინიუმების შექმნის ხელშეწყობა;
- ქონების მართვის დარგის წახალისება;
- განსახლების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა ან/და კონტროლი;
- ისტორიული უბნების ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა; ამ პოტენციალის გამოყენების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და ქუთაისის რეაბილიტაციის პროგრამაში ინტეგრირება;
- ისტორიულ ქალაქში უხეში ჩარევების თავიდან აცილების მიზნით, ახალ მშენებლობებზე კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება;
- ძველი ქალაქის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციას შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით;
- ისტორიული ნაწილის მართვის ძლიერი უფლებამოსილი ორგანოს მოდელის შემუშავება, რომელიც ძეგლის რეაბილიტაციასა და მართვაზე მთავარი პასუხისმგებელი სააგენტო იქნება; აღნიშნული ორგანოს ჩამოყალიბებისა და შექმნის ხელშეწყობა ან/და დანერგვის პროცედურების კონტროლი;
- ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის ფინანსების მობილიზების მექანიზმების შემუშავება, არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი. საგადასახადო სისტემის ცვლილებების შესაძლე-

[270] ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანება.
[271] ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანება.

ბლობების შესწავლა და, არსებული შესაძლებლობების გამოყენებით, ცვლილებების შესახებ პროექტების მომზადება კერძო ინვესტიციების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით;

- ქუთაისის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გლობალური პროგრამის, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის, რესტავრაციის, ადაპტაციის, ფიზიკური რესტავრაციის, „შევსების დიზაინის“ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ა.შ. შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა;
- პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსერვაციისა და მენეჯმენტის ტრენინგების სისტემის შექმნა;
- რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული ბანკის სრულყოფა/შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის/კვლევის შესაბამისი ინსტიტუციის (ცენტრი, ლაბორატორია/ინსტიტუტი/სახელოსნო) მოდელის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა ან/და კონტროლი იმისათვის, რომ კოორდინირებული იქნეს მიმდინარე კვლევითი სამუშაოები;
- ყველა საცდელი პროექტის შესრულების კოორდინაცია ცალკეული ინიციატივებისა და ძალისხმევის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით;
- რეაბილიტაციის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში არასამთავრობო სექტორთან, კერძო სააგენტოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის ორგანიზება, რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში აქტიური ჩართვის მიზნით;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის და ფართო საზოგადოების რეაბილიტაციისა და განვითარების პროცესში ჩართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება;
- ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის, განვითარებისა და მართვის რეგულარული და პრევენციული მონიტორინგი;
- პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება ან/და განხორციელებაზე კონტროლი საცდელი პროექტების სახით;
- საინვესტიციო პროექტების შემუშავება ან/და შესრულების ხელშეწყობა ან/და შესრულების პროცესის კონტროლი.[272]

წესდებით ასევე განისაზღვრა, რომ ფონდს დამფუძნებლისთვის უნდა წარედგინა ყოველწლიური ანგარიში, ფონდის მდგომარეობის და გაწეული სამუშაოების შესახებ.

წესდებით ასევე განისაზღვრა, რომ ფონდი დამფუძნებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ფონდის საქმიანობის მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოს შესახებ. [273]

ფონდის დამფუძნებელმა, ქ. ქუთაისის მერიამ, წესდების მიხედვით შემდეგი უფლებამოსილება მიიღო:

- დაამტკიცოს ფონდის წესდება, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები;
- შეცვალოს ფონდის მიზნები;
- აირჩიოს და გამოიწვიოს ფონდის გამგეობის წევრები;
- ფონდის გამგეობის შემადგენლობიდან აირჩიოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგეობის თავმჯდომარე – ფონდის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, განსაზღვროს მათი უფლებამოსილებები;
- მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია ფონდის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისგან ფონდის საქმიანობის შესახებ;

[272] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-2 მუხლი.
[273] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-2 მუხლის „2.2.8.“ პუნქტი.

- მოისმინოს გამგეობის ფინანსური და სხვა ხასიათის ანგარიშები;
- დაამტკიცოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ფონდის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები;
- მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის ფილიალების (წარმომადგენლობების) დაფუძნების და მათი ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის საქმიანობის შეჩერების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;
- გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის კომპეტენციას.[274]

ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მიხედვით, ფონდის ხელმძღვანელი ორგანო – გამგეობა – სამი წევრის შემადგენლობით განისაზღვრა, რომელთა არჩევის კომპეტენცია დამფუძნებელს მიენიჭა.[275]

დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით განისაზღვრა:

1. ანდრო ლოსაბერიძე – თავმჯდომარე
2. კახა ნურალიძე
3. მერაბ კეზევაძე[276]

ფონდს მიენიჭა უფლება, საკუთრებაში იქონიოს შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, საცხოვრებელი ფონდ-მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.[277]

ფონდის ქონების გასხვისების პირობად, მიჩნეულ იქნა შემთხვევები, როდესაც ქონების გასხვისება ხელს შეუწყობდა მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან წარმოადგენდა საქველმოქმედო საქმიანობას.

წესდების მიხედვით, ფონდის სახსრების ფორმირების წყაროდ შემდეგი საშუალებები იქნა მიჩნეული:

- დამფუძნებლის შენატანი/ შემოწირულობები;
- საკუთარი საწარმოებისა და ორგანიზაციების კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
- ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობები;
- გრანტები;
- კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლები;
- სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.[278]

ფონდის ქონების გასხვისების პირობად, წესდების მიხედვით, მიჩნეულ იქნა შემთხვევები, როდესაც ქონების გასხვისება ხელს უწყობს მის ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან წარმოადგენს საქველმოქმედო საქმიანობას.[279]

შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, წესდების მიხედვით მიენიჭა უფლებამოსილება, ის ქონება, რომელსაც დამფუძნებელი გადასცემდა, დამოუკიდებლად გაესხვისებინა.

[274] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-4 მუხლი.
[275] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-5 მუხლის „5.1.“ პუნქტი.
[276] ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანების მე-3 პუნქტი.
[277] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.3.“ პუნქტი.
[278] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.2.“ პუნქტი
[279] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-7 მუხლის „7.6.“ პუნქტი.

ქ. ქუთაისის მერიამ, 2007 წლის 5 სექტემბრის №1265 ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის დაფუძნების პარალელურად, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ფონდის ამოცანების განხორციელებისათვის პირველადი დაფინანსების მიზნით, მერიის სარეზერვო ფონდიდან 20,000 ლარი გამოუყო.[280]

9.2. დააფუძნა, მაგრამ არ დაუფუძნებია

საია დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის თანხა გადასცა ქ. ქუთაისის 2007-2011 წლების ბიუჯეტებიდან, შენატანისა და გადარიცხვის სახით, ქ. ქუთაისის მერიამ, როგორც დამფუძნებელმა, ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს 2007 წლის 6 სექტემბრიდან[281] 2012 წლის 12 იანვრის ჩათვლით.[282] ამასთან, საიას მიერ წარდგენილი განცხადების მიხედვით, ქ. ქუთაისის მერიას მოთხოვნილი ინფორმაცია შესაბამისი წლების და მიზნობრიობის მითითებით უნდა გაეცა.[283]

ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის №1265 ბრძანებაში, ფონდის საფირმო სახელწოდებასთან დაკავშირებით, სამი განსხვავებული სახელია მითითებული.

წარდგენილი განცხადების პასუხად, ქ. ქუთაისის მერიამ გვაცნობა, რომ ***ქალაქ ქუთაისის მერიას ააიპ ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი არ დაუფუძნებია და, შესაბამისად, მასში რაიმე ფულადი შენატანის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.***[284]

ქ. ქუთაისის მერიაში განცხადების წარდგენისას, საია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.reestri.gov.ge არსებული ჩანაწერებით სარგებლობდა. აღნიშნული ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი სწორედ ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ არის დაფუძნებული, რომლის წინაპირობაც ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის №1265 ბრძანება გახდა.

ამასთან, ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის №1265 ბრძანებაში, ფონდის საფირმო სახელწოდებასთან დაკავშირებით, სამი განსხვავებული სახელია მითითებული. პირველ შემთხვევაში, ეს არის: „ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი“,[285] მეორე შემთხვევაში – „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი“,[286] ხოლო მესამე შემთხვევაში – „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“.[287]

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ***მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით. ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული ფონდის საფირმო სახელწოდებად სწორედ „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“ არის მითითებული,***[288] ხოლო დანარჩენი ორი სახელწოდება – „ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი“ და „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი“ – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საერთოდ არ ფიქსირდება.

შესაბამისად, საიასთვის უცნობი დარჩა, თუ რას ეფუძნებოდა ქ. ქუთაისის მერია, როდესაც აღნიშნავდა, რომ მას ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის

[280] ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანების მე-6 პუნქტი
[281] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი
[282] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 12 იანვრის #გ-06/02 განცხადების ოფიციალურად წარდგენის თარიღი ქ. ქუთაისის მერიაში.
[283] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 12 იანვრის #გ-06/02 განცხადება.
[284] ქ. ქუთაისის მერიის 2012 წლის 18 იანვრის #01-229 კორესპონდენცია.
[285] ამ სახით ფონდის სახელწოდება აღნიშნულია, ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანების სათაური.
[286] ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანების პირველი პუნქტი.
[287] ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები, ასევე, ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფონდის წესდების ტექსტი.
[288] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. ამონაწერის მომზადების თარიღი 13.01.2012.

საიას მიერ წარდგენილი მეორე განცხადების შემდეგ ქუთაისის მერიას ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის დაფუძნების ფაქტი აღარ უარუყვია.

რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი არ დაუფუძნებია და, შესაბამისად, მასში რაიმე ფულადი შენატანის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.[289]

თუმცა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საიამ კიდევ ერთხელ მიმართა ქ. ქუთაისის მერიას და, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ახალი განცხადება წარადგინა.[290] კერძოდ, ქ. ქუთაისის მერიას ეცნობა, რომ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დაცული მონაცემების მიხედვით, ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნდა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, რომლის სახელმწიფო რეგისტრაციაც 2007 წლის 6 სექტემბერს მოხდა და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი 212897524. ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტებს შორისაა ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის №1265 ბრძანება.

შესაბამისად,წარდგენილიგანცხადებითადათანდართულიდოკუმენტებით,[291] საიამ ქ. ქუთაისის მერიისგან კიდევ ერთხელ მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის თანხა გადასცა ქ. ქუთაისის 2007-2011 წლების ბიუჯეტებიდან, შენატანისა და გადარიცხვის სახით, ქ. ქუთაისის მერიამ, როგორც დამფუძნებელმა, ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს 2007 წლის 6 სექტემბრიდან[292] 2012 წლის 12 იანვრის ჩათვლით. განცხადებით მოთხოვნილი იყო ასევე, რომ ქ. ქუთაისის მერიას ინფორმაცია შესაბამისი წლების და მიზნობრიობის მითითებით უნდა გაეცა.[293]

საიას მიერ წარდგენილი მეორე განცხადების შემდეგ ქ. ქუთაისის მერიამ აღარ უარყო ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის დაფუძნების ფაქტი, ხოლო რაც შეეხება ამავე ფონდის დაფინანსების საკითხს, ქუთაისის მერიიდან მოწოდებული კორესპონდენციის მიხედვით, ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის №1265 ბრძანების თანახმად, ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს ამავე წლის 12 სექტემბერს მერიის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხული აქვს 10,000 ლარი.[294]

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია 2007-2011 წლების პერიოდს შეეხებოდა, ქუთაისის მერიის პასუხის შემდეგ საიასთვის უცნობი დარჩა იმ გარემოების შესახებ, ფინანსდებოდა თუ არა ქ. ქუთაისის ისტორიული ნანილის განვითარების ფონდი ქ. ქუთაისის 2008-2011 წლების ბიუჯეტიდან, რადგანაც მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ 2007 წელს შეეხებოდა.

9.3. ქონება და ფინანსები

კვლევაზე მუშაობის დროს საია ასევე დაინტერესდა, თუ რა დაფინანსება მიიღო დაფუძნების დღიდან ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდმა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან. ამ მიზნით, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით განცხადებები წარდგენილი იქნა, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში,[295] ასევე საქართველოს მთავრობის კანცელარიაში.[296]

[289] ქ. ქუთაისის მერიის 2012 წლის 18 იანვრის #01-229 კორესპონდენცია.
[290] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 7 თებერვლის #გ-06/19 განცხადება.
[291] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 7 თებერვლის #გ-06/19 განცხადება. განცხადებას თან ერთვოდა ქ. ქუთაისის მერიის 2007 წლის 5 სექტემბრის #1265 ბრძანების და ქ. ქუთაისის მერიის 2012 წლის 18 იანვრის #01-229 კორესპონდენციის ასლები.
[292] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი.
[293] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 7 თებერვლის #გ-06/19 განცხადება.
[294] ქ. ქუთაისის მერიის 2012 წლის 15 თებერვლის #01-229 კორესპონდენცია.
[295] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/43-12 განცხადება.
[296] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/45-12 განცხადება.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან საიას წერილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის დაფინანსებასთან იყო დაკავშირებული უპასუხოდ იქნა დატოვებული.[297]

რაც შეეხება მეორე განცხადებას, რომელიც დაკავშირებული იყო, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისთვის თანხების გამოყოფასთან, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ, წარდგენილი განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გადააგზავნა.[298] თუმცა, მოთხოვნილი ინფორმაცია არც ამ შემთხვევაში არ იქნა გაცემული.[299]

კიდევ ერთი საკითხი, რომლითაც კვლევაზე მუშაობის დროს საია დაინტერესდა, შეეხებოდა ქ. ქუთაისის მერიის მიერ, ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდისთვის გადაცემულ ქონებას.

ამ მიზნით საიას მიერ შესაბამისი განცხადება იქნა წარდგენილი ქუთაისის მერიაში, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უძრავ-მოძრავი ქონება გადასცა საკუთრებაში ქ. ქუთაისის მერიამ, როგორც დამფუძნებელმა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს.[300]

ქ. ქუთაისის მერიამ მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ გასცა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ***ქ. ქუთაისის მერიას ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის რაიმე ქონება არ გადაუცია.***[301]

დაბოლოს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდებით განისაზღვრა ფონდის უფლება-მოვალეობები, რომელთა შორის არის დამფუძნებლის წინაშე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა ფონდის საქმიანობის, მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოს შესახებ. [302]

შესაბამისად, საიას მიერ ქ. ქუთაისის მერიიდან გამოთხოვნილი იქნა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ ქ. ქუთაისის მერიაში ფონდის დაფუძნების წლიდან წარდგენილი ყველა ამ ანგარიშის ასლები.[303]

განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისის მერიამ საიას აცნობა, რომ: ***ქ. ქუთაისის მერიაში ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საქმიანობის მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია არ შესულა***.[304]

ამრიგად, ისევე, როგორც ეს ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის შემთხვევაში იყო, არც ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის მიერ არ შესრულებულა ფონდის წესდებით განსაზღვრული ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე ყოველწლიური ანგარიშგების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის საქმიანობას და, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, თუ რა საქმიანობას ახორციელებდა ფონდი წლების განმავლობაში.

საიას წერილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის დაფინანსებასთან იყო დაკავშირებული, უპასუხოდ იქნა დატოვებული.

[297] საიას 2012 წლის 8 თებერვლის #გ-04/44-12 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 2012 წლის 28 თებერვალს წარდგენილ იქნა #გ-05/-3-12 ადმინისტრაციული საჩივარი.
[298] საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის 10 თებერვლის #25/34 კორესპონდენცია.
[299] საიას 2012 წლის 13 მარტის #გ-05/08-12 ადმინისტრაციული საჩივარი.
[300] საიას ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 7 თებერვლის #გ-06/17 განცხადება.
[301] ქ. ქუთაისის მერიის 2012 წლის 16 მარტის #01-1762 კორესპონდენცია.
[302] ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების მე-2 მუხლის „2.2.8.“ პუნქტი.
[303] საიას ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 14 მარტის #გ-06/36 განცხადება.
[304] ქ. ქუთაისის მერიის 26 მარტის #01-1756 კორესპონდენცია.

10. დასკვნა

წარმოდგენილ კვლევაში საია შეეცადა, მკითხველისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ქ. თბილისის მთავრობის, ასევე, ქ. ბათუმის და ქ. ქუთაისის მერიების მიერ დაფუძნებული იმ ოთხი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ, რომლებსაც დამფუძნებლებმა ერთნაირი შინაარსის საწესდებო მიზნები განუსაზღვრეს და ქალაქების ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროცესში მონაწილეობის უფლება მისცეს.

როგორც წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ორი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი – ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი და თბილისის განვითარების ფონდი – აქტიურად იყვნენ ჩართულები ბოლო წლებში დედაქალაქში განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო და სარესტავრაციო სამუშაოებში.

კვლევამ აჩვენა, რომ ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ფონდებისთვის გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია მოკლებულია გამჭვირვალობას და, პრაქტიკულად, შეუძლებელია იმის დადგენა, კონკრეტულად რომელი ღონისძიებები ფინანსდებოდა მიღებული თანხებით და რა პრინციპით ხდებოდა როგორც შესასრულებელი სამუშაოების, ასევე შემსრულებელი კომპანიების შერჩევა.

ამასთან, ერთი მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში განმარტებული „სახელმწიფო შესყიდვის“ ცნებაში წლების განმავლობაში შესული არაერთი ცვლილება და დღეის მდგომარეობით არსებული ჩანაწერი, ხოლო მეორე მხრივ, ის პრაქტიკა, რომელიც ქ. თბილისის მერიის მიერ წლების განმავლობაში ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის თანხების გადასარიცხად გამოიყენებოდა, ფონდს უტოვებდა შესაძლებლობას, ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსებით შეძენილი სამუშაოები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის გვერდის ავლით შეესრულებინა.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ არ იქნა გაცემული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა ქ. თბილისის მერიაში და, ასევე, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში 2005-2011 წლებში ჩატარებულ აუდიტს. ხოლო თბილისის განვითარების ფონდში საქართველოს კონტროლის პალატის მიერ აუდიტი არ განხორციელებულა.

ქ. ბათუმის და ქ. ქუთაისის მერიების მიერ დაფუძნებული ფონდების მიერ არ ხდებოდა დამფუძნებლების წინაშე წესდებით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულება, როგორიცაა დამფუძნებლებისთვის ფონდის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა.

ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული თბილისის განვითარების ფონდი დამოუკიდებლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იღებდა გადაწყვეტილებას დამფუძნებლის მიერ შენატანის სახით საკუთრებაში გადაცემული ქონების გასხვისების შესახებ. ხოლო ქ. თბილისის მთავრობა, თბილისის განვითარების ფონდისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის დროს, რიგ შემთხვევაში, იყენებდა იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო იურიდიულად ძალაში შესული, რიგ შემთხვევაში კი, წინსწრებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ უძრავი ქონების თბილისის თვითმმართველი ერთეულისთვის გადმოცემამდე იღებდა გადაწყვეტილებას გადმოსაცემი უძრავი ქონების თბილისის განვითარების ფონდისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

კვლევაზე მუშაობის დროს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, არ გასცემდა საჯარო ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული იმ განკარგულებების თაობაზე, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა წლის სახელმწიფო ბიუჯეტებიდან ფინანსების გამოყოფას ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის, თბილისის განვითარების ფონდის, ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის

განვითარების ფონდის და ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის კანცელარიას, ყველა იმ განცხადებას, რომლებიც ფონდებისათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვას ეხებოდა, უსაფუძვლოდ ამისამართებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

საია მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სხვადასხვა ტიპის საბიუჯეტო სახსრებიდან, პირდაპირი თუ ირიბი გზებით, წლების განმავლობაში ფონდების მიერ მასშტაბური მოცულობის თანხა იხარჯებოდა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სრული უფლება აქვს, მიუხედავად ფონდების სამართლებრივი სტატუსისა, დეტალურ ინფორმაციას ფლობდეს ამ ფინანსების ხარჯვის თაობაზე.

საია მოუწოდებს ქ. თბილისის მერიას, გაასაჯაროვოს ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის, ასევე, თბილისის განვითარების ფონდის მიერ წლების განმავლობაში დედაქალაქის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხების ხარჯვასთან და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომ გასხვისებასთან; ასევე, ხელმისაწვდომი გახადოს ფონდების მიერ წლების განმავლობაში, დამფუძნებლისთვის, ფონდის საქმიანობის შესახებ წარდგენილი ანგარიშები.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ქალაქების ისტორიული ნაწილების რეაბილიტაცია-აღდგენასთან დაკავშირებით გახარჯული ასეულობით მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოების ბუნდოვანება და გაუმჭვირვალობა; თბილისის განვითარების ფონდისთვის სპონტანურად საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების ნაწილის დროის მცირე მონაკვეთში გაყიდვა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; რიყის ტერიტორიის გასხვისებასა და გამოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით დარჩენილი უამრავი კითხვა; ფონდების მიერ თბილისის 2005-2011 წლების ბიუჯეტებიდან მიღებული ფინანსების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის არარსებობა; კვლევის დროს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისგან თავის არიდება, რიგ შემთხვევაში კი, საერთოდ გაუცემლობა; კვლევის ობიექტი ფონდების მიერ ისეთი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც დაკავშირებულია დამფუძნებლისთვის ყოველწლიურად გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა 2005-2011 წლებში, რეაბილიტაცია-აღდგენის მიზნით გაწეული სამუშაოების დროს, მაღალი ალბათობით, კორუფციასთან გვქონდეს საქმე.

აქედან გამომდინარე, საია მიიჩნევს, რომ წლების განმავლობაში თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, ქალაქების ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია-რესტავრაციასთან დაკავშირებული სამუშაოები და ამ პროცესში კვლევის ობიექტი ფონდებისა და მათი დამფუძნებლების მონაწილეობა, აუცილებლად უნდა გახდეს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებების ინტერესის საგანი.

11. დანართები

დანართი №1

საქართველო

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 04.03.58

"17" მარტი 2005 წ.

„ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების, გამგეობის წევრების კანდიდატურების წარდგენისა და დამტკიცების, გამგეობის თავმჯდომარის დანიშვნისა და ფონდის დაფინანსების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად

ქ. თბილისის მთავრობა **ადგენს**:

1. დამტკიცდეს „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდება.
2. „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" გამგეობა ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

უჩა გელაშვილი: დაბადების ადგილი: თბილისი; დაბადების თარიღი: 10.03.1972 წელი; მცხოვრები ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი, IV კორპ, ბინა №61; პროფესია: ეკონომისტი; პირადი №01014001937

გიორგი ასათიანი: დაბადების ადგილი: თბილისი; დაბადების თარიღი: 31.08.1975 წელი; მცხოვრები ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №26; პროფესია: ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი; პირადი №01024022302

სოფიო ფურცელაძე: დაბადების ადგილი: თბილისი; დაბადების თარიღი: 08.02.1981 წელი; მცხოვრები ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი,

კორპ. 13, ბინა №24; პროფესია: ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი; პირადი №01006008957

ლევან ლომინაშვილი: დაბადების ადგილი: ოჩამჩირე; დაბადების თარიღი: 16.12.1965 წელი; მცხოვრები ქ. თბილისი, ფანასკერტელ-ციციშვილის კორპ. №11, ბინა №47; პროფესია: არქიტექტორი; პირადი №01026001931

თამარ მარტიაშვილი: დაბადების ადგილი: თბილისი; დაბადების თარიღი: 22.02.1965 წელი; მცხოვრები ქ. თბილისი, ფასანაურის 15; პროფესია: საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი; პირადი №01017000785

3. ფონდის გამგეობის თავმჯდომარედ და შესაბამისად წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად დაინიშნოს სოფიო ფურცელაძე (დაბადებული 1981 წლის 8 თებერვალს თბილისში, (პირადობის მოწმობის №d 0411418, პირადი №01006008957); მცხოვრები ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი, კორპ. 13, ბინა №24). ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტი. მისი უფლებამოსილება განისაზღვროს ფონდის წესდებისა და მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.

4. ფონდის მიზნების განხორციელებისათვის პირველადი დაფინანსების მიზნით:

ა) გამოყოფილ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის დამტკიცებული ასიგნებიდან ქ. თბილისის ისტორიული ზონის მარეგლამენტირებელი საყრდენი გეგმის დამუშავებისათვის გათვალისწინებული 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

ბ) ეთხოვოს ქ. თბილისის მერს მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 100000 (ასი ათასი) ლარი.

5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის პრემიერის პირველ მოადგილეს უ.გელაშვილს.

ქ. თბილისის პრემიერი — თ. ქურხული

დანართი №2

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № ....11...01. 314

"...31..." ...მარტი..... 2007 წ.

„ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების, გამგეობის წევრების კანდიდატურების წარდგენისა და დამტკიცების, გამგეობის თავმჯდომარის დანიშვნისა და ფონდის დაფინანსების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №04.03.58 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის, ძველი თბილისის რაიონის 2007 წლის ბიუჯეტიდან ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების წახალისების პროგრამისათვის ხარჯების გაწევის შესახებ

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, შემუშავებული აქვს ისტორიული რეგულირების ზონაში ინვესტიციების განხორციელების წახალისების პროგრამა. პროგრამა გულისხმობს ფონდის მიერ მოსახლეობისაგან განსაკუთრებული მხატვრულ–არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე შენობა–ნაგებობების გამოსყიდვას, უძრავი ქონების ბაზარზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ასევე, გამოსასყიდი ობიექტების იერსახის შესანარჩუნებლად, შენობების სარეაბილიტაციო საპროექტო წინადადების მომზადებასა და მის დამტკიცებას. აღნიშნული ქონების რეალიზაცია განხორციელდება ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით და იგი მიმართული იქნება ქალაქის სწორი [illegible] სტიმულირებისაკენ. აღნიშნული პროგრამის ეფექტურად წარ[illegible]ის. ფონდის წინასწარი გათვლებით საჭიროა 10,000.0 ათასი ლარ[illegible]

ამასთან, ფონდის წესდება, რომელიც დამტკიცებულ იქნა [illegible] თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №04.03.58 დადგ[illegible], შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბოლო

პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებთან. ქ. თბილისის მერიის სისტემაში გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით, საჭიროა ცვლილებების განხორციელება ფონდის გამგეობის შემადგენლობაშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, "საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის "ე" და "ვ" ქვეპუნქტების, ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის "ე" და "ვ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის № 04. 03. 58 დადგენილებით დამტკიცებულ "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდებაში და წესდება ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (დანართი I).
2. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:
- მამუკა ახვლედიანი: დაბადების თარიღი 24.07.1973 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, თხინვალის შესახვევი 9/7, პირადი №01017007577;
- ლაშა ფურცხვანიძე: დაბადების თარიღი 28.08.1976 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, იყალთოს ქ. №35ა, პირადი №010090112114;
- ეკა შარაშიძე: დაბადების თარიღი 01.02.1974 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, ფალიაშვილის 49, პირადი №01017032441;
- სოფო ფურცელაძე: დაბადების თარიღი 08.02.1981 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი, კორპუსი 13, ბინა-24, პირადი №01006008957;
- ხათუნა ოჩიაური: დაბადების თარიღი 09.06.1959 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, ხვიჩიას ქ. 4, პირადი №01010008173;
- ლევან ლომინაშვილი: დაბადების თარიღი 16.12.1965 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, ფანასკერტელ-ციციშვილის კორპუსი №11, ბინა №47, პირადი №01026001931;
- თამარ მარტიაშვილი: დაბადების თარიღი 22.02.1965 წელი, მცხოვრები ქ. თბილისი, ფასანაურის 15, პირადი №01017000785.
3. ფონდის გამგეობის თავმჯდომარისა და, შესაბამისად, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სტატუსი შეუნარჩუნდეს სოფო ფურცელაძეს.
4. ცვლილებების რეგისტრაცია და ხარჯების დაფინანსება დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს-ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს.
5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №04.03.58 დადგენილების მე-2 პუნქტი.
6. დაევალოს ქ. თბილისის ძველი თბილისის [illegible] (ლ. ფურცხვანიძე): ისტორიული რეგულირების ზონაში [illegible]

განხორციელების წახალისების პროგრამის განხორციელებისათვის, ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტით ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს, ისტორიული რეგულირების ზონაში ინვეტიციების განხორციელების წახალისების პროგრამის (დანართი 2) განსახორციელებლად, შემოწირულობის სახით, გამოუყოს 10,000.0 ათასი ლარი.

7. ძველი თბილისის რაიონის გამგეობიდან წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა უზურნველყოს ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის თანხის გადარიცხვა.

8. დამტკიცდეს ისტორიული რეგულირების ზონაში ინვეტიციების განხორციელების წახალისების პროგრამა (დანართი 2).

9. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) – მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

ქ. თბილისის მერი

გიორგი უგულავა

დანართი №3

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 15.27.424

"20..აპრილისი..... 2007 წ.

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის 11.01.314 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების, „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდებაში გამგეობის წევრების რაოდენობის, გამგეობის შემადგენლობისა და ფონდის ახალი თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23¹ მუხლის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი დმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის 11.01.314 დადგენილებით დამტკიცებულ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის წესდების 5.1. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5.1. ფონდის ხელმძღვანელი ორგანოა 8 (რვა) წევრისგან შემდგარი ფონდის გამგეობა, რომლის წევრებსაც, 5 წლის ვადით, ირჩევს ფონდის დამფუძნებელი."
2. "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" გამგეობის თავმჯდომარე სოფიო ფურცელაძე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.
3. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:
- მამუკა ახვლედიანი: დაბადების თარიღი 24.07.1973 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, თხინვალის შესახვევი 9/7, პირადი № 01017007577;
- ლაშა ფურცხვანიძე: დაბადების თარიღი 28.08.1976 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, იყალთოს ქ. №35ა, პირადი №010090112114;
- ეკა შარაშიძე: დაბადების თარიღი 01.02.1974 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №49, პირადი №01017032441;
- სოფიო ფურცელაძე: დაბადების თარიღი 08.02.1981 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, დიღმის მასივი VI კვარტალი, კორპუსი №13, ბინა №[illegible], პირადი № 01006008957;
- ხათუნა ოჩიაური: დაბადების თარიღი 09.06.1959 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ხეიჩიას ქ. №4, პირადი № 01010008173;

- ლევან ლომინაშვილი: დაბადების თარიღი 16.12.1965 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფანასკერტელ-ციციშვილის კორპუსი №11, ბინა №47, პირადი №01026001931;
- თამარ მარტიაშვილი: დაბადების თარიღი 22.02.1965 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფასანაურის ქ. №15, პირადი № 01017000785;
- სერგო ქავთარაძე, დაბადებული 1981 წლის 4 სექტემბერს, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის №47, პირადი № 01030020464, პ/მ №გ 0974618.

4. "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" გამგეობის თავმჯდომარედ და, შესაბამისად, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად 2007 წლის 27 ივლისიდან დაინიშნოს სერგო ქავთარაძე, დაბადებული 1981 წლის 4 სექტემბერს ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის №47-ში, პირადი № 01030020464, პ/მ №გ 0974618; პროფესია – სამართალმცოდნე. მისი უფლებამოსილება განისაზღვროს ფონდის წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ამოქმედდეს სათანადო ცვლილებების რეგისტრაციის მომენტიდან.

5. შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია და ხარჯების დაფინანსება დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს".

6. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) [illegible] ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

დანართი №4

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 05.09.118

"24" თებერვალი 2009 წ.

"ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების ახალი რედაქციის, გამგეობის შემადგენლობის დამტკიცებისა და ფონდის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის "ე" და "ვ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დამტკიცდეს "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების ახალი რედაქცია (დანართი 1).

2. ქ. თბილისის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარისა და შესაბამისად, ფონდის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიენიჭოს სერგო ქავთარაძეს და დამტკიცდეს გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:
- სერგო ქავთარაძე: დაბადების თარიღი 04.09.1981 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის №47, პირადი №01030020464, პ/მ №გ 0974618;
- მამუკა ახვლედიანი: დაბადების თარიღი 24.07.1973 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, თხინვალის შესახვევი 9/7, პირადი №01017007577;
- ეკა შარაშიძე: დაბადების თარიღი 01.02.1974 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფალიაშვილის 49, პირადი №01017032441;
- თამარ მარტიაშვილი: დაბადების თარიღი 22.02.1965 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფასანაურის ქ. №15, პირადი №01017000785;
- დავით ავალიანი: დაბადების თარიღი 14.08.1962 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, დიღმის მასივის ნკვ. 7კორპ. ბ.58, პირადი №01006011963.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №04.03.58; ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 31 მაისის №11.01.314 და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 20 ივლისის №15.27.424 დადგენილებები.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) - მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

ქ. თბილისის მერიის საქმის წარმოების სამსახური №2

დანართი №5

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 31.13.1049

„25" ნოემბერი 2009 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებისა და ფონდის გამგეობის ახალი წევრის – გამგეობის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის", „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების ახალი რედაქცია (დანართი 1).

2. ქ. თბილისის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს დავით ნინიძე და დამტკიცდეს გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:

- დავით ნინიძე: დაბადების თარიღი 18.10.1961, მცხოვრები ქ. თბილისში, სანკტ-პეტერბურგის ქ. 1/86, პირადი №01030009974;.
- მამუკა ახვლედიანი: დაბადების თარიღი 24.07.1973 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, თხინვალის შესახვევი 9/7, პირადი №01017007577;
- ეკატერინე შარაშიძე: დაბადების თარიღი 01.02.1974 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. 49, პირადი №01017032441;
- თამარ მარტიაშვილი: დაბადების თარიღი 22.02.1965 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ფასანაურის ქ. №15, პირადი №01017000785;
- დავით ავალიანი: დაბადების თარიღი 14.08.1962 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, დიღმის მასივის 6 კვ. 7 კორპ. ბ.58, პირადი №01006011963;
- სერგო ქავთარაძე: დაბადების თარიღი 04.09.1981 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №47, პირადი №01030020464, პ/მ №გ 0974618.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" თავმჯდომარედ და გამგეობის შემადგენლობაზე უფლებამოსილ პირად დაინიშნოს - სერგო ქავთარაძე;

დაბადების თარიღი 04.09.1981 წელი, მცხოვრები ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქ. №47, პირადი №01030020464, პ/მ №Გ 0974618.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: ქალაქი თბილისი, დოლიძის ქ. №2.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 თებერვლის №05.09.118 და ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 9 ივლისის №18.30.657 დადგენილებები.

6. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ძველი ქალაქის: რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს: წესდების ხელმოწერა, სანოტარო წესით დამოწმება და შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

7. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) - მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

დანართი №6

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 20.01.964

"16" ივლისი 2010 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „თბილისის განვითარების ფონდის" შექმნის, მისი წესდების დამტკიცების, ფონდის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23' მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეიქმნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თბილისის განვითარების ფონდი".

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „თბილისის განვითარების ფონდის" წესდება (დანართი 1).

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "თბილისის განვითარების ფონდის" თავმჯდომარედ და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად არჩეულ იქნეს გიორგი საბანაძე (დაბადებული: ქ. ხაშურში, 28.06.1974 წელს, მისამართი: ქ. ხაშური, გრიშაშვილის ქ. №39, პირადი №57001007193).

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "თბილისის განვითარების ფონდის" ხელმძღვანელი ორგანოს (გამგეობის) თავმჯდომარედ და წევრებად არჩეულ იქნენ:

ა) დავით ნინიძე (დაბადებული: ქ. თბილისში, 18.10.1961 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. № 1/86, პირადი №01030009974) – გამგეობის თავმჯდომარე;

ბ) მაშუკა ახვლედიანი (დაბადებული: ქ. თბილისში, 24.07.1973 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, თხინვალის შესახვევი 9/7, პირადი № 01017032441) – გამგეობის წევრი;

გ) რამაზ სულამანიძე (დაბადებული: ქ. თერჯოლაში, 10.10.1977 წელს, მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №88, პირადი №21001000656) – გამგეობის წევრი;

დ) ნოდარ სანდუხაძე (დაბადებული: ქ. თბილისში, 14.05.1975 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, ლიბანის ქ. №7, ბინა 18, პირადი №01004005606) – გამგეობის წევრი;

ე) დავით ბურდული (დაბადებული: ქ. თბილისში, 16.11.1971 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, ჭიანელის №6, პირადი №01017004279) – გამგეობის წევრი;

ვ) თემურ გრიგალაშვილი (დაბადებული: ქ. თბილისში, 12.01.1972 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის I კორპუსი, ბინა №41; პირადი №01024036074) – გამგეობის წევრი;

ქ. თბილისი 0160, ჯ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

ზ) გიორგი ნიკოლაძე (დაბადებული: ქ. თბილისში, 01.01.1971 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის ქ. №82; პირადი №01015009050) – გამგეობის წევრი;

თ) დავით ავალიანი (დაბადებული: ქ. თბილისში, 14.08.1962 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივის 6 კვარტალი, №7 კორპუსი, ბინა №58, პირადი № 01006011963) – გამგეობის წევრი;

ი) არისი ბოჭოიძე (დაბადებული: ქ. ბაღდათში, 03.02.1983 წელს, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, ბ. №1, პირადი №09001003971) - გამგეობის წევრი.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "თბილისის განვითარების ფონდის" იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: საქართველო, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „თბილისის განვითარების ფონდის" დამფუძნებლის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) დავით ნინიძეს.

7. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "თბილისის განვითარების ფონდის" თავმჯდომარეს გიორგი საბანაძეს: წესდების ხელმოწერა, მისი სანოტარო წესით დამოწმებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "თბილისის განვითარების ფონდის" სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის უზრუნველყოფა.

8. დაევალოს ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს დ. ხოსრუაშვილს: უზრუნველყოს სარეგისტრაციო ხარჯების დაფინანსება.

9. დადგენილების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), ერთ თვეში.

ქ. თბილისის მერის პირველი
მოადგილე (ვიცე-მერი) — დავით ნინიძე

დანართი №7

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 29.14.1148

"21" ოქტომბერი 2011 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" ახალი თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის", „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 25 ნოემბრის №31.13.1049 დადგენილებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" წესდების მე-4 მუხლის 4.1.4. პუნქტის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე გათავისუფლდეს ფონდის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" თავმჯდომარის თანამდებობაზე დაინიშნოს კახი მაღრაძე (დაბადებული ქ. თბილისში, 23.09.1981 წელს, მცხოვრები თბილისში, ნინოშვილის ქ. №34; პირადი №01030022122)

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" თავმჯდომარეს კახი მაღრაძეს დაევალოს აღნიშნული დადგენილების რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ფონდის რეგისტრირებულ მონაცემებში ამ დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილების შეტანის მიზნით.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) დ. ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

თბილისი 0160, ქ. შარაბიძეს 7; ტელ: (+995 32) 237 81 23, ფაქსი: (+995 32) 237 81 54; www.Tbilisi.gov.ge

დანართი №8

ქალაქ თბილისის მთავრობა
დადგენილება № 07.01193
„7" მარტი 2012 წ.

ქ. თბილისის მერიის ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა
და განვითარების ფონდის" სალიკვიდაციო ღონისძიებების
დასრულების თაობაზე

„ქ. თბილისის მერიის ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" სალიკვიდაციო ღონისძიებების დაწყების თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 11 იანვრის №02.05.30 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" სალიკვიდაციო ღონისძიებები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ზ[1]" ქვეპუნქტისა და "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დასრულდეს ქ. თბილისის მერიის ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" (ს/კ 202258706) სალიკვიდაციო პროცესი.

2. დაევალოს ფონდის თავმჯდომარეს კ. მაღრაძეს: მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ლიკვიდაციის პროცედურის დასრულების რეგისტრაცია.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) დავით ნინიძეს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი №9

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 22.05.1047

" 6 " აგვისტო 2010 წ.

ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" თანადამფუძნებლად ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" განსაზღვრისა და ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" წესდებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, 28-ე მუხლისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს" (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 31 მარტს; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 00009/12/0002; საიდენტიფიკაციო კოდი: 202258706; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა №2), ქ. თბილისის მთავრობასთან ერთად, გახდეს ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მიერ 2010 წლის 20 ივლისს; საიდენტიფიკაციო კოდი: 404384974; იურიდიული მისამართი: საქართველო, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65) თანადამფუძნებელი.

2. მიეცეს უფლება ააიპ - „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს": როგორც ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" თანადამფუძნებელს, განახორციელოს შესაბამისი შენატანის შეტანა ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდში".

3. მოწონებულ იქნეს ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 1).

4. დაევალოს ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" თავმჯდომარეს გიორგი საბანაძეს (პირადი №57001007193): სადამფუძნებლო დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაცია.

5. ააიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" წესდების ცვლილებებზე ხელმოწერის უფლებამოსილება, ქ. თბილისის მთავრობის სახელით, მიენიჭოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს დ. ალავიძეს.

6. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს დ. ალავიძეს.

7. წინამდებარე დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154



დანართი 1

შეთანხმება ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის" წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

დამფუძნებლები, ქ. თბილისის მთავრობა და ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი" თანხმდებიან ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №20.10.964 დადგენილებით დამტკიცებული ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის" წესდებაში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) წესდების ტექსტში სიტყვა „დამფუძნებელი" შეიცვალოს სიტყვით „დამფუძნებლები";

ბ) წესდების 3.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფონდის დამფუძნებლები არიან:

3.2.1. ქ. თბილისის მერია, წარმოდგენილი ქ. თბილისის მთავრობის სახით (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7)

3.2.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი" (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2005 წლის 31 მარტს; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 00009/12/0002; საიდენთიფიკაციო კოდი: 202258706; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დოლიძის ქუჩა №2."

დანართი №10

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 18.36.780

"12" ივლისი 2011 წ.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის განვითარების ფონდის" შექმნის, მისი წესდების დამტკიცების, ფონდის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევის თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №20.01.964 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ზ[1]" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - თბილისის განვითარების ფონდის" შექმნის, მისი წესდების დამტკიცების, ფონდის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევის თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №20.01.964 დადგენილების მე–2 პუნქტით დამტკიცებულ ანიპ „თბილისის განვითარების ფონდის" წესდების 6.3.3. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.3.3. ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ფონდის გამგეობასთან შეთანხმებით, უფლებამოსილია შეიძინოს, ნებისმიერი ფორმით გაასხვისოს, უფლებრივად დატვირთოს და სხვაგვარად განკარგოს ფონდის უძრავი ქონება."

2. ანიპ „თბილისის განვითარების ფონდის" წესდების, ამ დადგენილების დანართი 1-ის შესაბამისად, ცვლილების ხელმოწერის უფლებამოსილება, ქ. თბილისის მთავრობის სახელით, მიენიჭოს ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი აბესაძეს.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) დ. ნინიძეს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

თბილისი 0160, ს. შარაძეს 7; ტელ: (+995 32) 37 81 23, ფაქსი: (+995 32) 37 81 54; www.Tbilisi.gov.ge



დანართი 1

შეთანხმება აარპ „თბილისის განვითარების ფონდის“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამფუძნებლები, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მთავრობა, წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის ირაკლი აბესაძის სახით

და

მეორეს მხრივ, აარპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“ წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის სერგო ქავთარაძის სახით, თანხმდებიან ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №20.01.964 დადგენილებით დამტკიცებულ აარპ „თბილისის განვითარების ფონდის“ წესდებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. წესდების მე-6 მუხლის 6.3.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„6.3.3. ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, ფონდის გამგეობასთან შეთანხმებით უფლებამოსილია შეიძინოს, ნებისმიერი ფორმით გაასხვისოს, უფლებრივად დატვირთოს და სხვაგვარად განკარგოს ფონდის უძრავი ქონება.“

აარპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“-ს სახელით:

სერგო ქავთარაძე

ქ. თბილისის მთავრობის სახელით:

ირაკლი აბესაძე

დანართი №11

თბილისის საქალაქო სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

შესავალი ნაწილი

საქმე №3/3113-11 — 18 ნოემბერი, 2011 წელი
ქალაქი თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - დიმიტრი გვრიტიშვილი
სხდომის მდივანი – თამარ ჟორჟოლიანი

მოსარჩელე - ნანა ბიგანიშვილი, წარმომადგენელი – სულხან სალაძე

მოპასუხე - ქალაქ თბილისის მერია, წარმომადგენელი – ნინო სამადაშვილი

დავის საგანი - ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა
დაევალოს მოპასუხეს სტუდია ,,მონიტორის" 2011 წლის 5 ივლისის №138-07/11 და №139-07/11 განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემა.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მის მიერ მოთხოვნილია ინფორმაცია არ წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

2. მოპასუხის პოზიცია
მოპასუხე სარჩელს არ სცნობს და მიუთითებს, რომ იგი უარს არ ამბობს სადავო ინფორმაციის გაცემაზე; მისი გაუცემლობა გამოწვეულია ინფორმაციის მოცულობით: იგი არის დამუშავების პროცესში და ამ პროცესის დასრულებისთანავე მიეწოდება მოსარჩელეს.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. მოსარჩელემ, როგორც ,,სტუდია მონიტორის" ჟურნალისტმა, 2011 წლის 5 ივლისს №138-07/11 და №139-07/11 განცხადებებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემა:

ა) 2005 წლის 31 მარტიდან განცხადების წარდგენამდე ქ.თბილისის მერიამ, როგორც ააიპ ,,ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" დამფუძნებელმა, შენატანისა და გადარიცხვის სახით, რა რაოდენობის თანხა გადასცა მითითებულ ფონდს ქ.თბილისის ბიუჯეტიდან (მიზნობრიობის მითითებით);

ბ) 2005 წლის 31 მარტიდან განცხადების წარდგენამდე ქ.თბილისის მერიამ, როგორც ააიპ თბილისის განვითარების ფონდის" დამფუძნებელმა, შენატანისა და გადარიცხვის სახით, რა რაოდენობის თანხა გადასცა მითითებულ ფონდს ქ.თბილისის ბიუჯეტიდან (მიზნობრიობის მითითებით).

3.1.2. ვინაიდან მოპასუხეს მოთხოვნილი ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში არ გაუცია, მოსარჩელემ წინამდებარე სარჩელით მომართა სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისს.

3.2. სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

მოთხოვნილი ინფორმაცია არის მოცულობითი და მისი დამუშავება მიმდინარეობს ამჟამადაც.

სასამართლო ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისას დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 5 ივლისს №138-07/11 და №139-07/11 განცხადებები;
- მხარეთა ახსნა-განმარტებები.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა
სასამართლომ განიხილა სასარჩელო განცხადება, შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და თვლის, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5. სამართლის ნორმები, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ

5.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი:
5.1.1. 28-ე მუხლი: საჯარო ინფორმაცია ღია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

5.1.2. მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ბ ქვეპუნქტი: საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

5.1.3. 42-ე მუხლის ,,ნ" ქვეპუნქტი: ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.

5.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
5.2.1. 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა

დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

5.2.2. მუხლი 364: სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

5.2.3. მუხლი 367: სააპელაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

5.2.4. 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

6. სასამართლოს შეფასება

6.1. სასამართლო, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტში მითითებული ნორმების და მოპასუხის პოზიციიდან გამომდინარე, თვლის, რომ სადავო ინფორმაცია არ წარმოადგენს დახურულ საჯარო ინფორმაციას, რადგან არ მოიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას. შესაბამისად, იგი უნდა გაიცეს მოსარჩელეზე.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ვერ მოახერხა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ვადაში სადავო ინფორმაციის დამუშავება, რაც მიუთითებს დამუშავების პროცესის სირთულეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის ინტერესია - მიიღოს ინფორმაცია სრულყოფილად, მოპასუხეს უნდა დაევალოს - სადავო ინფორმაციის მოსარჩელეზე გაცემა მისი დამუშავების დასრულებისთანავე.

7. საპროცესო ხარჯები
სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მოსარჩელეს უნდა მიეკუთვნოს საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, რაც სასამართლოს მოსაზრებით შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი

1. ნანა ბიგანიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიას - გასცეს მოსარჩელის 05.07.2011წ. №138-07/11 და №139/07-11 განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია, მისი დამუშავების დასრულებისთანავე.
3. დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქ. №7ა). სააპელაციო საჩივარი შემოტანილ უნდა იქნეს მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მოსამართლე: /დ. გვრიტიშვილი/

დანართი №12

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 37 2010 წლის 21 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ თბილისის მერიას „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისათვის" გადასაცემად დამატებით გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.

მიხეილ სააკაშვილი

ასლი სწორია
ე. ყარბატ

დანართი №13

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 871 2010 წლის 9 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ თბილისის მერიას გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.

მიხეილ სააკაშვილი

დანართი №14

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 1165 2010 წლის 20 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

ქ.თბილისში მშენებლობის ხელშეწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტის განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ქალაქ თბილისის მერიას გამოუყოს 1 000 000 (მილიონი) ლარი.

მიხეილ სააკაშვილი

დანართი №15

ქალაქ თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

№ 11/166950 7

"13" 12 2011

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ეკატერინე ფოფხაძეს
მის: ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენს მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, ქ. თბილისის მერიაში შემოტანილი 2011 წლის 5 დეკემბრის №გ-04/275-11 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან, „ძველი ქალაქის რებილიტაციისა და განვითარების პროექტის" განხორციელებისათვის, 2010 წელს გამოყოფილი თანხები გადაერიცხა ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს". შესაბამისად, აღნიშნული თანხების ხარჯვის თაობაზე ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ ხსენებულ დაწესებულებას.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ოთარ ტატალაშვილი

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 591
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia, Tel.: (+995 32) 23 78 591

დანართი №16

ქალაქ თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

№ 06/65648-1
"17" 06 2011

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს
მის: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №28

ბატონო ტატო,

თქვენი, 2011 წლის 31 მაისის №2/5-0919 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2008, 2009 და 2010 წლებში, ქ. თბილისის მერია, როგორც ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი"-ს და ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი"-ს დამფუძნებელი, მათ, შენატანის სახით, გადასცემდა ფინანსურ სახსრებს. შესაბამისად, აღნიშნულ ფონდებს, მოქმედი კანონმდებლობით, არ გააჩნდათ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ვალდებულება.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ოთარ ტატალაშვილი

ეროვნული სააგენტო
ვადოსაქლის № 2-5255
21 06 2011 ნ.

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 378 591
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia, Tel.: (+995 32) 378 591

დანართი №17

ქალაქ თბილისის მთავრობა
დადგენილება № 09.22.352
„19" აპრილი 2011 წ.

ააიპ – თბილისის განვითარების ფონდისთვის განსაზღვრული
უძრავი ქონების, შენატანის სახით, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ააიპ – თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს განსაზღვრულ ღონისძიებებს დედაქალაქისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ქ. თბილისის მთავრობა აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ღონისძიებების ფარგლებში, მიზანშეწონილია თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული უძრავი ქონების ფონდისთვის გადაცემა.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ი" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. გადაეცეს ააიპ – თბილისის განვითარების ფონდს (ს/კ: 404384974) საკუთრებაში, შენატანის სახით, დანართით წარმოდგენილი უძრავი ქონება.
2. დაევალოს ააიპ – თბილისის განვითარების ფონდს: ამ დადგენილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების გატარება და გადაცემული ქონების საჯარო რესტრში ფონდის საკუთრებად რეგისტრაცია.
3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს გ. ცხაკაიას.
4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

თბილისი 0160, ქ. მარჯანიშვილი 7; ტელ: (+995 32) 37 81 23, ფაქსი: (+995 32) 37 81 54; www.Tbilisi.gov.ge

დანართი

№	ქონების მისამართი	ფართი/დასახელება	საკადასტრო კოდი
1	ქ. თბილისი, ქუჩა ქუჩიშვილი, №9	ფართი 98.00 კვ.მ	№01.15.03.012.001.01.534
2	ქ. თბილისი, ქუჩა ქუჩიშვილი, №9	სარდაფი 8.00კვ.მ	№01.15.03.012.001.01.535
3	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1	ფართი 156.40 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.503
4	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, ბინა 29	ფართი 50.00 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.029
5	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, ბინა 26	ფართი 47.13 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.511
6	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ №1 კორპუსი 2, ბინა 16	ფართი 51.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.016
7	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 2, ბინა 14	ფართი 72.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.01.014
8	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 2, ბინა 21	ფართი 20.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.01.021
9	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2, ბინა 1	ფართი 78.32 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.503
10	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2, ბინა 1	ფართი 62.05კვ.მ	№01.17.01.038.013.02.504
11	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2	ფართი 18.65 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.508
12	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2, ბინა 24	ფართი 14.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.024
13	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2,	აუტოფარეხი 36.80 კვ.მ	№01.17.01.038013.02.505
14	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2,	სათაფლო ეზოში 10.90 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.506
15	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2,	სათაფლო ეზოში 7.10 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.507
16	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი 2, ბინა №4	ფართი 77.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.004
17	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 3	აუტოფარეხი 53.80კვ.მ	№01.17.01.038.012.03.505
18	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 3, ბინა №33	ფართი 81.95 კვ.მ	№01.17.01.038.012.03.504
19	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1, სახლი 1, ბინა №25	ფართი 16.00 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.025
20	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, ბინა №32	ფართი 37.00კვ.მ	№01.17.01.038.014.01.032
21	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, ბინა №9-10	ფართი 182.75კვ.მ	№01.17.01.038.018.01.513
22	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1,	ეივანი 10.00კვ.მ	№01.17.01.038.018.01.517
23	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, კიბის უჯრედზე მდებარე ოთახი	ფართი 24.00 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.515
24	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, ეზოში მდებარე სათაფლო	სათაფლო 40.00 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.516
25	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 კორპუსი №2, ბინა №11	ფართი 92.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.02.011
26	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ №1 სახლი 2, ბინა №3	ფართი 21.00 კვ.მ	№01.17.01.038.013.01.513
27	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 1, სართული 2, ბინა №31	ფართი 79.27 კვ.მ	№01.17.01.038.014.01.514
28	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1	ფართი 34.00 კვ.მ	№01.17.01.038.018.01.500
29	ქ. თბილისი, ლიმოურის ქ. №1 სახლი 2, ბინა №3	ფართი 43.80კვ.მ	№01.17.01.038.013.01.509
30	ქ. თბილისი, ქუჩა პუშკინი №5	სართული 4; 236,16კვ.მ (მათ შორის კიბის უჯრედი 23,29კვ.მ)	№01.18.03.018.004.03.503

31	ქ. თბილისი, ქუჩა პუშკინი №5	სართული 3; 225,88კვ.მ (მათ შორის კიბის უჯრედი 18,54კვ.მ)	№01.18.03.018.004.03.502
32	ქ. თბილისი, ქუჩა პუშკინი №5	სართული 5; 256,62კვ.მ (მათ შორის კიბის უჯრედი 22,71კვ.მ)	№01.18.03.018.004.03.504
33	ქ. თბილისი, ქუჩა პუშკინი №7	სართული 4; 339,32კვ.მ (მათ შორის კიბის უჯრედი 25,98კვ.მ)	№01.18.03.018.004.02.502
34	ქ. თბილისი, ქუჩა პუშკინი №7	სართული 3; 321,44 კვ.მ (მათ შორის კიბის უჯრედი 27,93კვ.მ)	№01.18.03.018.004.02.503
35	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი I, №7/9	არასაცხოვრებელი ფართი 16.50 კვ.მ	№01.18.03.064.027.01.501
36	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი I, №7/9	სამზარეულო 5.10 კვ.მ	№01.18.03.064.027.01.503
37	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი I, №7/9	ფართი 17.00 კვ.მ	№01.18.03.064.027.01.502
38	ქ. თბილისი, გორგასალი, შესახვევი I, №7/9	ფართი 12.00 დამხმ. ფართი 14.50 სამზარეულო 3.90 შემინული აივანი 4.40 ტუალეტი 1.80	№01.18.03.064.027.01.500
39	ქ. თბილისი, ქუჩა ათონელი, №29/ხიდის ქ. №1	სართული 3; ფართი 288,73კვ.მ	№01.18.03.005.004.01.514
40	ქ. თბილისი, რიყის ტერიტორია, (ნაკვეთი 65/1)	1785.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი	№01.17.01.065.001
41	ქ. თბილისი, რიყის ტერიტორია, (ნაკვეთი 65/034)	40997.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი	№01.17.01.065.034
42	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. „ცენტრალური უნივერმაღის" შენობა, მიმდებარედ, მიწისქვეშა მშენებარე ავტოსადგომი	ფართობი 1540.00 კვ.მ	№01.13.08.007.024
43	ქ. თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი №65	სართული1. არასაცხ. ფართი 90,59კვ.მ	№01.16.05.003.054.01.537
44	ქ. თბილისი. გამზირი დავით აღმაშენებელი №65	სართული2, არასაცხ. ფართი 249.17	№01.16.05.003.054.01.538
45	ქ. თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი №65	ფართი 25.00 კვ.მ	№01.16.05.003.054.01.505
46	ქ. თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი №136	2369.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი	№01.13.08..009.050
47	ქ. თბილისი, ქუჩა ინგოროყვა, №5	1526.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი	№01.15.05.067.004
48	ქ. თბილისი, ქუჩა სარაპირო №8	3165კვ.მ მიწის ნაკვეთი	№01.15.03.004.051
49	ქ. თბილისი, ქუჩა ლესელიძე №4-6	სართული 2; 404,90 კვ.მ	№01.18.03.018.010.01.504
50	ქ. თბილისი, ქუჩა ლესელიძე №4-6	სართული 3; 295,05 კვ.მ	№01.18.03.018.010.01.505
51	ქ. თბილისი. თავაძრველიძე №2	50000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი	№01.19.19.009.010
52	ქ. თბილისი, სამღებროს №6	სხვენი 10.32 კვ.მ	№01.18.03.062.005.01.517
53	ქ. თბილისი. სამღებროს №6	ფართი 30.66 კვ.მ	№01.18.03.062.005.01.507
54	ქ. თბილისი, ქუჩა გრიშაშვილის №9	ფართობი 146 კვ.მ	№01.18.04.019.006
55	ქ. თბილისი, თავაძრველიძე №2	ფართობი 5897 კვ.მ	№01.19.19.009.007
56	ქ. თბილისი, თავაძრველიძე №2	ფართობი 5885 კვ.მ	№01.19.19.009.008
57	ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ზონა „ბ" კოტეჯი №3	ფართობი 269 კვ.მ	№01.20.01.104.060

დანართი №18

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № —11-41 461

10 მაისი 20[illegible] წ.

ააიპ – თბილისის განვითარების ფონდისთვის (ს/კ 404384974) განსაზღვრული უძრავი ქონების, შენატანის სახით, საკუთრებაში გადაცემისა და გარკვეული უძრავი ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიღების შესახებ

ააიპ – თბილისის განვითარების ფონდმა 05.05.11წ. №01-353-1 წერილით მომართა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა გარკვეული უძრავი ქონების ფონდისთვის, შენატანის სახით, გადაცემა, გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მიზნით. წერილით ასევე მოთხოვნილია ფონდის საკუთრებად რეგისტრირებული, მარჯანიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული მშენებარე მიწისქვეშა ავტოსადგომის (მიწის საკადასტრო კოდი: №01.13.08.007.024) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიღება.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1], 28-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. გადაეცეს ააიპ – თბილისის განვითარების ფონდს (ს/კ 404384974) საკუთრებაში, შენატანის სახით, დანართით წარმოდგენილი უძრავი ქონება.

2. მიღებულ იქნეს უსასყიდლოდ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, ააიპ – თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება: ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე „ცენტრალური უნივერმაღის" შენობის მიმდებარე მიწისქვეშა მშენებარე ავტოსადგომის მიერ დაკავებული, დაუზუსტებელი 1540 კვმ. ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მშენებარე) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.13.08.007.024)

3. დაევალოს ააიპ – თბილისის განვითარების ფონდს: ამ დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების გატარება და გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში ფონდის საკუთრებად რეგისტრაცია.

4. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიხაღებ ქონებაზე გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება, ქ. თბილისის მერიის მხრიდან, მიენიჭოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს.

5. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაეკისროს ქ. თბილისის მერის მოადგილეს ბ. ცხაკაიას.

6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

თბილისი 0160, 4 მარჯანიშვილის ქუჩა, ტელ.: (+995 32) 37 81 23, ფაქსი: (+995 32) 37 81 54, www.tbilisi.gov.ge

დანართი

№	ჭონების მისამართი	ფართი/დასახელება	საკადასტრო კოდი
1	ქ. თბილისი, ახოსპირელის I ჩიხი, №1/6	საერთო ფართი 966.19 კვმ	№01.18.03.040.013
2	ქ. თბილისი, ქუჩა ლეონიძის ქ. №2	1066.23 კვმ ფართი	№01.18.03.040.015
3	ქ. თბილისი,ქუჩა გ. აბესაძე №23 (ოგიეე №1/23)	საერთო ფართი 954.95 კვმ	№01.18.03.041.008
4	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ნახევარ სარდაფი 22.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.525
5	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 44.91 კვმ	№01.18.03.052.001.01.505
6	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	სადაფი 8.53 კვმ	№01.18.03.052.001.01.515
7	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 28.60 კვმ, დამხმარე სათავსი 12.00 კვმ შესასვლელი 4.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.518
8	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	სარდაფი 7.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.519
9	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 15.00 კვმ, დამხმარეული 20.50 კვმ კიბისფირი 25.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.510
10	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 37.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.517
11	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	სარდაფი 4.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.523
12	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი სართულიან 18.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.511
13	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 41.30 კვმ	№01.18.03.052.001.01.530
14	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	სარდაფი 8.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.531
15	ქ. თბილისი, ქუჩა ახოსპირელი, №4	ფართი 77.80 კვმ	№01.18.03.052.002.01.506
16	ქ. თბილისი, ქუჩა ახოსპირელი, №4	სარდაფი 21.50 კვმ	№01.18.03.052.002.01.507
17	ქ. თბილისი, ქუჩა ახოსპირელი, №4	ფართი 76.00 კვმ	№01.18.03.052.002.01.500
18	ქ. თბილისი, ქუჩა ახოსპირელი, №4	სარდაფი 32.00 კვმ	№01.18.03.052.002.01.501
19	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 14.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.507
20	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 54.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.513
21	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 21.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.504
22	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 13.00 კვმ	№01.18.03.052.001.01.522
23	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ფართი 34.20 კვმ	№01.18.03.052.001.01.502
24	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	სარდაფი 100.31 კვმ	№01.18.03.052.001.01.506
25	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №2	საერთო ფართი 402.90 კვმ	№01.18.03.041.010
26	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	ნახევარსარდაფი 32 კვმ	№01.18.03.052.001.01.520
27	ქ. თბილისი, მოედანი გუდიაშვილის, №7/2	სართული I ფართი 199.60	№01.18.03.052.001.01.521

დანართი №19

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 13.12.511

30 მაისი 2011 წ.

„აიპ - თბილისის განვითარების ფონდისთვის (ს/კ 404384974) განსაზღვრული უძრავი ქონების შენატანის სახით საკუთრებაში გადაცემისა და გარკვეული უძრავი ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიღების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 10.05.11წ. №11.41.461 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეეიდეს ცვლილება „აიპ - თბილისის განვითარების ფონდისთვის (ს/კ 404384974) განსაზღვრული უძრავი ქონების შენატანის სახით საკუთრებაში გადაცემისა და გარკვეული უძრავი ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მიღების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 10.05.11წ. №11.41.461 დადგენილებაში და დადგენილების დანართით წარმოდგენილი ნუსხის მე-3 ნომრად განისაზღვროს უძრავი ქონება: ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. №23-ში (ოგივე №1/23) არსებული 954,95 კვმ. ფართი და 60,05 კვმ. ფართი (საკადასტრო კოდი: №01.18.03.040.013).

2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაეკისროს ქ. თბილისის მერის მოადგილეს გ. ცხაკაიას.

3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

ასლი

07

დანართი №20

ქალაქ თბილისის მთავრობა

12.16.480

18 მაისი 2011 წ.

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140-ის მიმდებარედ არსებული 444 კვმ. მიწის ნაკვეთის აიპ – თბილისის განვითარების ფონდისთვის (ს/კ: 404384974), შენაგანის სახით, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140-ის მიმდებარედ არსებულ 444 კვმ. მიწის ნაკვეთზე აიპ – თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან გარკვეული გადაწყვეტილების გახანგრძლივების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული უძრავი ქონების ფონდისთვის, შენაგანის სახით, საკუთრებაში გადაცემა.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] და 28-ე მუხლების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს:

1. გადაეცეს აიპ – თბილისის განვითარების ფონდს (ს/კ: 404384974) საკუთრებაში, შენაგანის სახით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140-ის მიმდებარედ არსებული 444 კვმ. მიწის ნაკვეთი (მიწის საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.055)

2. დაევალოს აიპ – თბილისის განვითარების ფონდს: ამ დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების გატარება და გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში ფონდის საკუთრებად რეგისტრაცია.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაეკისროს ქ. თბილისის მერის მოადგილეს გ. ცხაკაიას.

4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერის პირველი
მოადგილე (ვიცე-მერი) დავით ხიხიძე

დანართი №21

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № ~~21.07.879~~

"8" აგვისტო 2011 წ.

აიპ - თბილისის განვითარების ფონდისთვის (ს/კ: 404384974) განსაზღვრული უძრავი ქონების, შენატანის სახით, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

აიპ - თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს განსაზღვრულ ღონისძიებებს დედაქალაქისა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ქ. თბილისის მთავრობა აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ღონისძიებების ფარგლებში ,მიზანშეწონილია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული უძრავი ქონების ფონდისთვის გადაცემა.

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ი" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. გადაეცეს აიპ - თბილისის განვითარების ფონდს (ს/კ: 404384974) საკუთრებაში, შენატანის სახით, დანართით წარმოდგენილი უძრავი ქონება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში, შემდეგი უძრავი ქონება: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №103-ში მდებარე შენობაში არსებული 297,42 კვმ. ფართობის სარდაფი, I სართული - 980,21 კვმ. II სართული - 425,54 კვმ. III სართული - 213,83 კვმ. IV სართული - 248,56 კვმ. სხვენ-სართული - 146,60 კვმ. და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.13.08.005.004).

2. დაევალოს აიპ - თბილისის განვითარების ფონდს: ამ დადგენილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურების გატარება და გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში ფონდის საკუთრებად რეგისტრაცია.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს გ. ცხაკაიას.

4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

თბილისი 0160, 3, მარჯანიშვილის 7; ტელ: (+995 32) 37 81 23, ფაქსი: (+995-32) [illegible] 54; www.Tbilisi.gov.ge

დანართი №22

ქალაქ თბილისის მთავრობა
დადგენილება № 09.01.266
" 22 მარტი 2012 წ.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - თბილისის განვითარების ფონდის" შექმნის, მისი წესდების დამტკიცების, ფონდის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევის თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №20.01.964 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - თბილისის განვითარების ფონდის" შექმნის, მისი წესდების დამტკიცების, ფონდის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების არჩევის თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №20.01.964 დადგენილებით დამტკიცებულ აიპ - „თბილისის განვითარების ფონდის" წესდებაში და ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლის 4.1.10 პუნქტი.

2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაეკისროს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) დავით ნინიძეს.

3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერი — გიორგი უგულავა

თბილისი 0160, ს. შარბანის 7; ტელ: (+995 32) 237 81 23, ფაქსი: (+995 32) 237 81 54; www.Tbilisi.gov.ge

დანართი №23

Resolution of the Partner of New Rike LLC Tbilisi, 12 February 2009	შპს „ახალი რიყე"-ს პარტნიორის გადაწყვეტილება ქ. თბილისი, 2009 წლის 12 თებერვალი
Michael, Oskian, Cyrille, Jacques Saintyrian, being the 100% share holder partner in New Rike LLC has made the following resolution: 1. to dismiss the director of New Rike LLC Ms. Nino Bakradze; 2. to appoing Michael, Oskian, Cyrille, Jacques Saintyrian, (French citizen, date of birth: 18.03.1964, place of birth: Paris, residing in 18, Avenue de la Gare 95150, Taverny (France), passport no: 03XK50492, issued on 09.04.2003 by Le Prefet Du Val D'oise) as the director of New Rike LLC, and to assign the representative authority of the Company.	მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანი რომელიც წარმოადგენს შპს „ახალი რიყე"-ს 100% წილის მფლობელ პარნიორს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: 1. შპს „ახალი რიყე"-ს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდეს ქ-ნი ნინო ბაქრაძე; 2. შპს „ახალი რიყე"-ს დირექტორად დაინიშნოს მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანი (საფრანგეთის მოქალაქე, დაბადებული 18.03.1964 ქ. პარიზში, მცხოვრები მისამართზე: ავენუე დე ლა გარე, 95150, ტავერნი (საფრანგეთი), პასპორტის № 03XK50492 გაცემული 09.04.2003წ ვალ დ'უაზის პრეფექტის მიერ) მასვე მიენიჭოს საწოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;
მიქაელი, ოსკიანი, სირილი, ჟაკი სენტირიანი **Michael, Oskian, Cyrille, Jacques Saintyrian** MICHAEL, OSKIAN, CYRILLE, JACQUES, SAINT-YRIAN *თარგმანი ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებულია თარჯიმნის თამარ ქუჩუაშვილის მიერ* *Translation from Georgian into English is made by translator Tamar Kuchuashvili*	

დანართი №24

https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=show_doc&app_id=4...

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება # B12018619/3 (10 თებ 2012 18:59:45)

ხარვეზის დადგენის შესახებ

სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No.B12018619; 09 თებ 2012 10:50:10;)
განმცხადებელი: ნანა ზიგანიშვილი /01019015314/
განცხადებით მოთხოვნილია: ამონაწერის მომზადება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204505277

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურში დაცული შპს „ახალი რიყე"-ს (ს/კ 204505277) დოკუმენტაციის მიხედვით პარტნიორები არიან: შპს 'ჯი-ემ-სი ჰოლდინგი' (ს/კ 204469342) - 20% და დავით იაკობაშვილი (დაბ. 02/03/1957) – 80%

ხოლო ელექტრონული მონაცემებით - ნიკოლოზ მახარაშვილი - 50% და შპს 'ჯი-ემ-სი ჰოლდინგი' (ს/კ 204469342) - 50%.

„მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" 2009 წლის 3 ნოემბრის საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომლებმაც განახორციელეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაცემებში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის რეგისტრაცია, ვალდებული არიან ეს მონაცემები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადასცენ 2010 წლის 1 იანვრამდე (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით).

უფლებამოსილი პირის მიერ დამატებით წარმოსადგენია ინფორმაცია/დოკუმენტაცია საზოგადოების პარტნიორთა რიგებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ (2009 წლის 31 დეკემბრამდე), ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, პარტნიორთა საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით, წილები გამოხატული უნდა იყოს წილადი რიცხვებით/პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 1 მთელს.

,,საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 6¹ მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ. ხარვეზის აღმოსაფხვრელად განისაზღვროს ვადა – 30 კალენდარული დღე. ამ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და მომსახურებისთვის გადახდილი საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.

დანართი №25

ქალაქ ბათუმის მერი

ქ. ბათუმი 01 . აპრილი 2010 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №151

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ

ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 17 სექტემბრის №1018 ბრძანებით დაფუძნდა სამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი. აღნიშნული იურიდიული პირის წესდების [illegible]ის მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის" წესდება, თანახმად დანართისა.
2. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდის თავმჯდომარეს (ზ. ნაჭყებია) წესდების ნოტარიულად დამოწმებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი გაცნობა დაეკალოს ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციას (გ. მახარაძე).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ქ. ბათუმის მერი [illegible]

დანართი №26

ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაცია

№ 04-04/1715 17 02 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის აჭარის ფილიალის
თავმჯდომარეს ბატონ პ. ჯალაღონიას

ბატონო პარმენ,

თქვენი 2012 წლის 03 თებერვლის №ბ-01/20 (№04-04/1715) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 14 ნოემბრის №990 ბრძანებით ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს" საკუთრებაში გადაცემული აქვს შემდეგი ქონება:

№	მოძრავი ქონების დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	კაბინეტის მაგიდა	1	180
2	ნახევრად რბილი სკამი	1	80
3	სასეკრეტარო რბილი სავარძელი	1	80
4	ელექტრო მარაო	1	30
5	მოგვალი სკამი (ხითილი ფერის)	1	78
6	ნახევრად რბილი სკამი	1	80
7	მაგიდის მისადგმელი	1	80
8	ტელევიზორის ტუმბო ორ კარიანი	1	70
9	მოგვალი სკამი (ხითილი ფერის)	1	50
10	ტელეფონის ასარაკი	1	30
11	საწერი მაგიდა	1	100
12	საწერი მაგიდა	1	100
13	ტუმბო	1	50
14	ტუმბო	1	50
	ჯამი		1058

ამასთან, გიგზავნით ქ. ბათუმის მერის 2010 წლის 01 აპრილის №151 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდი"-ს წესდების დამოწმებულ ასლს.

დანართი: 07 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი — გელა მახარაძე

6010 ლუკა ასათიანის 4, №25

დანართი №27

ქალაქ ბათუმის მერიის
ადმინისტრაცია

№ 04-04/3529 „5" 03 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის აჭარის ფილიალის
თავჯდომარეს ბატონ პ.ჯალაღონიას

ბატონო პარმენ,

თქვენი 2012 წლის 24 იანვრის №ბ-01/28 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის განვითარების ფონდს, 2007 წლიდან დღემდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ქ. ბათუმის მერიაში არ წარმოუდგენია, რის გამოც აღნიშნული ინფორმაციის მოწოდების თაობაზე თქვენს თხოვნას ქ. ბათუმის მერია ვერ დააკმაყოფილებს.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი გელა მახარაძე

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25

ტელ: 0 (422) 27 26 05
ფაქსი: 0 (422) 27 26 09
E-mail: gmakharadze@batumi.ge

დანართი №28

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor's office

4600. საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54, ფაქსი: (+995 431) 24-69-62
3, Rustaveli av. Kutaisi, Georgia, 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54, Fax: (+995 431) 24-69-62

№ 01-239
12 01 2012 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ფაჩულიას

ქალბატონო თამარ,

2011 წლის 12 იანვრის №g-06/02 მომართვასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მერიას თქვენს მიერ მითითებული „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი" არ დაუფუძნებია და შესაბამისად მასში რაიმე ფულადი შენატანის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

პატივისცემით,
გელა ვაშაყმაძე
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №29

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor's Office

№ 01-1962
16 03 2012 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54, ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi, Georgia, 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54, Fax: (995 431) 24-69-62

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს

ქალბატონ თამარ ფაჩულიას

ქალბატონო თამარ,

აიპ "ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდზე" მერიის მიერ ქონების გადაცემის თაობაზე გაცნობებთ, რომ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ აიპ "ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდზე" რაიმე ქონება გადაცემული არ არის.

პატივისცემით,

იუნგის თოფურიძე

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

დანართი №30

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერია
GEORGIA
Kutaisi Mayor's Office

№ 01-1256
20 03 2012 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54, ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს

ქალბატონ თამარ ფაჩულიას

ქალბატონო თამარ,

2012 წლის 14 მარტის №გ-06/38 მომართვასთან დაკავშირებით ქ. ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქ. ქუთაისის მერიაში აარპ „ქალაქ ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის" საქმიანობის მდგომარეობისა და გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია არ შემოსულა.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

თენგიზ თოფურიძე

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი